

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის
სამეცნიერო რეფერირებადი შრომათა კრებული
ტომი N136

ჰიდრომეტეოროლოგიისა და ეკოლოგიის აქტუალური
პრობლემები

SCIENTIFIC REVIEWED PROCEEDINGS
OF THE INSTITUTE OF HYDROMETEOROLOGY
OF THE GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY
VOL. № 136

PRESSING PROBLEMS IN HYDROMETEOROLOGY AND ECOLOGY

НАУЧНЫЙ РЕФЕРИРУЕМЫЙ СБОРНИК ТРУДОВ
ИНСТИТУТА ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ
ГРУЗИНСКОГО ТЕХНИЧЕСКОГО УНИВЕРСИТЕТА

АКТУАЛЬНЫЕ ПРОБЛЕМЫ ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ И ЭКОЛОГИИ
ТОМ №136

©	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი INSTITUTE OF HYDROMETEOROLOGY OF THE GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY ИНСТИТУТА ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ ГРУЗИНСКОГО ТЕХНИЧЕСКОГО УНИВЕРСИТЕТА	2025
---	--	------

თბილისი-Tbilisi-Тбилиси
2025

გამოცემა 1953 წლიდან

Published since 1953

დამფუძნებლები:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

FOUNDERS:

Georgian Technical University

Institute of Hydrometeorology

Georgian National Academy of Sciences

Georgian Academy of Agricultural Sciences

<u>სარედაქციო კოლეგია</u> ნ.ბუაჩიძე (მთ. რედაქტორი) <u>მთ. რედაქტორის მოადგილეები</u> ე.ელიზბარაშვილი მ.მელაძე ს.გორგიჯანიძე ლ.ინწკირველი მ.ტატიშვილი <u>მდივნები</u> ნ.კაპანაძე ნ.არუთინიანი <u>წევრები</u> გ.ალექსიძე გ.ჯაფარიძე აბდ-ალლა გად (საუდის არაბეთი) ც.ბასილაშვილი ნ.ბეგლარაშვილი ვ.ტრაპაიძე გ.გუნია ხ.ეგამბერდიევი (უზბეკეთი) ბ.ხოლმატჯანოვი (უზბეკეთი) ნ.მეზისაშვილი კ.ლაშაური (კანადა) შუნლინ ლიან (აშშ) რ.მაჰმუდოვი (აზერბაიჯანი) გ.მელაძე მ.მელაძე ი.მეგრელიძე ა.პარანინა (რუსეთი) ი.სამხარაძე ა.სურმავა მ.ტაბატაძე მ.ფიფია სადჰან კუმარ გოშ (ინდოეთი) ლ.შავლიაშვილი ლ.შენგელია <u>სარედაქციო საბჭო</u> მ.ფიფია ე.ელიზბარაშვილი მ.მელაძე ს.გორგიჯანიძე ლ.ინწკირველი მ.ტატიშვილი	<u>EDITORIAL BOARD</u> N.Buachidze (Editor-in-Chief) <u>DEPUTY EDITORS-IN-CHIEF</u> E.Elizbarashvili M.Meladze S.Gorgijanidze L.Intskirveli M.Tatishvili <u>SECRETARIES</u> N.Kapanadze N.Arutiniiani <u>MEMBERS</u> G.Aleksidze G.Japaridze Abd-Alla Gad (Saudi Arabia) Ts.Basilashvili N.Beglarashvili V.Trapaidze G.Gunia Kh.Egamberdiev (Uzbekistan) B.Kholmatjanov (Uzbekistan) N.Dzebisashvili K.Lashauri (Canada) Shunlin Liang (USA) R.Mahmudov (Azerbaijan) G.Meladze M.Meladze I.Megrelidze A.Paranina (Russia) I.Samkharadze A.Surmava M.Tabatadze M.Pipia Sadhan Kumar Ghosh (India) L.Shavliashvili L.Shengelia <u>EDITORIAL COUNCIL</u> M.Pipia E.Elizbarashvili M.Meladze S.Gorgijanidze L.Intskirveli M.Tatishvili
--	--

ელექტრონული ვერსია
Electronic version

<https://ecohydmnet.ge/transaction>.
<http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/82330>

წინამდებარე კრებულში შესულია ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის 72-ე მაისის სამეცნიერო სესიაზე მოსმენილი მოხსენებები, მიძღვნილი ჰიდრომეტეოროლოგიისა და ეკოლოგიის აქტუალური პრობლემებისადმი. შესაბამისი სტატიები მოცემულია შემდეგ სამეცნიერო მიმართულებათა მიხედვით: მეტეოროლოგია, კლიმატოლოგია, აგრომეტეოროლოგია, ჰიდროლოგია, კლიმატის ცვლილება, ბუნებრივი გარემოს დაბინძურება.

კრებული განკუთვნილია გეოფიზიკურ, გეოგრაფიულ და ეკოლოგიურ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგში მომუშავე მეცნიერებისა და სპეციალისტებისათვის, მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის.

In this issue texts of papers presented at the 72-nd May Scientific Session of the Institute of Hydrometeorology are offered, dedicated to the pressing problems of Hydrometeorology and Ecology. Relevant papers are given according to the following scientific directions: Meteorology, Climatology, Agrometeorology, Hydrology, Climate Change, and Environmental Pollution.

The volume is intended for experts working in different branches of geophysical, geographical and ecological sciences, magistrates and doctorates.

В настоящий сборник включены тексты докладов, заслушанных на 72-ой Майской Научной Сессии Института Гидрометеорологии, посвященной актуальным проблемам гидрометеорологии и экологии. Соответствующие статьи даны по следующим научным направлениям: метеорология, климатология, агрометеорология, гидрология, изменение климата, загрязнение природной среды.

Сборник предназначен для ученых и специалистов, работающих в различных областях геофизических, географических и экологических наук, магистрантов и докторантов.

	სარჩევი - Contents – Содержание	
	ჰიდროლოგია-Hydrology-Гидрология	
1	დასავლეთ საქართველოს მდინარეთა უდიდესი წყალმოვარდნების მაქსიმალური ხარჯების მრავალწლიური დინამიკა. ბასილაშვილი ც., ფიფია მ., არუთინიანი ნ. Long-term trends in peak discharge rates of major floods in the rivers of Western Georgia. Basilashvili Ts.Z., Pipia M.G., Arutiniani N.E. Многолетняя динамика максимальных расходов наибольших паводков на реках Западной Грузии. Баси- лашвили Ц.З., Пипия М.Г., Арутюнян Н.Э.	7
2	აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეთა წყლის საშუალო წლიური ხარჯების განახლებული პარამეტრები. ბასილაშვილი ც.ზ. Updated Parameters of Average Annual River Discharge in Eastern Georgia. Basilashvili Ts.Z. Обновлённые параметры среднегодовых расходов воды рек Восточной Грузии. Басиლაშвили Ц.З.	16
3	გორგიჯანიძე ს., მაკარაშვილი გ., ჯინჩარაძე გ., ჩიტაძე თ., კობახიძე ნ., გაჩეჩილაძე გ. ინფორმაციული კომუნიკაციების მნიშვნელობა ბუნებრივი სტიქიური მოვლენების მართვისთვის. Gorgijanidze S., Makarashvili G., Jincharadze G., Chitadze T., Kobakhidze N., Gachechiladze G. The importance of information communications for natural disasters management. Горгиджанидзе С., Макарашвили Г., Джинчарадзе Г., Читадзе Т., Кобахидзе Н., Гачечиладзе Г. Значение ин- формационных коммуникаций для управления стихийными бедствиями.	23
4	მდ. იორის ჩამონადენის შიგაწლიური განაწილება. ფიფია გ., გორგიჯანიძე ს., გრიგოლია გ., გულაშვილი ზ., ჩიტაძე თ. Intraannual distribution of the Iori River runoff. Pipia G., Gorgijanidze S., Grigolia G., Gulashvili Z., Chitadze T. Внутригодовое распределение стока реки Иори. Пипия Г., Горгиджанидзе С., Григолия Г., Гулашвили З., Чи- тадзе Т.	30
5	კალაპოტურ დეფორმაციებზე ანტროპოგენური ზემოქმედების ზოგიერთი ასპექტი. ტრაპაიძე ვ., ბრეგვაძე გ., ცინცაძე ნ., ალავერდაშვილი მ., ხუფენია ნ., კოკაია ნ., კიკნაძე დ. Some aspects of anthropogenic impact on river channel deformations. Trapaidze V., Bregvadze G., Tsintsadze N., Alaverdashvili M., Khufenia N., Kokaia N., Kiknadze D Некоторые аспекты антропогенного воздействия на русловые деформации. Трапайдзе В., Брегвадзе Г., Цинцадзе Н., Алавердашвили М., Хупения Н., Кокая Н., Кикнадзе Д.	35
	კლიმატოლოგია-Climatology-Климатология	
6	ქვემო კართლის რეგიონში ტემპერატურის და ნალექების სივრცე-დროითი განაწილების კლიმატური კანონზომიერებანი. ელიზბარაშვილი ე., ფიფია მ., ელიზბარაშვილი შ., ბეგლარაშვილი ნ., დიასამიძე ც., სამუკაშვილი რ., ჭელიძე ნ. Climatic regularities of the spatiotemporal distribution of temperature and precipitation in the Kvemo Kartli region. Elizbarashvili E., Pipia M., Elizbarashvili Sh., Beglarashvili N., Diasamidze Ts., Samukashvili R., Chelidze N. Климатические закономерности пространственно-временного распределения температуры и осадков в регионе Квемо Картли. Элизбарашвили Э., Пипия М., Элизбарашвили Ш., Бегларашвили Н., Диасамидзе Ц., Самукашвили Р., Челидзе Н.	38
7	კარტოფილის კულტურის გავრცელება იმერეთის რეგიონის აგროკლიმატურ პირობებში და მოსავლის პროგნოზი. მ.მელაძე, გ.მელაძე, თ.კობახიძე Distribution of potato in the agro-climatic conditions of Imereti region and the yield forecast. M.Meladze, G.Meladze, T.Kobakhidze Возделывания картофеля в агроклиматических условиях Имеретинского региона и прогноз урожая. М.Меладзе, Г.Меладзе, Т.Кобахидзе	46
8	სეტყვიან დღეთა რიცხვის მრავალწლიური ცვლილების ზოგადი სტატისტიკური ანალიზი კლიმატის ცვლილების ფონზე აღმოსავლეთ საქართველოში. ფიფია მ., ბეგლარაშვილი ნ., დიასამიძე ც., ჯამრიშვილი ნ., კობახიძე ნ. General statistical analysis of long-term changes in the number of days with hail in the background of climate change in Eastern Georgia. Pipia M., Beglarashvili N., Diasamidze Ts., Jamrlishvili N., Kobakhidze N. Общий статистический анализ многолетних изменений числа дней с градом на фоне изменения климата в Восточной Грузии. Пипия М., Бегларашвили Н., Диасамидзе Ц., Джамришвили Н., Кобахидзе Н.	54

	მეტეოროლოგია-Meteorology-Метеорология	
9	შუმანის რეზონანსი და კატასტროფული მოვლენები დედამიწაზე. მკურნალიძე ი., კაპანაძე ნ. Schumann resonance and catastrophic events on Earth. Mkurnalidze I. , Kapanadze N. Резонанс Шумана и катастрофические события на Земле. Мкурналидзе И.П., Капанадзе Н. И.	64
10	გვალვის ტენდენციები აღმოსავლეთ საქართველოში გლობალური დათბობის ფონზე. კაპანაძე ნ, ტატიშვილი მ. მელაძე მ. მკურნალიძე ი. Drought Trends in Eastern Georgia in the Context of Global Warming. Kapanadze N., Tatishvili M., Meladze M., Mkurnalidze I. Тенденции засухи в Восточной Грузии на фоне глобального потепления. Капанадзе Н.И, Татишвили М.Р., Меладзе М.Г. Мкурналидзе И.П.	69
11	მზის აქტივობის გავლენა და ტენდენციები საქართველოს კლიმატზე და მის პოტენციალზე. ხუციშვილი ე. The impact and trends of solar activity on the climate and potential of Georgia. Khutsishvili E. Влияние и тенденции солнечной активности на климат Грузии и его потенциал. Хуцишвили Е.	78
12	გვალვის მონიტორინგის შესაძლებლობები მანქანური სწავლების საშუალებით. ფალავანდიშვილი ა. Drought monitoring capabilities through machine learning. Palavandishvili A. Возможности мониторинга засухи с помощью машинного обучения. Палавандишвили А.	84
13	აღმოსავლეთ საქართველოს მყინვარული აუზების მყინვარების და თოვლნარების მორფოლოგიისა და ექსპოზიციის შესწავლის შედეგები თანამგზავრული დისტანციური დაკვირვების საფუძველზე. შენგელია ლ., კორძახია გ., თვაური გ., გულიაშვილი გ., ძაძამია მ. Results of the study of the morphology and exposure of glaciers and snowfields in the glacial basins of estern Georgia based on satellite remote sensing. Shengelia L., Kordzakhia G , Tvauri G., Guliashvili G., Dzadzamia M. Результаты изучения морфологии и экспозиции ледников и снежников ледниковых бассейнов Восточной Грузии на основе спутникового дистанционного зондирования. Шенгелия Л., Кордзахия Г., Тваური Г., Гулиашвили Г., Дзadzamia М.	89
14	სტრუქტურირებული მონაცემების გამოყენება საქართველოს დაუცველ რეგიონებში ბუნებრივი ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესაფასებლად. ტატიშვილი მ., სამხარაძე ი., ფალავანდიშვილი ა., ნებერიძე ნ., ელბაკიძე-ჩარგაზია ხ. Use of Structured data to evaluate natural hydrometeorological events in vulnerable regions of Georgia. Tatishvili M., Samkharadze I., Palavandishvili A., Nebieridze N., Elbakidze-Chargazia Kh. Использование структурированных данных для оценки природных гидрометеорологических явлений в уязвимых регионах Грузии. Татишвили М., Самхарадзе И., Палавандишвили А., Небнеридзе Н., Элбакидзе-Чаргазия Х.	102
15	გვალვების უარყოფითი ეკოლოგიური და ეკონომიკური ზეგავლენის შეფასების სირთულეები საქართველოში. მ. ციцаგი, ზ. გულაშვილი, ა. ფალავანდიშვილი, მ. ტატიშვილი, ნ. ზოტიკიშვილი Difficulties in Estimating the Negative Ecological and Economic Impacts of Droughts in Georgia. M.Tsitsagi, Z.Gulashvili, A.Palavandishvili, M.Tatishvili, N. Zotikishvili Трудности оценки негативных экологических и экономических последствий засух в Грузии. М. Цицаги, З.Гулашвили, А.Палавандишвили, М.Татишвили, Н.Зотикишвили	106
	ეკოლოგია-Ecology-Экология	
16	იისფერი ფოტოტროფული ბაქტერიების (PPB) გამოყენება ცირკულარული ბიოეკონომიკისა და ჩამდინარე წყლების ვალიორიზაციისთვის საქართველოში. ძებისაშვილი ნ., დუღაშვილი დ. Harnessing Purple Phototrophic Bacteria (PPB) for Circular Bioeconomy and Wastewater Valorization in Georgia. Dzebisashvili N., Dughashvili D. Использование пурпурных фототрофных бактерий (PPB) для циркулярной биоэкономики и валоризации сточных вод в Грузии. Дзебисашвили Н., Дугашвили Д.	117
17	სარესტავრაციო სამუშაოებისა და კლიმატის ცვლილების გავლენა ბარაკონის ტაძრის მდგომარეობაზე. ძებისაშვილი ნ., ბუაჩიძე ნ., დუღაშვილი დ., ფოფორაძე ნ., მაისურაძე ვ., ნინოშვილი ლ. The Impact of Restoration Work and Climate Change on the State of the Barakoni Cathedral. Dzebisashvili N., Buachidze N., Dughashvili D., Poporadze N., Maisuradze V., Ninoshvili L. Влияние реставрационных работ и изменения климата на состояние собора Баракони. Дзебисашвили Н., Буачидзе Н., Дугашвили Д., Попорадзе Н., Маисурадзе В., Ниношвили Л.	125

18	ატმოსფერული ნალექების მინერალიზაცია - კულტურული ტურიზმის გარემოს ეკოლოგიური დატვირთვის ინდიკატორი. გუნია გ., სვანიძე ზ. Mineralization of Atmospheric Precipitation - an Indicator of the Ecological Load of Cultural Tourism Environment. Garry G., Svanidze Z. Минерализация атмосферных осадков - индикатор экологической нагрузки среды культурного туризма. Гуния Г.С., Сванидзе З.С.	130
19	ქ. კუთაისის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შეფასება ექსპერიმენტული გაზომვებით. სურმავა ა., კუხალაშვილი ვ., ინჭკირველი ლ., გიგაური ნ., სესაძე ვ. Assessment of atmospheric air pollution in Kutaisi using experimental measurements. Surmava A., Kukhalashvili V., Intskirveli L., Gigauri N., Sesadze V. Оценка загрязнения атмосферного воздуха г.Кутаиси с помощью экспериментальных измерений. Сурмава А., Кухалашвили В., Инцкирвели Л., Гигаური Н., Сесадзе В.	135
20	მდ. მტკვრის და მისი ზოგიერთი მცირე შენაკადის წყლის ხარისხის კლასიფიკაციის მინიჭება ჰიდროქიმიური ინდიკატორების გამოყენებით (20015-20016, 2023-2024წწ.). მდივანი ს., ბუაჩიძე ნ. Assigning a water quality classification to the Mtkvari River and some of its small tributaries and assessing changes in their ecological status based on comparative analysis (20015-20016, 2023- 2024). Mdivani S., Buachidze N. Присвоение классификации качества воды реке Мтквари и некоторым ее малым притокам и оценка изменений их экологического состояния на основе сравнительного анализа (20015-20016, 2023-2024 гг.). Мдивани С., Буачидзе Н.	142
21	მდ. ცხენისწყალი და ლუხუნის წყლის ხარისხის კლასიფიკაციის დადგენა ჰიდროქიმიური ინდიკატორების მიხედვით. შავლიაშვილი ლ., კუჩავა გ., ტაბატაძე მ., შუბლაძე ე. Determination of water quality classification of Tskhenistskali and Lukhuni rivers according to hydrochemical indicators. Shavliashvili L., Kuchava G., Tabatadze M., Shubladze E. Определение классификации качества воды рек Цхенискали и Лухуни по гидрохимическим показателям. Шавлиашвили Л., Кучава Г., Табатадзе М., Шубладзе Е.	150

doi.org/10.36073/1512-0902-2025-136-07-15

უკ. 551.482.215.3

დასავლეთ საქართველოს მდინარეთა უდიდესი წყალმოვარდნების მაქსიმალური ხარჯების მრავალწლიური დინამიკა

ცისანა ბასილაშვილი, მიხეილ ფიფია, ნარინე არუთინიანი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

jarjino@mail.ru

რეზიუმე. დასავლეთ საქართველოს მთავარი 29 ჰიდროლოგიური საგუშაგოს 61-92 წლიან დაკვირვებათა მონაცემებით შედგენილია წყალმოვარდნების უდიდესი მაქსიმალური ხარჯების ყოველწლიური ცვლილების ტრენდები და განსაზღვრულია მათი წრფივი აპროქსიმაციის შესაბამისი განტოლებები. მათი პარამეტრების მიღება მეტად აქტუალურია და აქვს დიდი პრაქტიკული ღირებულება, რადგან მათი გათვალისწინება მნიშვნელოვანია მდინარეებზე და მათ სანაპირო ზონებში არსებული და ახალ ნაგებობათა დაგეგმარებისა და პროექტების შედგენის დროს, აგრეთვე საშიში ჰიდროლოგიური მოვლენების პროგნოზირებისა და თავიდან აცილების მიზნით.

საკვანძო სიტყვები: აღმავალი და დაღმავალი ტენდენციები, ტრენდის პარამეტრები.

შესავალი. მდინარისპირა ტერიტორიის ათვისების საწყისი მონაცემი და გარემოს ეკოლოგიური უსაფრთხოების განმსაზღვრელი სიდიდე არის მდინარის წყალმოვარდნის უდიდესი მაქსიმალური ხარჯი და მისი განვითარების მოსალოდნელი ცვლილება შეისწავლება ამ ხარჯების მრავალწლიური ტრენდით.

კლიმატის მიმდინარე გლობალური დათბობის გავლენა აისახება მრავალ ჰიდრომეტეოროლოგიურ მოვლენებზე. ტემპერატურისა და შესაბამისად აორთქლების მომატების გამო, ზღვისპირა რეგიონებში გაიზარდა ატმოსფერული ნალექების რაოდენობა, რაც ზრდის აქ მდინარეთა მაღალი წყალმოვარდნების საშიშროებას. გარდა ამისა, გაიზარდა კავკასიონის მთავარ ქედზე მდინარეთა სათავეებში არსებული მყინვარების დნობის ინტენსივობა. შედეგად გახშირდა კატასტროფული წყალმოვარდნები და მათგან მიყენებული ზარალი. ამ მიზეზთა გამო, მდინარეთა წყლის უდიდესი მაქსიმალური ხარჯების ცვლილების შესწავლა და შეფასება ძალზე საჭირო და აქტუალურია მოსახლეობის სამეურნეო, საპროექტო და სამეცნიერო ორგანიზაციების მომსახურების მიზნით.

ძირითადი ნაწილი. მდინარეთა წყლის მაქსიმალური ხარჯების მრავალწლიური განვითარების შესაფასებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ცალკეული მდინარის წყალშემკრები აუზის ტერიტორიაზე ჰიდროლოგიური სადამკვირვებლო ქსელის არსებობას. გასული XX საუკუნის 90-იან წლებამდე საქართველოს მდინარეებზე მოქმედებდა 153 ჰიდროლოგიური პუნქტი [1], სადაც დღეში ორჯერ (8 და 20 სთ) სათანადო გაზომვებით განისაზღვრებოდა წყლის ხარჯები ($\text{მ}^3/\text{წმ}$). მას შემდეგ მოქმედებს მხოლოდ 20-მდე საგუშაგო, სადაც ავტომატურად ხდება წყლის დონეების აღრიცხვა, რომელთა მიხედვით ხარჯების გრაფიკების გამოყენებით იანგარიშება წყლის ხარჯები.

კვლევის მიზნით, 1981 წლამდე არსებული დაკვირვებათა მონაცემები, მდინარეთა წყლის ყოველწლიურ უდიდეს მაქსიმალურ ხარჯებზე, აღებულია გამოქვეყნებული [2-5] ცნობარებიდან, 1981-2020 წლების დაკვირვებათა მონაცემები კი მიღებულია გარემოს დაცვის სააგენტოს [6] ინფორმაციით.

ზოგადად, მდინარეთა წყლის ჩამონადენი წარმოადგენს მოცემული ჰიდროლოგიური პუნქტის (ჰიდროკვეთის) ზემოთ მდებარე წყალშემკრებ აუზში მიმდინარე ყველა მეტეოროლოგიური, ჰიდროლოგიური, გეოლოგიური, ოროგრაფიული და სხვათა ურთიერთქმედების შედეგს.

საქართველოს მდინარეები სათავეს იღებენ დიდი და მცირე კავკასიონის ქედებზე. დასავლეთში მდინარეები ჩაედინებიან შავ ზღვაში, აღმოსავლეთში კი მდინარეები მიედინებიან კასპიის ზღვისკენ. ვინაიდან წყლის ჩამონადენის განმაპირობებელი, როგორც კლიმატური, ასევე სხვა ფაქტორები დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეთა აუზებში კარდინალურად განსხვავებულია. ამის გამო, მათზე წყალმოვარდნების ფორმირების პროცესები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ამიტომ მათი განვითარების მრავალწლიური დინამიკის შესწავლა ჩატარდა ცალ-ცალკე.

კვლევის ობიექტი და მეთოდოლოგია. დასავლეთ საქართველოში მდინარეთა წყალშემკრები აუზები უშუალოდ შავი ზღვისკენ ამფითეატრით არიან მიმართული, საიდანაც წამოსული ნოტიო ჰაერის მასები აქ უხვად კონდენსირდებიან და წარმოქმნიან მაღალ წყალმოვარდნებს წლის თითქმის ყველა დროს. ამასთან ერთად, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 1975 წელს გამოქვეყნებულ [7] კატალოგის მიხედვით, დასავლეთ საქართველოში კავკასიონის მთავარ ქედზე არსებული 409 მყინვარის საერთო ფართობი შეადგენდა 465,7 კვ.კმ-ს. კლიმატის მიმდინარე გლობალური დათბობის პირობებში ისინი თანდათან დნებოდნენ და ზრდიდნენ მდინარეთა ჩამონადენსა და მათი წყალმოვარდნების მაქსიმალურ ხარჯებს.

საყურადღებოა აგრეთვე ის გარემოება, რომ საქართველოს მთიანი ტერიტორია მოქცეულია 7-9 ბალიანი ინტენსივობის მიწისძვრების არეალში. მათი უარყოფითი ზემოქმედება გამოიხატება აქ, არა მარტო ნაგებობათა ნგრევაში, არამედ აგრეთვე მიწისზედა კატასტროფული მოვლენების პროვოცირებაშიც, ისეთი, როგორიცაა თოვლისა და კლდის ზვავები, მეწყერები და სხვა, რომელთაც შეუძლიათ მდინარეთა კალაპოტების ჩახერგვა და ე.წ. ნაზღვლევი წყალმოვარდნების განვითარება. თუ ამ დროს მოხდა თანხვედრა მაღალი ინტენსივობის წვიმებისა, მაშინ წარმოიქმნება კატასტროფული ღვარცოფული წყალმოვარდნა, რაც ზოგჯერ ისე სწრაფად ხდება, რომ მოსახლეობა ვერ ასწრებს ტრაგედიის ადგილიდან გასვლას, თავის გადარჩენას და იღუპება. ამის სავალალო მაგალითი იყო 2023 წლის 3 აგვისტოს შოვის კატასტროფა, რომელმაც გამოიწვია კურორტის განადგურება და 33 ადამიანის დაღუპვა.

წყალმოვარდნებით მიყენებული ზარალის მიზეზი არის კიდევ, მდინარეთა ხეობაში ფერდობებისა და ჭალების ათვისება, მცენარეული საფრის გამეჩხერება, ეროზიული და მეწყრული პროცესების გაძლიერება, მდინარეთა კალაპოტების გამტარუნარიანობის შემცირება და სხვა. წყალმოვარდნების საშიშროების რისკი დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებით დიდია მთისწინებისა და ბარის რელიეფის ზონაში, სადაც წყალმოვარდნები ავსებენ რა მდინარეთა კალაპოტებს, გადმოდიან ნაპირებიდან და ტბორავენ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, დასახლებებს, გზებს, აზიანებენ ხიდებს, სასმელი წყლისა და სამელიორაციო სისტემებს და სხვა ნაგებობებს. მდინარეთა აუზების ზედაპირის გადარეცხვით კი, იკარგება ათეულობით ჰექტარი ნიადაგი. სურ. 1-ზე მოცემულია დოკუმენტური მასალა მდინარეზე გავლილი წყალმოვარდნისა, რაც ნათელ წარმოდგენას იძლევა მათ რეალურ საშიშროებაზე.

მდინარეთა ხეობებში ყველა სახის ნაგებობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების დასაბუთებისათვის საჭიროა მდინარეთა უდიდესი მაქსიმალური ხარჯების წყალსამეურნეო საანგარიშო პარამეტრების დადგენა არსებულ მრავალწლიან დაკვირვებათა მასალების სათანადო მათემატიკური სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე.



სურ. 1. მდ. რიონის წყალმოვარდნა სოფ. ჭალადიდში 1987 წელს. (ფოტო ვერტმფრენიდან)

დასავლეთ საქართველოს მდინარეთა წყალმოვარდნების შესწავლის მიზნით გამოყენებულ იქნა 29 სამეურნეო დანიშნულების ჰიდროკვეთზე წყლის ხარჯებზე არსებულ დაკვირვებათა ყოველწლიური მონაცემები. ვინაიდან მთის მდინარეებზე, წყალმოვარდნების დროს რთულია წყლის ხარჯების გაზომვითი სამუშაოების ჩატარება, ამიტომ მათზე დაკვირვებათა რიგებში არის გამოტოვებული შემთხვევები. მათი

აღდგენისა და დაკვირვებათა ერთიანი რიგების შედგენის მიზნით, გამოყენებულ იქნა ანალოგ მდინარეთა წყლის ხარჯების მონაცემთა ურთიერთკავშირების კორელაციური ანალიზი და გრაფიკული ინტერპოლაციის მეთოდი. მრავალმხრივი კვლევის შედეგად მიღებულ იქნა მდინარეთა უდიდესი მაქსიმალური ხარჯების 61-92 წლიან ყოველწლიურ მონაცემთა ბაზა.

აქ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ვინაიდან დასავლეთ საქართველოს ცალკეულ მთის მდინარეთა წყლის ჩამონადენის ფორმირების პირობები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ამიტომ მათზე წარმოქმნილი წყალმოვარდნები და მათი მაქსიმალური ხარჯები არ არიან იდენტურები და ხასიათდებიან ინდივიდუალური თავისებურებებით. ამის გამო, გამოტოვებულ შემთხვევათა აღდგენა ზოგიერთ მდინარეზე, დაბალი კორელაციური კავშირების გამო, ანალოგ მდინარეთა მოძებნა ვერ მოხერხდა. 1 ცხრილში მოცემულია მაქსიმალურ ხარჯებზე არსებულ დაკვირვებათა წლების რაოდენობა (n) და გამოტოვებულ შემთხვევათა აღდგენის შედეგად მაქსიმალური ხარჯების მონაცემთა განხილული წლების რაოდენობა (N).

ამ მონაცემების მიხედვით, [8] ნაშრომში მოცემულია უდიდესი მაქსიმალური ხარჯების განახლებული ძირითადი პარამეტრები. პრაქტიკული დანიშნულების თვალსაზრისით, ყველა კატეგორიის ჰიდროტექნიკური ნაგებობების სამეურნეო და საპროექტო ორგანიზაციებში წყალსამეურნეო გაანგარიშებების ჩასატარებლად, გარდა ძირითადი პარამეტრებისა, მეტად მნიშვნელოვანია მათი მოსალოდნელი განვითარების მასშტაბები. ამ მიზნით [9] ნაშრომში განსაზღვრულია საკვლევი მდინარეთა უდიდესი მაქსიმალური ხარჯების ალბათური მნიშვნელობები სხვადასხვა (0,01; 0,1; 1; 2; 5; 10; 20) პროცენტის უზრუნველყოფით, რომლებიც შეესაბამება 10 000; 1000; 100; 80; 20; 10; 5 წლიანი განმეორებადობის ხარჯებს. ისინი გარკვეულწილად პასუხობენ კითხვას, თუ როგორია ნაგებობის ან რაიმე ღონისძიების უსაფრთხოების უზრუნველყოფა მდინარის მაქსიმალური ხარჯის გარკვეული მნიშვნელობის დროს. მათი განმეორებადობა კი გვიჩვენებს იმ წელთა რიცხვს, რომელთა დროს გაივლის შესაბამისი მაქსიმალური ხარჯი საშუალოდ ერთხელ მაინც.

ამჯერად ვიკვლევთ უდიდესი მაქსიმალური ხარჯების ყოველწლიური მონაცემების მრავალწლიურ დინამიკას. საჭიროა განისაზღვროს ამ დინამიკის როგორც ხარისხობრივი, ისე მისი რაოდენობრივი მნიშვნელობები, რაც გულისხმობს მათი ტრენდების შეფასებას წრფივი აპროქსიმაციის ამსახველი განტოლებით:

$$T_{Qm} = \pm AN + B \quad (1)$$

სადაც T_{Qm} - საკვლევი ელემენტის ტრენდია, რაც ჩვენს შემთხვევაში მდინარის წყლის უდიდესი მაქსიმალური ხარჯების ყოველწლიური მნიშვნელობების ცვლილების ტენდენციების ამსახველი წრფეა;

A - განტოლების კოეფიციენტი, ტრენდის მთავარი პარამეტრია, რომლის ნიშანი (+ ან -) უჩვენებს ხარისხობრივად საკვლევი ელემენტის ცვლილების მიმართულებას: დადებითი (+) ნიშანი გამოხატავს მის აღმავალ ტენდენციას ანუ მატებას, ხოლო უარყოფითი (-) ნიშანი მიუთითებს მის დაღმავალ ტენდენციას ანუ კლებას;

A - კოეფიციენტის რიცხვითი მნიშვნელობა კი, რაოდენობრივად განსაზღვრავს საკვლევი ელემენტის - მდინარის წყლის უდიდესი მაქსიმალური ხარჯების ყოველწლიური ცვლილების ინტენსივობას ანუ მის ყოველწლიურ სიჩქარეს.

N - საკვლევი ელემენტის დაკვირვებათა მონაცემების რიგითი ნომერია მათი საწყისი წლიდან, რომლისთვისაც $N = 1$, ყოველი შემდეგი (i) წლის მონაცემებისთვის $N = 1 + i$.

B - განტოლების მუდმივა - ტრენდის პარამეტრია, რომელიც წარმოადგენს საკვლევი ელემენტის მინიმალურ მნიშვნელობას ტრენდის ამსახველი წრფის აღმავალი (+A) ტენდენციის შემთხვევაში ან მის მაქსიმალურ მნიშვნელობას ტრენდის წრფის დაღმავალი (-A) ტენდენციის დროს.

ექსპერიმენტული შედეგები და განსჯა. მდინარეთა უდიდესი მაქსიმალური ხარჯების მრავალწლიური ცვლილების შესწავლის მიზნით, ყოველწლიურ ჭრილში, [10] ნაშრომში განხილულ იქნა საქართველოს მდინარეებზე 1991 წლამდე არსებული 50-70 წლიან დაკვირვებათა რიგებით შედგენილი ტრენდები და მათი წრფივი აპროქსიმაციით მიღებული განტოლებების პარამეტრები. მაშინ მრავალწლიური ცვლილებების დინამიკაში, მკვეთრად იყო გამოხატული მათი ყოველწლიური ზრდის ტენდენცია იმ მდინარეებზე, რომელთა სათავეებში იყო მყინვარები და მუდმივი თოვლის საფარი და შესაბამისად მათი ნადნობი წყლები მონაწილეობდნენ მდინარეთა მაქსიმალური ხარჯების ფორმირებაში. ამ მხრივ, გამონაკლისი იყო მდ. ყვირილა, სადაც, მიუხედავად მის აუზში ნივალური ზონის არ არსებობისა, მდინარეზე აღინიშნებოდა მაქსიმალური ხარჯების მატების ტენდენცია, რაც გამოწვეული იყო თოვლის

საფარის დნობისა და შავი ზღვიდან შემოჭრილი ჰაერის ნოტიო მასების კონდენსირების შედეგად მიღებული უხვი ნალექით.






ცხრილი 1. დასავლეთ საქართველოს მდინარეთა ჰიდროკვებები, წყლის მაქსიმალურ ხარჯებზე არსებულ დაკვირვებათა წლები (n) და განხილული წლების რაოდენობა (N)

ჰ ი დ რ ო კ ვ ე თ ე ბ ი		აუზის ფართი (კმ²)	დაკვირვების წლები	წლების რაოდენობა	
№	მდინარე - პუნქტი			n	N
1	ბზიფი - ჯირხვა	1410	1931-1991	61	61
2	კოდორი - ლათა	1420	1931-1991	61	61
3	ენგური - ხაიში	2780	1919-22, 27-99, 2001, 03, 05, 08-18, 20	92	92
4	ენგური - დიზი	1620	1919-22, 27-99, 2001, 03, 05, 08-18, 20	92	92
5	ნენსკრა - ლახანი	468	1919-22, 27-99, 2001, 03, 05, 08-18, 20	92	92
6	მესტიაჭალა - მესტია	144	1919-22, 27-99, 2001, 03, 05, 08-18, 20	92	92
7	რიონი - ონი	1060	1919-22, 27-99, 2001, 03, 05, 08-18, 20	92	92
8	რიონი - ალპანა	2830	1919-22, 27-99, 2001, 03, 05, 08-18, 20	92	92
9	რიონი - ნამოხვანი	3450	1919-22, 27-99, 2001, 03, 05, 08-18, 20	92	92
10	რიონი - საქოჩაკიძე	13300	1919-22, 27-99, 2001, 03, 05, 08-18, 20	92	92
11	ყვირილა - საჩხერე	533	1919-22, 27-99, 2001, 03, 05, 08-18, 20	92	92
12	ყვირილა - ზესტაფონი	2490	1919-22, 27-99, 2001, 03, 05, 08-18, 20	92	92
13	ძირულა - წევა	1190	1919-22, 27-99, 2001, 03, 05, 08-18, 20	92	92
14	ხანისწყალი - ბაღდათი	655	1919-22, 27-99, 2001, 03, 05, 08-18, 20	92	92
15	ჩხერიმელა - ხარაგაული	398	1919-22, 27-99, 2001, 03, 05, 08-18, 20	92	92
16	ცხენისწყალი - ლუჯი	506	1933-1997	64	84
17	ცხენისწყალი - რცხმელური	1450	1919-22, 27-90, 2001, 03, 05, 08-11	64	84
18	ცხენისწყალი - ხიდი	1950	1919-22, 27-99, 2001, 03, 05, 08-11	64	84
19	ტეხური - ნაქალაქევი	558	1933-97, 2005	73	84
20	ხოზი - ლეგახარე	310	1938-94, 99, 2001, 05	52	84
21	სუფსა - ჩოხატაური	316	1927, 32-35, 38, 40-91, 96-97, 99, 2005	62	62
22	სუფსა - ხიდმაღალა	400	1927, 32-35, 38, 40-91, 96-97, 99, 2005	62	62
23	ნატანები - ნატანები	469	1932-35, 38, 40-91, 96, 99, 2005	60	62
24	კინტრიში - კოხი	191	1940-91, 99	53	62
25	ჩაქვისწყალი - ხალა	120	1940-91, 99	53	62
26	ბჟუჟა - გომი	112	1940, 50, 52-87	38	62
27	აჭარისწყალი - ქედა	1360	1922, 31-90, 93, 99	63	63
28	აჭარისწყალი - ხულო	251	1922, 31-90, 93, 99	63	63
29	ჭოროხი - ერგე	22100	1922, 30-37, 39-90, 99	62	63

მიმდინარე XXI საუკუნეში, კლიმატის დათბობის მატებასთან დაკავშირებით, ტემპერატურის მომატებამ გამოიწვია მდინარეთა სათავეებში არსებული მყინვარების დეგრადაცია. ისინი დნებიან და იშლებიან ნაწილებად, რის გამოც გაიზარდა მათი რაოდენობა, მაგრამ შემცირდა მათი ფართობი და მოცულობა. ამის შესაბამისად მცირდება მათი დნობით მიღებული მდინარეთა წყლის ჩამონადენი.

მყინვარების დისტანციური ზონდირების მონაცემების გამოყენებით, [II] ნაშრომის თანახმად, დასავლეთ საქართველოში არსებული მყინვარების ფართობი 2020 წლისთვის, XX საუკუნის 70-იან წლებთან შედარებით 190,3 კვ.კმ-ით ანუ 41 %-ით შემცირდა. ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, აისახება მდინარეთა ჩამონადენისა და მათი მაქსიმალური ხარჯების მნიშვნელობაზე.

მ³/წმ



ნახ. 1. მაგალითები მდინარეთა უდიდესი მაქსიმალური ხარჯების (მ³/წმ) ტრენდებისა

გარდა ამისა, კლიმატის გლობალური დათბობის გააქტიურების პირობებში, მდინარეთა აუზებში ხდება ნულოვანი იზოთერმის აწევა უფრო მაღალ სიმაღლით ზონაში, რის გამოც მცირდება ცივი პერიოდის ხანგრძლივობა და იზრდება თბილი პერიოდი. ამის შესაბამისად მცირდება თოვლის საფრის რაოდენობა და მისი დნობით მიღებული წყლის ჩამონადენი. თბილი პერიოდისა და ტემპერატურის მომატების შედეგად იზრდება აორთქლება და შესაბამისად ისევ მცირდება მდინარეთა წყლის ჩამონადენი.

აღსანიშნავია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ადრე მთის პირობებში არსებული მაღალი თოვლის საფრის დნობით მიღებული წყალი, თითქმის უდანაკარგოდ ჩაედინებოდა მდინარის კალაპოტში და იწვევდა მდინარის ჩამონადენის გაზრდას. სადღეისოდ კი, ისედაც შემცირებული თოვლის საფარი, დნობის დროს უხვად იხარჯება მომატებულ აორთქლებასა და გამომშრალ ნიადაგში ინფილტრაციაზე.

ამრიგად, ადრეულ წლებში, მდინარეთა აუზებში არსებული მყინვარებისა და დიდი რაოდენობის თოვლის საფრის დნობა იწვევდა წყალმოვარდნების ჩამონადენის გაზრდას. სადღეისოდ კი, მათი შემცირება იწვევს შესაბამისად მდინარის ჩამონადენისა და მათი მაქსიმალური ხარჯების შემცირებას. ამაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა ნახ. 1-ზე წარმოდგენილი მაგალითები მდინარეთა მაქსიმალური ხარჯების ტრენდების გრაფიკული გამოსახულებები. მე-2 ცხრილში კი, მოცემულია ყველა საკვლევი 29 ჰიდროკვეთისათვის მიღებული ტრენდების წრფივი აპროქსიმაციით მიღებული განტოლებების პარამეტრები.

მათი ანალიზიდან ჩანს, რომ მდინარეებზე, რომელნიც კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთებიდან იღებენ სათავეს, ჩვენს ხელთ არსებული წყალმოვარდნების მაქსიმალურ ხარჯებზე დაკვირვებათა მონაცემებით, მდ. ბზიფსა და მდ. კოდორზე ადრეული (1931-1991 წწ) 61 წლიანი რიგის საფუძველზე მიღებული ტრენდების მიხედვით, აღინიშნებოდა მათი მაქსიმალური ხარჯების ყოველწლიური მატება. მაგალითად მდ. კოდორზე მიღებული ტრენდი ანალიტიკურად ასე გამოისახება:

$$T_{Qm} = 4,13 N + 370. \quad (2)$$

შედარებით მცირე მატება აღინიშნება უფრო გვიანი (2001-2011 წწ) მონაცემების დამატებით მიღებულ მყინვარებით მოსაზრდოვე მდ. ცხენისწყლის ტრენდებზე მის ზემო წელში (სოფ. ლუჯთან და სოფ. რცხმელურთან). 64 წლიანი დაკვირვების ინფორმაციით სოფ. რცხმელურთან მიღებული წყლის მაქსიმალური ხარჯების ყოველწლიური ცვლილების ტრენდის განტოლება ასეთია:

$$T_{Qm} = 0,43 N + 348. \quad (3)$$

აღმავალი ტენდენციით ($A = 0,714$) ხასიათდება აგრეთვე ტრენდი მდ. ტეხურაზე სოფ. ნაქალაქევთან, სადაც მდინარე უხვად იკვებება კოლხეთის დაბლობზე მომატებული ნალექებით.

აღსანიშნავია, რომ მდ. ყვირილაზე ქ. ზესტაფონთან წყლის მაქსიმალურ ხარჯზე ადრეულ (1991 წლამდე) დაკვირვებათა მონაცემებით მიღებული ტრენდის აღმავალი ტენდენცია [10], ახალი (2021 წლამდე) ინფორმაციით, შეიცვალა მისი საწინააღმდეგო დაღმავალი ტენდენციის ტრენდით, რაც შეიძლება აიხსნას იმით, რომ კლიმატის ცვლილების შედეგად აუზში შემცირდა თოვლის საფარი, მოსული ნალექები კი უხვად იხარჯება მომატებულ აორთქლებასა და ნიადაგში ჩაქონვაზე. ამის გამო, მდ. ყვირილას მაქსიმალური ხარჯები ყოველწლიურად $1,04 \text{ მ}^3/\text{წმ}$ -ით მცირდება.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ დასავლეთ საქართველოს მდინარეთა აუზებში არსებული მყინვარების ყველაზე დიდი რაოდენობა აღრიცხულია მდ. ენგურისა და მდ. რიონის სათავეებში [7], მაგრამ მათი წყალმოვარდნების მაქსიმალური ხარჯების ტრენდები ხასიათდება დაღმავალი ტენდენციით, რაც აიხსნება იმ გარემოებით, რომ მათ აუზებში არსებული მყინვარების ფართობი 2020 წლისთვის [11] შრომის მიხედვით XX საუკუნის 70-იან წლებთან შედარებით 40-42 %-ით შემცირდა. ამის გამო, მათი მაქსიმალური ხარჯების 2021 წლამდე არსებული 92 წლიანი დაკვირვებათა მონაცემებით, მდ. ენგურის მაქსიმალური ხარჯების მრავალწლიური ცვლილების ტრენდის ანალიტიკური გამოსახულება სოფ. ხაიშთან, ასეთია:

$$T_{Qm} = -1,746 N + 809, \quad (4)$$

რის მიხედვითაც მდ. ენგურის მაქსიმალური ხარჯები ყოველწლიურად $1,746 \text{ მ}^3/\text{წმ}$ -ით მცირდება. მაქსიმალური ხარჯები ასევე მცირდება ყოველწლიურად მდ. რიონის ზემო წელში: სოფ. ონთან $0,265 \text{ მ}^3/\text{წმ}$ - ით, სოფ. აღპანასთან $0,906 \text{ მ}^3/\text{წმ}$ -ით და სოფ. ნამოხვანთან $1,746 \text{ მ}^3/\text{წმ}$ -ით.

სულ სხვა ვითარება აღინიშნება მდ. რიონის ქვემო წელში, სადაც მისი ჩამონადენი იზრდება მრავალრიცხოვანი წყალუხვი შენაკადებით და აგრეთვე კოლხეთის დაბლობზე გახშირებული უხვი ნალექებით. შედეგად, სოფ. საქოჩაკიძესთან აღრიცხება მდინარის მაქსიმალური ხარჯების უდიდესი მატება და მისი მრავალწლიური ცვლილების ტრენდის წრფივი აპროქსიმაციით, მიღებულია შემდეგი განტოლება:

$$T_{Qm} = 6,806 + 2045. \quad (5)$$

შავი ზღვის ნოტიო ჰაერის მასების აქტიური ზემოქმედება განსაკუთრებით მკვეთრად აისახება ზღვისპირა მცირე მდინარეთა (სუფსა, ნატანები, კინტრიში, ჩაქვისწყალი, ბჟუჟა) წყლის მაქსიმალური ხარჯების ცვლილებაზე. მათზე არსებული მონაცემებით 1927 წლიდან 2000 წლამდე და 2005 წლის დამატებით, 62 წლიანი დაკვირვებების რიგებით, მიღებულია აღმავალი ტენდენციის ტრენდები, რომელთაგან ყველაზე მაღალი ყოველწლიური მატება აღირიცხება მდ. ნატანებზე სოფ. ნატანებთან, სადაც მაქსიმალური ხარჯების მრავალწლიური ტრენდი ასე გამოისახება:

$$T_{Qm} = 3, 126 N + 222. \quad (6)$$

ცხრილი 2. დასავლეთ საქართველოს მდინარეთა მაქსიმალური ხარჯების ყოველწლიური ცვლილების ტრენდების პარამეტრები (A, B)

მდინარე	პუნქტი	ფართი F კმ²	სიმაღლე H მ	წლების რაოდ. N	პარამეტრები A B		დისპერსია R2
ბზიფი	ჯირხვა	1410	1690	61	1,66	450	0,026
კოდორი	ლათა	1420	1920	61	4,13	370	0,127
ენგური	დიზი	1620	2460	92	-0,664	372	0,009
ენგური	ხაიში	2780	2320	92	-0,403	662	0,001
ნენსკრა	ლახამი	468	2300	92	-0,311	161	0,007
მესტიაჭალა	მესტია	144	2790	92	-0,152	97,3	0,005
რიონი	ონი	1060	2260	92	-0,265	201	0,007
რიონი	ალპანა	2830	1810	92	-0,906	571	0,018
რიონი	ნამოხვანი	3450	1720	92	-1,746	809	0,045
რიონი	საქოჩაკიძე	13300	950	92	6,806	2045	0,015
ყვირილა	საჩხერე	533	1320	92	-0,525	183	0,02
ყვირილა	ზესტაფონი	2490	960	92	-1,042	594	0,01
ძირულა	წევა	1190	880	92	-0,736	323	0,017
ჩხერიმელა	ხარაგაული	655	1230	92	-0,184	118	0,003
ხანისწყალი	ბაღდათი	398	1100	92	-0,462	146	0,022
ცხენისწყალი	ლუჯი	506	2240	84	0,092	97,9	0,005
ცხენისწყალი	რცხმელური	1470	2040	84	0,43	348	0,004
ცხენისწყალი	ხიდი	1950	1800	84	-0,825	390	0,013
ტეხური	ნაქალაქევი	558	1160	84	0,714	302	0,008
ხობი	ლეგახარე	310	1640	84	-0,236	258	0,001
სუფსა	ჩოხატაური	316	1250	62	0,259	106	0,007
სუფსა	ხიდმაღალა	1100	970	62	1,524	442	0,018
ნატანები	ნატანები	469	880	62	3,126	222	0,089
კინტრიში	კოხი	191	1120	62	0,889	128	0,014
ჩაქვისწყალი	ხალა	120	880	62	0,161	141	0,001
ბჟუჟა	გომი	112	1580	62	1,7	55,5	0,043
აჭარისწყალი	ხულო	251	1590	63	-0,227	76	0,018
აჭარისწყალი	ქედა	1360	1470	63	-0,436	335	0,003
ჭოროხი	ერგე	22100		63	-0,77	1525	0,001

სულ სხვა ვითარებაა მდ. ჭოროხზე, რომელზეც გასულ წლებში კლიმატის მომატებული დათბობის ზეგავლენის გარდა, მდინარის ჩამონადენის შემცირებაზე იმოქმედა აგრეთვე თურქეთში აშენებულმა 10-მდე კაშხალმა, რის გამოც 2000 წლამდე არსებული 63 წლიანი დაკვირვებათა რიგებით წყლის მაქსიმალურ

ხარჯებზე, სოფ. ერგესთან მიღებულია მათი მრავალწლიური ცვლილების დადმავალი ტენდენცია. დადმავალი ტენდენციით ხასიათდება აგრეთვე მდ. ჭოროხის შესართავთან მდებარე მის შენაკად აჭარისწყლის მაქსიმალური ხარჯების ტრენდიც, რაც ძირითადად იმით აიხსნება, რომ მიუხედავად სიახლოვისა, შავი ზღვის ნოტიო ჰაერის მასების გავლენა აქ შეზღუდულია მისი წყალგამყოფი მესხეთის ქედით, რომლის სიმაღლეები აუზის გასწვრივ 1300 მ-დან 2700 მ-მდე მერყეობს. მდ. აჭარისწყლის მაქსიმალური ხარჯების 63 წლიანი (1922 – 2020 წწ) დაკვირვებათა მონაცემებით მიღებული ტრენდების პარამეტრების მიხედვით, ისინი მცირდება ყოველწლიურად 0,23 მ³/წმ-ით სოფ. ხულოსთან და 0,44 მ³/წმ-ით სოფ. ქედასთან.

დასკვნა. დასავლეთ საქართველოს მდინარეთა წყალმოვარდნები ფორმირდებიან სხვადასხვა ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემოში და ამიტომ ისინი არ არიან იდენტურები. მდინარეთა წყლის მაქსიმალური ხარჯების ფორმირებაში მონაწილეობენ ზოგან კავკასიონის მთავარ ქედზე არსებული მყინვარების ნადნობი წყლები, ზოგან მაღალ მთებში დაგროვილი თოვლის საფრის ნადნობი წყლები. კოლხეთის დაბლობზე კი, დიდ როლს თამაშობს შავი ზღვის ნოტიო ჰაერის მასების კონდენსირებით მიღებული უხვი ატმოსფერული ნალექები. ამის გამო წყლის მაქსიმალური ხარჯების მრავალწლიური დინამიკა ცალკეულ მდინარეზე სხვადასხვაა და ხასიათდება ინდივიდუალური თავისებურებებით. საყურადღებოა, რომ კლიმატის გლობალური დათბობის გააქტიურების შედეგად შემცირდა მთებში არსებული მყინვარებისა და თოვლის საფრის ნადნობი წყლების ადრე მიმდინარე აქტიური ზემოქმედება, დაბლობებში კი ტემპერატურის მომატებით გაიზარდა აორთქლება და ნიადაგში ინფილტრაცია, რის გამოც მდინარეთა მაქსიმალური ხარჯები ძირითადად მცირდება. მდინარეთა წყლის მაქსიმალური ხარჯების მატება აღინიშნება შავი ზღვისპირა მდინარეებზე, რომელთა ფორმირება ხდება ზღვის ნოტიო ჰაერის მასების ინტენსიური კონდენსირებით მიღებული უხვი ნალექებით. მდინარეთა წყლის უდიდესი მაქსიმალური ხარჯების მრავალწლიური დინამიკის განახლებული და დაზუსტებული ტრენდების პარამეტრების გათვალისწინება წყალსამეურნეო გაანგარიშებებში, შესაძლებელს გახდის დაზუსტდეს ყველა ჰიდროტექნიკური და სხვა ნაგებობათა პროექტების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც მეტად მნიშვნელოვანია მოსახლეობისა და გარემოს უსაფრთხოებისათვის. პერსპექტივაში, კლიმატის შემდგომი დათბობის პირობებში, შესაძლებელია კავკასიონის ქედზე მთლიანად დადნეს მყინვარები, მთებში კიდევ შემცირდეს თოვლის საფარი, დაშრეს წყაროები და გაიზარდოს აორთქლება. ასეთი პროცესის შემთხვევაში უფრო შემცირდება მდინარეთა ჩამონადენი და შესაბამისად მათი მაქსიმალური ხარჯებიც. მდინარეთა წყლის შემცირება გამოიწვევს მტკნარი წყლის რესურსების შემცირებას, რაც თავის მხრივ გამოიწვევს წყალმომარაგებისა და მოსავლიანობის შემცირებას, რაც მეტად უარყოფითად აისახება გარემოზე, საზოგადოებისა და ქვეყნის განვითარებაზე. ამიტომ საჭიროა წინასწარ გარკვეული პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა და ჩატარება.

ლიტერატურა - References-Литература

1. Dolidze J., Kordzakhia G. Overview of hydrometeorological activities in Georgia. Science and Culture. Vol. II, Tbilisi, 2013, pp. 26-39
2. Fundamental Characteristics of Hydrology. Vol. 9, Issued 1, GIMIZ, Leningrad, 1967, 460 p.
3. Fundamental Characteristics of Hydrology. Vol. 9, Issued 1, GIMIZ, Leningrad, 1977, 358 p.
4. Fundamental Characteristics of Hydrology. Vol. 9, Issued 1, GIMIZ, Leningrad, 1978, 300 p.
5. State Water Cadastre, Vol. VI, Georgian SSR, GIMIZ, Leningrad, 1987, 416 p.
6. Department of Hydrometeorology of National Environmental Agency, Tbilisi, 2024
7. Catalog of Glaciers of USSR, Vol. 9, Issue 3, Part 1, GIMIZ, Leningrad, 1975, 86 p.
8. Basilashvili Ts. Updated maximum flood discharges for hydrological calculations of the rivers in Western Georgia. International Scientific Conference “Complex Geophysical Monitoring in Georgia: History, Modern Problems, Promoting Sustainable Development of the Country”, Tbilisi, Georgia, October 17-19, 2024, pp. 64-68. <http://dspace.gela.org.ge/handle/123456789/254>
9. Basilashvili Ts., Berdzenishvili N. The Scale of the Estimated Maximum Discharge of Floods on the Rivers of Western Georgia. International Scientific Conference “Modern Problems of Ecology”, Tbilisi, 2024, pp. 66-70. <http://mpe.openjournals.ge>

10. Basilashvili Ts. Changes of Georgian Mountainous Rivers Water Flows, Problems and Recommendations. American Journal of Environmental Protection, 4, № 3-1, Science Publishing Group (USA), 2015, pp. 38-43
11. Shengelia L., Kordzakhia G., Tvauri G., Guliashvili G., Beridze S. The Study of the Degradation of the Glacial Basin of Western Georgia against the background of ongoing climate change using satellite remote sensing data. Transactions IHM, GTU, Vol. 135, 2024, pp 64-68. doi.org/10.36073/1512-0902-2024-135-64-68

UDC: 551.482.215.3

Long-term trends in peak discharge rates of major floods in the rivers of Western Georgia. Basilashvili Ts.Z., Pipia M.G., Arutiniani N.E. Transactions IHM, GTU. -2025. -vol.136. -pp.07-15. - Georg., Summ. Georg., Eng.Rus.

Based on 61–92 years of observation data from 29 major hydrological checkpoints across Western Georgia, this study identifies trends in the annual changes of peak flood discharges. Linear approximation equations for these trends have been determined, providing essential parameters that hold both practical and predictive value. These findings are crucial for use in the planning and design of existing and future river structures and coastal zone developments, as well as for forecasting potentially hazardous hydrological events.

УДК: 551.482.215.3

Многолетняя динамика максимальных расходов наибольших паводков на реках Западной Грузии. Басилашвили Ц.З., Пипия М.Г., Арутюнян Н.Э. Сб. Трудов ИГМ ГТУ. - 2025. – том 136. - с. 07-15. - Груз.; Рез: Груз., Англ., Рус.

На 29 основных гидрологических постах рек Западной Грузии, по данным 61-92 летних наблюдений, составлены тренды ежегодных изменений максимальных расходов наибольших паводков и определены их соответствующие уравнения по линейной аппроксимации. Получение их параметров, очень актуально и имеет практическую ценность, так как, их предвидение имеет важное значение при планировании и проектировании существующих и новых строений, находящихся на реках и в прибрежных зонах, а также в целях прогнозирования и предотвращения опасных гидрологических явлений.

doi.org/10.36073/1512-0902-2025-136-16-22

უკ. 551,482.215.3

**აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეთა წყლის საშუალო
წლიური ხარჯების განახლებული პარამეტრები
ცისანა ბასილაშვილი**

საქართველოს ტექნიკურ/ი უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი
jarjinio@mail.ru

რეზიუმე. აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეთა 22 საგუშაგოს ჰიდროკვებზე, 2024 წლამდე არსებული ბოლო 33 წლის დაკვირვებათა მონაცემების დამატებით, განახლებულია წყლის საშუალო წლიური ხარჯების მახასიათებელი პარამეტრები. 60 - 97 წლიანი ემპირიული რიგების მონაცემების სტატისტიკური ანალიზით დაზუსტებული ეს პარამეტრები, მიზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნეს, როგორც სამეცნიერო, ისე სამეურნეო და საპროექტო ორგანიზაციებში, რათა სწორად წარიმართოს წყალსამეურნეო გაანგარიშებები მდინარეებზე და მათ სანაპირო ზონებში ჰიდროტექნიკური და სხვა ნაგებობათა ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლების დასაბუთებისათვის, აგრეთვე მდინარეთა წყლის არსებული რესურსების ეფექტური გამოყენებისათვის და პერსპექტივაში მათი უკმარისობის შემთხვევაში, ნეგატიური შედეგების თავიდან აცილების მიზნით, საჭირო ღონისძიებების ჩასატარებლად.

საკვანძო სიტყვები: გამოტოვებულ დაკვირვებათა აღდგენა, მდინარის წყლიანობის ნორმა, წყლის რესურსების შემცირება.

შესავალი. მდინარეთა მუდმივ განახლებადი მტკნარი წყლის რესურსები დიდ როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკაში: ენერგეტიკაში, მრეწველობაში, კომუნალურ და სოფლის მეურნეობაში, რადგან მეურნეობის არცერთი დარგის განვითარება და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება, შეუძლებელია მტკნარი წყლის რესურსების გარეშე.

მომავალში კლიმატის გლობალური ცვლილების შედეგად, სავარაუდოთ, შესაძლოა მოხდეს მდინარეთა ჩამონადენის შიდაწლიური განაწილების ცვლილება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ გაიზრდება ზამთრის პერიოდის წყლის ხარჯები და შემცირდება გაზაფხულ-ზაფხულის ჩამონადენი. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი იქნება მთიანი რეგიონის პირობებში, სადაც კლიმატის დათბობა იწვევს ნულოვანი იზოთერმის მალე აწევას და შესაბამისად თოვლის საფარის შემცირებას. გარდა ამისა, ტემპერატურის მატება იწვევს აორთქლების გაზრდას, გვალვიანობისა და გაუდაბნოების პროცესის განვითარებას, რაც მეტად უარყოფითად იმოქმედებს მდინარეთა წყლიანობაზე.

წყლის რესურსების შემცირება, განსაკუთრებით საშიშია მშრალი კლიმატის რეგიონში, სადაც რწყვის გარეშე შეუძლებელია მოსავლიანობის მიღება. მსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაციის ცნობით, კლიმატის დათბობის შედეგად, დედამიწაზე ექსტრემალური ამინდის პირობებში, გამოიწვევს მსხვერპლს, რადგან მოუსავლიანობა წარმოშობს შიმშილს [1]. ასეთი ვითარება ქმნის იმის აუცილებლობას, რომ უნდა დადგინდეს მდინარეთა არსებული წყლის რესურსების ოდენობა, რათა მათი უკმარისობის შემთხვევაში მიღებულ იქნეს შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები.

მონაცემები საქართველოს მდინარეთა წყლის ყოველწლიური საშუალო ხარჯებისა 1981 წლამდე არსებული სტაციონალური დაკვირვებებით გამოქვეყნებულია [2-5] ცნობარებში. 1985 წლამდე წლიური ხარჯების მონაცემების სათანადო ანალიზი მოცემულია [6, 7] მონოგრაფიებში, 1991 წლამდე არსებული მონაცემების ანალიზი კი მოცემულია [8, 9, 10] ნაშრომებში. მას შემდეგ გასული 33 წლის მანძილზე დაგროვილი დაკვირვებათა მონაცემების დამატებით, საჭიროა მდინარეთა წყლიანობის ნორმების განახლება.

ძირითადი ნაწილი. ვინაიდან საქართველოს მდინარეთა წყლიანობის ფორმირების ბუნებრივი პირობები მკვეთრად განსხვავდებიან მის დასავლეთ და აღმოსავლეთ რეგიონებში, ამიტომ მათი შეფასება ჩატარდა ცალ-ცალკე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დასავლეთ საქართველოში მდინარეთა წყლის რესურსები 3,5-ჯერ მეტია, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში, მაგრამ აქ 5-ჯერ მეტი წყალი გამოიყენება, ვიდრე დასავლეთში. პირველ რიგში განვიხილავთ აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეებს, რომელთა წყლიანობა განსაზღვრავს სასოფლო კულტურების მოსავლიანობას, რადგან აქ მშრალი ჰავის პირობებში, მიუხედავად მაღალი ხარისხის ნოყიერი ნიადაგებისა, მორწყვის გარეშე შეუძლებელია სოფლის მეურნეობის განვითარება, რაც გადამწყვეტია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის. სწორედ ამიტომ, აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეთა წყლის რესურსების 70 % იხარჯება მელიორაციაზე.

კვლევის ობიექტი და მეთოდოლოგია. საქართველოს ტერიტორიაზე არსებული 26060 მდინარიდან აღმოსავლეთ საქართველოში 7951 მდინარეა 24889 კმ საერთო სიგრძით, რომელთა ქსელის სიხშირის კოეფიციენტი 0,68 კმ/კმ²-ია. მათი დიდი ნაწილი (7194 მდინარე, 2369 კმ საერთო სიგრძით) წარმოადგენს, საქართველოს დედა მდინარედ წოდებულ, მდ. მტკვრის შენაკადს. ისინი სხვადასხვა მხრიდან მიედინებიან და უერთდებიან საქართველოს ცენტრალურ ნაწილში კასპიის ზღვისკენ აღმოსავლეთით მიმდინარე მდ. მტკვარს.

აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეების მიერ წლის განმავლობაში ერთ კვადრატულ კილომეტრზე ფორმირებული წყლის საშუალო რაოდენობა შეადგენს 0,37 მლნ მ³/კმ²-ს. წყლის რესურსების საერთო მოცულობა არის 13,45 კმ³, საიდანაც 11,25 კმ³ ადგილობრივი ანუ უშუალოდ ამ ტერიტორიაზე ფორმირებული რესურსია, ხოლო დანარჩენი 2,2 კმ³ შემოდის თურქეთიდან მდ. მტკვრისა და ფოცხოვის სათავეებიდან [7]. აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეებიდან უხვწყლიანობით გამოირჩევა მდ. მტკვარი და მისი პირველი რიგის შენაკადები: ალაზანი, იორი, არაგვი, დიდი ლიახვი, რომლებიც ფორმირდებიან კავკასიონის სამხრეთ ფერდობებიდან. მათგან დიდ ლიახვსა და არაგვს აქვთ მერიდიანული მიმართულება, ხოლო იორსა და ალაზანს სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულება. დანარჩენი მდინარეები: ფარავანი, ქციახრამი და სხვები ჩამოედინებიან სამხრეთ მთიანეთის ზეგნებიდან და შედარებით მცირე წყლიანობით ხასიათდებიან. გარდა ამისა, ივრის ზეგანზე, ქვემო ქართლის ვაკეზე და მტკვრისპირა დაბლობში უმთავრესად ხეებია, სადაც წყალი მიედინება მხოლოდ თოვლის დნობისა და თავსხმა წვიმების დროს. მდ. იორისა და ალაზნის ქვემო წელი კი უჩამონადენო ადგილებად ითვლება.

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ბევრ რეგიონში მდინარეთა ქსელის ფაქტიური სიხშირე, სარწყავი სისტემების გათვალისწინებით გაცილებით მეტია ბუნებრივზე. მაგალითად, მარტო ზემო ქართლის ზეგანზე სარწყავი სისტემების არხების საერთო სიგრძე 16200 კმ-ია, რაც 3-ჯერ აღემატება ამ რეგიონის ბუნებრივ მდინარეთა საერთო სიგრძეს.

საქართველოს მდინარეთა წლიური ჩამონადენის რყევადობას გარკვეული ციკლიურობა ახასიათებს - მცირეწყლიანი და უხვწყლიანი წლების პერიოდებით. ბოლო ათწლეულში კი მათი ჩამონადენის შიდაწლიურ განაწილებაზე სულ უფრო მეტ გავლენას ახდენს სამეურნეო საქმიანობა, რომელიც არღვევს წყლის ობიექტების ბუნებრივ მდგომარეობას.

ცალკეულ მდინარეთა აუზებში არსებული განსხვავებული კლიმატური და ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების გამო, წყლის ჩამონადენის შიდაწლიური განაწილება მრავალფეროვნებით ხასიათდება. აქ ძირითადად შერეული საზრდოობის მდინარეებია, რაშიც მონაწილეობს წვიმის, თოვლის, მიწისქვეშა და მყინვარების წყლები. მდინარეთა საზრდოობაში ამა თუ იმ წყაროს მონაწილეობის წვლილი იცვლება აუზების სიმაღლის, კლიმატის თავისებურებისა და ტერიტორიის გეოლოგიური აგებულების მიხედვით.

მდინარეთა წყლის წლიური ხარჯების ნორმების დაზუსტებისა და მათი განახლების მიზნით, გამოყენებულ იქნა მთავარ მდინარეებზე ადრე არსებული და ამჟამად მოქმედი ჰიდროლოგიური საგუშაგოების დაკვირვებათა მონაცემები წყლის ხარჯებისა (Q მ³/წმ). მათი ანალიზისათვის კი გამოყენებულია ალბათობის თეორიის მათემატიკური სტატისტიკისა და კომპიუტერული კვლევის მეთოდები სათანადო [11] პროგრამის მიხედვით.

მდინარეთა წყლიანობის დასადგენად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ცალკეული მდინარის წყალშემკრებ აუზში სადამკვირვებლო ჰიდროლოგიური ქსელის არსებობას და მათზე დაკვირვებათა რიგების ოდენობას. საქართველოში გასული საუკუნის 90-იან წლებამდე მოქმედებდა 210 მეტეოროლოგიური, 153 ჰიდროლოგიური და 22 ჰიდროგლაციოლოგიური დაკვირვების პუნქტი [12], რომელთა მონაცემები 1981 წლის ჩათვლით გამოქვეყნებულია [2-5] ცნობარებში. 90-იანი წლებიდან საქართველოში მოქმედებს მხოლოდ 15 მეტეოროლოგიური სადგური, 20 ჰიდროლოგიური და 26 მეტეოროლოგიური საგუშაგო, მაგრამ მდინარეებზე აღარ იზომება მათი წყლიანობა, იზომება მხოლოდ წყლის დონეები, რომელთა მიხედვით მიახლოებით განისაზღვრება წყლის ხარჯები. აღსანიშნავია, რომ 1981 წლის შემდეგ მონაცემები მდინარეთა წყლის ხარჯებისა აღარ გამოქვეყნებულა და მათი მოპოვება 21 საუკუნის 20-იან წლებამდე მეტად ძვირადღირებული იყო მატერიალურად ხელმოკლე მეცნიერთათვის, რის გამოც ვეღარ ხდებოდა მათი სათანადო სამეცნიერო კვლევა.

მოცემულ ნაშრომში კვლევა ჩატარდა აღმოსავლეთ საქართველოს 22 ჰიდროლოგიურ საგუშაგოზე არსებულ სტაციონალურ დაკვირვებათა მრავალწლიური მონაცემებით, რომლებიც 1981 წლის ჩათვლით აღებულია [2-5] ცნობარებიდან, ხოლო დანარჩენი 2023 წლის ჩათვლით მიღებულია გარემოს ეროვნული სააგენტოს [13] მონაცემებით. ამ მონაცემთა ანალიზით, გაირკვა რომ აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეებზე გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან აღარ ხდებოდა რეგულარული დაკვირვებები. მხოლოდ

მდ. ალაზანზე ს. შაქრიანთან არის უწყვეტი დაკვირვებების რიგი. აღსანიშნავია, რომ თვით მდინარეთა მთავარ არტერია - მდ. მტკვარზე მხოლოდ 2012 წლიდან აღდგა დაკვირვებები ქ. ბორჯომთან. ქ. თბილისთან კი, 1993 წლის შემდეგ, მხოლოდ 2021 წლიდან დაიწყო დაკვირვებები.

ასეთ ვითარებაში, დაკვირვებათა გამოტოვებულ შემთხვევებში, წყლის ხარჯების მნიშვნელობების აღდგენის მიზნით, გამოყენებულ იქნა ანალოგ მდინარეთა წყლის ხარჯების ურთიერთკავშირების კორელაციური ანალიზი და გრაფიკული ინტერპოლაციის მეთოდი. აქ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ცალკეულ მდინარეთა აუზებში მათი წყლიანობის ფორმირების პირობების განსხვავებულობის გამო, მათი წყლის წლიური ხარჯების კორელაციური კავშირები სუსტია და ამიტომ ზოგიერთი მდინარისთვის ვერ მოხერხდა ანალოგ მდინარეთა შერჩევა და გამოტოვებული დაკვირვებების შემთხვევებისთვის წყლის წლიური ხარჯების აღდგენა.

ცხრილ 1-ში მოცემულია განხილულ მდინარეთა ცალკეულ ჰიდროკვეთებზე საშუალო წლიურ ხარჯებზე არსებულ დაკვირვებათა (n) და აღდგენილი წლების საერთო რაოდენობა (N), საიდანაც ირკვევა, რომ დაკვირვებათა ყველაზე გრძელი რიგი (n = 89 წ) არის მდ. ალაზანზე ს. შაქრიანთან. მდ. მტკვარზე დაკვირვებათა გრძელი რიგებია ს. ხერთვისთან (n = 77 წ) და ქ. თბილისთან (n = 73 წ). მისი შენაკადებიდან დაკვირვებათა გრძელი რიგით (n = 76 წ) გამოირჩევა მდ. ფარავანი ს. ხერთვისთან.

დაკვირვებათა გამოტოვებული შემთხვევების აღდგენის შედეგად ყველაზე გრძელი რიგი (N = 97 წ) მიღებულია მდ. მტკვარზე ქ. ბორჯომთან, ს. ძეგთან და ქ. თბილისთან. 92 წლიანი რიგებია მიღებული მდ. ფოცხოვზე და ბორჯომულაზე, 89 წლიანი რიგები კი არის მდ. ალაზანზე და იორზე.

ცხრილი 1. აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეთა წყლის საშუალო წლიურ ხარჯებზე არსებულ დაკვირვებებისა (n) და აღდგენილი წლების საერთო რაოდენობა (N)

№	მდინარე - პუნქტი	დაკვირვების წლები	n	N
1	მტკვარი - ხერთვისი	1939-94, 98-99, 2002, 06-23	77	87
2	მტკვარი - მინაძე	1934-94, 97-98, 2001-04, 06	68	87
3	მტკვარი - ბორჯომი	1936-94, 96, 2012-23	72	97
4	მტკვარი - ძეგვი	1928-30, 33-35, 38-39, 47-49, 51, 53, 55-57, 60-81	38	97
5	მტკვარი - თბილისი	1924-93, 2021-23	73	97
6	ფარავანი - ხერთვისი	1937-95, 2007-23	76	87
7	ფოცხოვი - სხვილიხი	1929-31, 34-49, 51-94, 97-2004	70	92
8	ბორჯომულა - ბორჯომი	1932-89	58	92
9	დიდი ლიახვი - კეხვი	1929-34, 42-66, 69-90	53	75
Drought Trends in Eastern Georgia in the Context of Global Warming. /Kapanadze N., Tatishvili M., Meladze M., Mkurnalidze I./ Transactions IHM, GTU. -2025. -vol.136. -pp.69-77.- Georg., Summ. Georg., Eng.Rus.

This article analyzes drought trends in Eastern Georgia in the context of global warming. Climatic data (temperature and precipitation) for Tbilisi, Gori, and Telavi from 1957 to 2024 are reviewed. Based on an analysis of the long-term dynamics and intra-annual distribution of average values, changes in the frequency, duration, and intensity of droughts were studied. The distribution of drought types and their relationship with droughts during the vegetation period are also discussed. The study uses the Selyaninov hydrothermal coefficient (HTC), which reveals a trend of increasing drought intensity in recent decades. The results indicate a clear trend of rising temperatures and precipitation instability, leading to an increase in the frequency and spatial extent of droughts. In the context of global warming, the study highlights the need for the implementation of scientific methods and integrated strategies to combat drought.

УДК: 551.583

Тенденции засухи в Восточной Грузии на фоне глобального потепления./Капанадзе Н.И, Татишвили М.Р., Меладзе М.Г. Мкурналидзе И.П./ Сб. Трудов ИГМ ГТУ. - 2025. – том 136. - с.69-77. - Груз.; Рез: Груз., Англ., Рус.

В данной статье анализируются тенденции засух в Восточной Грузии в контексте глобального потепления. Рассматриваются климатические данные (температура и осадки) по Тбилиси, Гори и Телави за период с 1957 по 2024 год. На основе анализа многолетней динамики и внутригодового распределения средних значений изучены изменения в частоте, продолжительности и интенсивности засух. Также обсуждается распределение типов засух и их связь с засухами в вегетационный период.

В исследовании используется гидротермический коэффициент Селянинова (ГТК), на основании которого выявлена тенденция усиления засух в последние десятилетия. Результаты указывают на явную тенденцию повышения температуры и нестабильности осадков, что приводит к увеличению частоты и площади засушливых явлений. В условиях глобального потепления исследование подчёркивает необходимость внедрения научных методов и комплексных стратегий борьбы с засухами.

doi.org/10.36073/1512-0902-2025-136-78-83

უკ: 523.745

მზის აქტივობის გავლენა და ტენდენციები საქართველოს კლიმატზე და მის პოტენციალზე

ეკატერინე ხუციშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

Phoenix579@yahoo.com

რეზიუმე

ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მზის აქტივობის ცვლილებებმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია გლობალურ და რეგიონულ კლიმატურ პროცესებზე. მოცემულ კვლევაში განხილულია მზის აქტივობის გავლენა საქართველოს კლიმატურ პირობებზე და განახლებადი ენერგეტიკული პოტენციალის, კერძოდ, მზის ენერგიის გამოყენების შესაძლებლობებზე. ანალიზი ეფუძნება 1975–2023 წლების განმავლობაში მიღებულ კლიმატურ და ასტრონომიულ მონაცემებს. ეს კვლევა მიზნად ისახავს მზის აქტივობის ტენდენციების გაანალიზებას და მათი კორელაციის შეფასებას საქართველოს კლიმატურ პირობებთან და ენერგეტიკულ პოტენციალთან, განსაკუთრებით განახლებადი ენერგიის ანალიზის შედეგად გამოვლინდა გარკვეული კავშირები მზის აქტივობასა და კლიმატურ ცვალებადობას შორის, რაც თავის მხრივ აისახება როგორც ჰიდროენერგეტიკულ, ისე მზის ენერგიაზე დაფუძნებულ რესურსების გამოყენებაზე. კვლევაში ნაჩვენებია, რომ ტემპერატურის მატება ყველა რეგიონში თანხვედრაშია მზის აქტივობის ციკლებთან. განსაკუთრებით საინტერესოა მზის გამოსხივების მაჩვენებლები აღმოსავლეთ საქართველოში, რაც მზის ენერგიის განვითარებისთვის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ქმნის. მიღებული შედეგები მნიშვნელოვანია როგორც კლიმატური პროგნოზირების, ისე საქართველოს ენერგეტიკული სტრატეგიის დაგეგმვისთვის გრძელვადიან პერსპექტივაში.

საკვანძო სიტყვები: მზის აქტივობა, კლიმატის ცვლილება, საქართველოს კლიმატი

შესავალი

მზის აქტივობა დედამიწის კლიმატურ სისტემაზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარე ფაქტორია. მის ციკლურ ცვლილებებს — განსაკუთრებით მზის ლაქებისა და რადიაციული ნაკადის ცვლილებებს — შესამჩნევი გავლენა აქვს ატმოსფერულ პროცესებზე, რაც თავის მხრივ განსაზღვრავს რეგიონული კლიმატის ფორმირებას. საქართველო, როგორც შავი ზღვისა და კავკასიონის ზეგავლენით ჩამოყალიბებული მრავალფეროვანი კლიმატური ზონების მქონე ქვეყანა, განსაკუთრებით მგრძნობიარეა გლობალურ და გარე კლიმატურ ცვლილებებზე. ბოლო წლების განმავლობაში მზის აქტივობის გაზრდამ გამოიწვია მნიშვნელოვანი კლიმატური დინამიკა საქართველოში, რაც გამოიხატა როგორც საშუალო ტემპერატურის მატებაში, ისე ნალექების განაწილებისა და სეზონურობის ცვლილებებში. ამ პროცესებმა ზეგავლენა მოახდინა არა მხოლოდ სოფლის მეურნეობაზე და ეკოსისტემებზე, არამედ ქვეყნის ენერგეტიკულ პოტენციალზეც, განსაკუთრებით მზის ენერგიის გამოყენების პერსპექტივებზე. მზის გამოსხივების ინტენსივობის გრძელვადიანი ტენდენციების ანალიზი და მისი კორელაცია კლიმატურ მონაცემებთან ქმნის საფუძველს რეალური ენერგეტიკული პოლიტიკის დაგეგმვისა და განახლებადი ენერგიის განვითარებისათვის. მოცემული კვლევა მიზნად ისახავს სწორედ ამ კავშირის გამოკვლევას და მზის აქტივობის გავლენის შეფასებას საქართველოს კლიმატზე და ენერგეტიკულ რესურსებზე. მზის აქტივობა წარმოადგენს ბუნებრივ ფიზიკურ პროცესს, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება დედამიწის კლიმატურ და ენერგეტიკულ სისტემებს. მზის მიერ გამოსხივებული ენერგია არა მხოლოდ სიცოცხლის წყაროა პლანეტაზე, არამედ მნიშვნელოვან როლს ასრულებს გლობალურ და რეგიონულ კლიმატურ დინამიკაში. განსაკუთრებით საინტერესოა ამ აქტივობის გავლენის შესწავლა კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალზე, როგორცაა საქართველო, რომელიც გამოირჩევა კომპლექსური რელიეფითა და კლიმატური მრავალფეროვნებით. ბოლო ათწლეულებში, მზის აქტივობის ციკლებისა და ტენდენციების ფონზე, საქართველოში მკაფიოდ შეინიშნება კლიმატური პარამეტრების ცვლილება — მათ შორის ტემპერატურის მატება, ნალექების განაწილების ცვალებადობა და ექსტრემალურ ამინდთა სიხშირის ზრდა. საქართველოში მზის გამოსხივების წლიური მაჩვენებელი 1,250-დან 1,800 კილოვატსაათამდე მ²-ზე მერყეობს, ხოლო მზიანი საათების რაოდენობა 1,900-დან 2,200 საათამდე აღწევს. ეს პირობები ხელსაყრელია როგორც საცხოვრებელი, ისე კომერციული სექტორისთვის მზის ენერგიის გამოყენების თვალსაზრისით.

ამ კვლევის მიზანია გაანალიზოს მზის აქტივობის გავლენა საქართველოს კლიმატურ პირობებზე და შეფასოს მისი ზეგავლენა ქვეყნის ენერგეტიკულ რესურსებზე. კვლევა მიზნად ისახავს, წარმოაჩინოს ყველა ის ტენდენცია, რაც საფუძვლად დაედება სამომავლო კლიმატურ და ენერგეტიკულ პოლიტიკას.

ძირითადი ნაწილი

მზის აქტივობა გამოიხატება ძირითადად 11-წლიან ციკლში, რომლის განმავლობაშიც იცვლება მზის ლაქების რაოდენობა, ულტრაიისფერი და რადიო გამოსხივება. ეს ცვლილებები პირდაპირ ან არაპირდაპირ ახდენს გავლენას დედამიწის ზედაპირზე ტემპერატურის, ატმოსფერული წნევის, ნალექებისა და ქარის სისტემებზე. მზის აქტივობის პიკები, როგორიცაა 1980-იანი და 2000-იანი წლების დასაწყისი, ხშირად ასოცირდება ტემპერატურის დროებითმა ტემბასთან და გლობალურ კლიმატურ ანომალიებთან. მზის მინიმუმების დროს კი, ხშირია შედარებითი გაცივება და ატმოსფერული სტაბილურობა [2,3,4]. საქართველო გამოირჩევა მზის ენერგიის მნიშვნელოვან პოტენციალით, რაც მკაფიოდ ჩანს გეოგრაფიული მდებარეობით და წლიური მზის გამოსხივების საშუალო მაჩვენებლებით. აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში მზის გამოსხივების წლიური საშუალო მაჩვენებელი 1200–1700 კWh/m² ფარგლებში მერყეობს, ხოლო დასავლეთ საქართველოში – 1000–1400 კWh/m² [5]. აღმოსავლეთ საქართველოს არიდულ რეგიონებში მზის ენერგიის რესურსი განსაკუთრებით მაღალია, რაც კარგ საფუძველს იძლევა მზის ელექტროსადგურების განვითარებისთვის. მიუხედავად მზის ენერგიის პოტენციალის ზრდისა, კლიმატური ცვლილებები ქმნის გარკვეულ რისკებს — მათ შორის, გვალვების სიხშირის ზრდა, წყლის რესურსების შემცირება და ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურაზე ზეწოლა. ეს ზრდის კლიმატის პროგნოზირებისა და ენერგიის ინტეგრირებულ მართვის მრავალმხრივი პოლიტიკის შემუშავების საჭიროებას მზის აქტივობის ციკლების გათვალისწინებით.

საქართველოს კლიმატი და მზის აქტივობის კავშირი (1975–2023)

საქართველოში კლიმატური ცვლილებები ბოლო წლების განმავლობაში დამახასიათებელი იყო როგორც ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურის სტაბილური ზრდით, ასევე ნალექების სიხშირისა და ინტენსივობის ცვლილებით. ოფიციალური მეტეოროლოგიური მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ 1980-იანი წლებიდან მოყოლებული განსაკუთრებით შავი ზღვისპირა ზონებსა და აღმოსავლეთ საქართველოში შეინიშნება ტემპერატურის მატება, რაც თანხვედრაშია მზის აქტივობის პიკებთან. მაგალითად, 1998 წელს, რომელიც მზის აქტივობის მაქსიმუმს ემთხვეოდა, დასავლეთ საქართველოში დაფიქსირდა რეკორდული წლიური საშუალო ტემპერატურა [5] ამავე პერიოდში შავი ზღვის ზედაპირული ტემპერატურა მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც აისახა ჰაერის ტენიანობასა და ნალექების გეოგრაფიაზე. აღსანიშნავია, რომ მზის აქტივობის შემცირების პერიოდში (მაგ. 2008–2009 წლები) ტემპერატურის ზრდა შედარებით შენედა, თუმცა გლობალური დათბობის გრძელვადიანმა ტენდენციამ მაინც განაგრძო გავლენის მოხდენა [6,7,8]. მზის გამოსხივების გააქტიურება ზრდის მზის ენერგიის პოტენციალს. ბოლო ათწლეულში მზის ენერგიის ინტენსივობა საქართველოში საშუალოდ 1,200–1,700 კილოვატ-საათს შეადგენს კვადრატულ მეტრზე წელიწადში, რაც რეგიონალურად მერყეობს და დამოკიდებულია, როგორც გეოგრაფიულ მდებარეობაზე, ისე ატმოსფერულ პირობებზე. საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მონაცემების მიხედვით, 1975 წლიდან დღემდე საქართველოში საშუალო წლიური ტემპერატურა 0.6–1.2°C-ით არის მომატებული. დასავლეთ საქართველოში (ბათუმი, ფოთი) ტემპერატურის მატება განსაკუთრებით ინტენსიურია, რაც შავი ზღვის ზედაპირული ტემპერატურის მატებასაც უკავშირდება. აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით კახეთში და შიდა ქართლში, შეინიშნება უფრო მშრალი კლიმატის გაძლიერება და გვალვების ხანგრძლივობის ზრდა. ნალექების სიხშირე და ინტენსივობაც მნიშვნელოვნად შეიცვალა. დასავლეთ საქართველოში ხშირია მოკლევადიანი, მაგრამ ინტენსიური წვიმები, რაც დაკავშირებულია როგორც მზის აქტივობის გავლენით ატმოსფერული ცირკულაციების ცვლილებებთან, ისე ჰიდროლოგიურ პროცესებთან. აღმოსავლეთში დაფიქსირებულია ნალექების რაოდენობის კლებაც, რაც გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობასა და წყალმომარაგებაზე.

კვლევის ობიექტი და მეთოდოლოგია

კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს კლიმატური სისტემის დინამიკა და ენერგეტიკული პოტენციალი, რომელიც დამოკიდებულია მზის აქტივობის გრძელვადიან ცვლილებებზე. კონკრეტულად, ყურადღება გამახვილებულია 1975–2023 წლების განმავლობაში ქვეყანაში დაფიქსირებულ ტემპერატურულ ტენდენციებზე, მზის გამოსხივების ინტენსივობაზე და ამ მონაცემების კავშირზე მზის ციკლურ

აქტივობასთან. ასევე განიხილება მზის ენერგიის ტექნიკური პოტენციალი საქართველოს რეგიონებში. კვლევა ეფუძნება მრავალდარგობრივ მიდგომას და იყენებს როგორც რაოდენობრივ, ისე ანალიტიკურ მეთოდებს:

ექსპერიმენტული შედეგები და განსჯა

1. ექსპერიმენტისთვის გამოიყენება საქართველოს გარემოს ეროვნული სააგენტოს, საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდისა და საერთაშორისო ორგანიზაციების (NASA, NOAA, Copernicus და სხვ.) მონაცემთა ბაზები.
2. გაანალიზდება მზის აქტივობის ქრონოლოგიური მონაცემები (მზის ლაქები, UV ინდექსი, TSI — Total Solar Irradiance) და საქართველოს კლიმატური მაჩვენებლები (ტემპერატურა, ნალექი, ინსოლაცია).
3. შესაძლო ტენდენციების მოდელირება მომავალი კლიმატური პროგნოზებისთვის.
4. გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების (GIS) გამოყენება სივრცული მონაცემების ვიზუალიზაციისა და რეგიონების მიხედვით მზის ენერგიის პოტენციალის შეფასებისთვის.

საქართველოში კლიმატის ცვალებადობაზე მზის აქტივობის გავლენა ცხადად ფიქსირდება გრძელვადიანი მონაცემებით. მაგალითად, ბოლო წლების განმავლობაში დაკვირვებებმა აჩვენა კავშირი მზის მაქსიმალური აქტივობის პერიოდებსა და ქვეყანაში ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურის მატებას შორის. განსაკუთრებით გამოირჩევა დასავლეთ საქართველო, სადაც მზის რადიაციის ინტენსივობა უფრო მაღალია და მას თან ახლავს შავი ზღვის გავლენაც. მზის აქტივობის დონე 1970-იან წლებში შედარებით მაღალი იყო და მომდევნო წლებში შეინიშნებოდა ციკლური შემცირება და მატება. განსაკუთრებით აღსანიშნავია 2008–2009 წლების მზის მინიმუმი (ე.წ. დალტონის მსგავსი მინიმუმი), რის შემდეგაც მზის აქტივობა შედარებით სუსტია. ამავე პერიოდში საქართველოში კლიმატური ანომალიებიც დაფიქსირდა – მაგალითად, 2010-იან წლებში ხშირი გვალვები და უჩვეულო ტემპერატურული პიკები. ქვემოთ გთავაზობთ ცხრილს საქართველოს ძირითადი რეგიონებისთვის, წლიური საშუალო ინსოლაციის ($\text{kWh/m}^2/\text{წელიწადში}$) მონაცემებით. ეს მონაცემები დაფუძნებულია ისტორიულ კლიმატურ მონაცემებზე და NASA-ის SSE და PVGIS მონაცემთა ბაზებზე, და არის მიმოხილვითი [6,7]:

ცხრილი 1. წლიური საშუალო ინსოლაციის ($\text{kWh/m}^2/\text{წელიწადში}$) მონაცემები საქართველოს ძირითადი რეგიონებისათვის


რეგიონი	წლიური ინსოლაცია ($\text{kWh/m}^2/\text{წელი}$)	აღწერა
კახეთი	1500–1700	მზიანი და მშრალი კლიმატი; საუკეთესო პოტენციალი მზის ენერგიისთვის
შიდა ქართლი	1400–1600	საშუალო ინსოლაცია, არიდული ზონები აღმოსავლეთით
ქვემო ქართლი	1400–1650	მზიანი რეგიონია, განსაკუთრებით ბოლნისის და მარნეულის მიდამოები
სამცხე-ჯავახეთი	1300–1500	შედარებით მაღალი ზონა; მზიანი დღეების რაოდენობა მეტია ზაფხულში
იმერეთი	1200–1400	ჰუმიდური კლიმატი; ინსოლაცია შედარებით დაბალია
გურია	1100–1300	ატლანტიკური კლიმატი; ხშირი ნალექები და ღრუბლიანი დღეები
სამეგრელო	1100–1300	ნოტიო კლიმატი; ინსოლაცია დაბალია
აჭარა	1000–1200 (ქვემო ზონები)	სანაპირო და მთიანი ზონები; ხშირია ღრუბლიანი ამინდი
სვანეთი	1200–1400	მაღალი მთები; ნაკლები ინსოლაცია ზამთარში, მაგრამ სუფთა ჰაერი ზაფხულში
რაჭა-ლეჩხუმი	1200–1350	მთიანი რეგიონი, შედარებით ნაკლები ინსოლაცია
თბილისი	1450–1600	მშრალი კლიმატი და მაღალი მზიანი დღეების რაოდენობა

ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ მზის აქტივობის ციკლური ხასიათი ერთ-ერთ განმარტებელ ფაქტორად გვევლინება კლიმატის ლოკალურ ცვლილებებში, თუმცა აუცილებელია მისი გათვალისწინება სხვა ფაქტორებთან (გლობალური დათბობა, ანთროპოგენური


ზემოქმედება და ა.შ.) ერთიან სისტემაში. მიუხედავად მზის ენერგიის პოტენციალის ზრდისა, კლიმატური რისკები (გვალვები, ჰიდროლოგიური დეფიციტი) ზრდის ენერგო ინფრასტრუქტურისადმი წნეხს, ამიტომ საჭიროა:

1. მზის აქტივობის რეგულარული და მაღალი სიზუსტით მონიტორინგი;
2. კლიმატური პროგნოზირების ინტეგრირება ენერგოპოლიტიკაში;
3. რეგიონული ენერგეტიკული რუკების შემუშავება მზის რესურსებზე დაყრდნობით;
4. კომბინირებული პროექტების განვითარება, სადაც მზის ენერგია ინტეგრირდება წყალზე და ქარზე დამოკიდებულ რესურსებთან.

ნახ. 1 და ნახ. 2 გვიჩვენებს საშუალო წლიური ტემპერატურის მსვლელობას როგორც საქართველოს ცალკეული რეგიონების, ისე მთლიანად საქართველოს მასშტაბით [6]. ამ ნახაზებიდან გამომდინარეობს, რომ 1975-2023 წლებში საქართველოში საშუალო წლიურმა ტემპერატურამ მოიმატა, რაც გლობალური კლიმატის ცვლილების ზრდად ტენდენციას ადასტურებს. მონაცემები აჩვენებს, რომ განსაკუთრებით 1990-იანი წლებიდან ტემპერატურის ზრდის ტემპი გააქტიურდა. გრაფიკზე თვალნათლივ ჩანს, რომ ბოლო ათწლეულებში ტემპერატურა სტაბილურად იზრდება, რაც მიუთითებს კლიმატური დათბობის პროცესზე საქართველოში. ეს ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც გარემოზე, ასევე ქვეყნის სოფლის მეურნეობასა და ენერგეტიკულ სექტორზე.



ნახ.1. საშუალო წლიური ტემპერატურის მსვლელობა საქართველოს რეგიონში 1975-2023 წლებში [6]



ნახ. 2 . საშუალო წლიური ტემპერატურის მსვლელობა საქართველოში 1975-2023 წლებში [6]

დასკვნა

მზის აქტივობა წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასტროფიზიკურ ფაქტორს, რომელიც მჭიდრო კავშირშია დედამიწის კლიმატურ პროცესებთან. ამ ნაშრომში განხილული მონაცემებისა და ანალიზის საფუძველზე დადგენილია საქართველოს ტერიტორიაზე კლიმატური ცვლილებების გარკვეული ტენდენციები, განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ტემპერატურული რეჟიმი, რომელიც ნაწილობრივ შეესაბამება მზის აქტივობის ციკლურ მერყეობას 1975-2023 წლების განმავლობაში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მზის აქტივობის გავლენა კლიმატზე არ არის იზოლირებული ფაქტორი და სხვა გლობალურ თუ რეგიონულ პროცესებთან კომპლექსურად მოქმედებს. გარდა ამისა, კვლევებმა გვიჩვენა, რომ მზის ენერგიის პოტენციალი საკმაოდ მაღალია საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. ტემპერატურის განაწილების ანალიზმა ცხადყო, რომ ქვეყნის უმეტეს რეგიონებში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილებში, მზის ენერგიის ათვისება შესაძლებელია ტექნოლოგიურად და ეკონომიკურად მიზანშეწონილი ფორმით. მზის აქტივობის ბოლო წლების ტენდენციები ქმნის ხელსაყრელ წინაპირობებს სოლარული ენერგეტიკის განვითარებისათვის, რაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქვეყნის ენერგეტიკულ დამოუკიდებლობასა და გარემოსდაცვით მდგრადობაში. მთლიანობაში, მზის აქტივობის მონიტორინგი და მისი გავლენის ინტეგრირება საქართველოს კლიმატურ მოდელირებასა და ენერგეტიკულ დაგეგმვაში წარმოადგენს მნიშვნელოვან სტრატეგიულ მიმართულებას. რეკომენდებულია კვლევების გაღრმავება ინტერდისციპლინარული მიდგომებით, რაც ხელს შეუწყობს როგორც კლიმატური რისკების შეფასებას, ისე განახლებადი ენერგიის წყაროების ოპტიმალურ გამოყენებას ქვეყნის მასშტაბით.

ლიტერატურა - References - Литература

1. Protection and Agriculture of Georgia. "Georgia's National Climate Change Report." Fourth National Communication to the United Nations Framework Convention on Climate Change (UNFCCC). Available at: <https://moe.gov.ge> .(2021).
2. NASA Goddard Space Flight Center. "The 11-Year Solar Cycle and Its Effects on Earth." Retrieved from: <https://solarscience.nasa.gov>. (2021).
3. National Environmental Agency of Georgia. "Climatic Data Trends and Long-Term Observations in Georgia." Regional Precipitation Regimes and Evaluation of National Precipitation Datasets in Georgia Journal of Hydrometeorology, Volume 25, Issue 4 .(2022).
4. Beridze, T. "Energy Security and the Potential of Renewable Sources in Georgia." Proceedings of the Energy Institute of Georgia, Vol. 22. (2020).
5. Intergovernmental Panel on Climate Change (IPCC). (2023). "Climate Change 2023: The Physical Science Basis." Available from: <https://www.ipcc.ch> <https://doi.org/10.1007/s10584-007-9384-8> Intergovernmental Panel on Climate Change (IPCC). (2023). "Climate Change 2023: The Physical Science Basis." Available from: <https://www.ipcc.ch> <https://doi.org/10.1007/s10584-007-9384-8>
6. NASA GISS Surface Temperature Analysis (GISTEMP) Gogichaishvili, G., Tsereteli, N., & Goguadze, N. "Recent Climate Change Trends in Georgia." Annals of Agrarian Science, 19(4), 419-425. <https://doi.org/10.1016/j.aasci.2021.08.001>.(2021).
7. Georgia's Sixth National Communication
8. IPCC Sixth Assessment Report "Regional fact sheet – Europe & Central Asia." https://www.ipcc.ch/report/ar6/wg1/downloads/factsheets/IPCC_AR6_WGI_Regional_Fact_Sheet_Europe.pdf (2021).

UDC: 523.745

The impact and trends of solar activity on the climate and potential of Georgia / E.Khutsishvili / Transactions IHM, GTU. -2025. -vol.136. -pp.78-83. - Georg., Summ. Georg., Eng.Rus.

Over the past several decades, fluctuations in solar activity have had a significant impact on both global and regional climate systems. This study explores the influence of solar activity on Georgia's climate and examines the potential of renewable energy, with a particular focus on solar energy utilization. The analysis is based on climate and astronomical data from 1975 to 2023. Results show a consistent rise in average temperatures across all regions of Georgia, which correlates with periods of increased solar activity. Notably, eastern Georgia exhibits high levels of solar radiation, indicating

strong potential for solar energy development. The study highlights key climate trends and emphasizes the importance of integrating solar potential into national energy planning under increasing energy demand and climate risks.

УДК: 523.745

Влияние и тенденции солнечной активности на климат Грузии и его потенциал /Э. Хуцишвили / Сб. Трудов ИГМ ГТУ. - 2025. – том 136. - с. 78-83. - Груз.; Рез: Груз., Англ., Рус.

За последние несколько десятилетий колебания солнечной активности оказали значительное влияние как на глобальные, так и на региональные климатические системы. В этом исследовании изучается влияние солнечной активности на климат Грузии и изучается потенциал возобновляемой энергии, с особым акцентом на использование солнечной энергии. Анализ основан на климатических и астрономических данных с 1975 по 2023 год. Результаты показывают последовательный рост средних температур во всех регионах Грузии, что коррелирует с периодами повышенной солнечной активности. Примечательно, что восточная Грузия демонстрирует высокий уровень солнечной радиации, что указывает на большой потенциал для развития солнечной энергетики. Исследование выделяет ключевые климатические тенденции и подчеркивает важность интеграции солнечного потенциала в национальное энергетическое планирование в условиях растущего спроса на энергию и климатических рисков.

doi.org/10.36073/1512-0902-2025-136-84-88

უკ:111.111

გვალვის მონიტორინგის შესაძლებლობები მანქანური სწავლების საშუალებით ანა ფალავანდიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი
Palavandishvili.ana21@gtu.ge

რეზიუმე. ფიზიკის აქტუალურ პრობლემათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ატმოსფეროში მიმდინარე ფიზიკური პროცესების კვლევა თანამედროვე მეთოდების და ახალი მონაცემების გამოყენებით. ბუნებრივ კატასტროფებს შორის გვალვა ერთ-ერთ საშიშროებას წარმოადგენს მსოფლიოს ბევრი რეგიონისთვის, მათ შორის საქართველოსთვის. კვლევა ჩატარდა საქართველოს ტერიტორიაზე, აღებულია 1960-2022 წლების პერიოდის მონაცემები გარემოს ეროვნული სააგენტოს მონაცემთა ბაზიდან, ასევე გამოყენებულია ნალექის 1960-1990 კოპერნიკუსის ERA5-ის რეანალიზის მონაცემები, რომლებიც ვალიდაციის მიზნით შედარებულია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მიწისპირა სადგურების მონაცემებთან. საქართველოს მიწისპირა და სატელიტური წყაროების მონაცემების ანალიზით დადგინდა, რომ მანქანური სწავლების რეგრესიის მეთოდის გამოყენებით საკმარისია შეფასდეს 1960 - 2000 წლების მონაცემები სწავლებისთვის და 2001 - 2022 წლების მონაცემები ტრენინგისთვის. სატრენინგო ობიექტად შეირჩა SPI-3 სამ თვიანი ნალექის სტანდარტიზებული ინდექსი. მანქანური სწავლების მოდელის და ალგორითმის გამოყენება ნალექის განაწილების ანალიზის, გვალვის მონიტორინგის და პროგნოზირებისთვის მიზანშეწონილია როგორც საქართველოს, ასევე სხვა რეგიონებშიც დაკვირვების მონაცემებთან სათანადო ბაზის (60 წლიანი) პირობებში. მიღებული შედეგების გამოყენება რეკომენდირებულია ადრეული გაფრთხილების სისტემაში გვალვის მონიტორინგისთვის.

საკვანძო სიტყვები: მანქანური სწავლება, კლიმატის ცვლილება, გვალვის მონიტორინგი

შესავალი. ნალექის ცვალებადობის შეფასება სივრცესა და დროში გვალვის ადრეული გაფრთხილებისა და გარემოს მონიტორინგის მთავარი ასპექტია. თუმცა, სატელიტური მონაცემებიდან მიღებული შეფასებები იძლევა ადგილის საშუალო მაჩვენებლებს, რომლებიც გაფანტულია რთული რელიეფის გამო, რის გამოც ხშირად ექსტრემალური ნალექების ინტენსივობა ზუსტად არ ფასდება. ამის საპირისპიროდ, სადგურების მონაცემებით წარმოებული ნალექის ბადე ხარვეზიანია უფრო სოფლად, სადაც ნაკლები სადგურები და საგუმავოებია.

კვლევისათვის საჭირო მონაცემები აღებულია გარემოს ეროვნული სააგენტოს ბაზიდან. ეროვნული სააგენტოს მონაცემებით დაკვირვებები წარმოებს 1930 წლიდან, საქართველოს ტერიტორიაზე სადგურების მაქსიმალურმა რაოდენობამ მიაღწია 1960 წელს 170 ერთეულს.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში გარკვეული სადგურები დაიკეტა 90 - იანი წლების პერიოდში, რადგან ხელსაწყოები არ იყო დაკალიბრებული ან იყო დაზიანებული, შესაბამისი პერიოდის მონაცემები არის ნაკლები სანდოობის. მონაცემებს გააჩნია წყვეტები, რაც წარმოადგენს დიდ პრობლემას ინდექსის გამოთვლისას და მანქანური სწავლებისთვის. ამიტომ ისტორიული მონაცემებისთვის შეირჩა ERA5 - ის რეანალიზის მონაცემები. ბადის უჯრედის ზომის სიდიდიდან გამომდინარე ვერ მოხერხდა სანაპირო ზოლის ახლოს მდებარე სადგურების შედარება.

სატელიტური CHIRPS - ისა და IMERG - ის ინფორმაციის შედარების საფუძველზე დადგინდა [8], რომ CHIRPS - ს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სადგურების მონაცემებთან აქვს კარგი კორელაცია. ის სადგურები, სადაც მონაცემების 50 % აკლდა ან არ შეესაბამებოდა რეალობას, არ დაექვემდებარა ანალიზს. აღსანიშნავია ისიც, რომ სატელიტი ვერ აღიქვამს მაღალმთიან რეგიონს, დაკვირვებას არ ექვემდებარება ზღვა, რადგან დადებული აქვს ფილტრი (mask), ამიტომ ხშირ შემთხვევაში სანაპირო ზოლზე ვერ ხერხდება სატელიტური მონაცემის მოპოვება, ამ შემთხვევაში ხდება სხვა ბადის ახლომდებარე ბადის უჯრის არჩევა.

განხორციელდა CHIRPS - ისა და სადგურის მონაცემების შედარება, რისთვისაც გამოთვლილ იქნა, სისტემური ცდომილება - BIAS, რომელიც გულისხმობს თანამგზავრიდან და მიწისპირა სადგურიდან გაზომილი ნალექების ყოველთვიური ჯამების სხვაობის შეფასებას. დათვლილ იქნა ასევე, კორელაცია დაკვირვების მთელი პერიოდისთვის, ყველა თვის და წლისთვის, საშუალო აბსოლუტური ცდომილებები და სტანდარტული გადახრა იმავე პრინციპით. გამოთვლებმა აჩვენა, რომ იმ სადგურებში, სადაც დაკვირვების

პერიოდიდან არ არსებობს მონაცემთა 50%-ზე მეტი მაგალითად, მანგლისში, შეუძლებელია სტატისტიკური ანალიზის ჩატარება. გამოვლინდა სულ ცხრა ასეთი სადგური. სტატისტიკური მახასიათებლების გამოთვლის ანალიზიდან ირკვევა, რომ ყველაზე დაბალი კორელაციური მნიშვნელობები 0.33 არის მთა-საბუეთის სადგურზე და მაქსიმალური 0.72 - შოვის სადგურზე, მინიმალური საშუალო აბსოლუტური ცდომილება არის 18.8 გორის სადგურზე, და მაქსიმალური - 83.2 ბათუმის სადგურზე, ყველაზე მცირე სტანდარტული გადახრა არის 23.4 გორის სადგურზე, უდიდესი - 118.46 მირვეთის სადგურზე, რაც ახსნადია ზღვისპირა და მთაგორიანი რელიეფის გათვალისწინებით. მაღალი კორელაციის კოეფიციენტი უკეთ გამოხატავს სატელიტისა და სადგურის მონაცემების თანხვედრას.


R - instat პროგრამული უზრუნველყოფა გამოიყენებოდა პირსონის კორელაციის და სხვა სტატისტიკური პარამეტრების გამოსათვლელად. სადგურები, რომლებიც გამოტოვებულია, შეუძლებელი იყო ანალიზის გაკეთება. შედარებულ იქნა ისტორიული ნალექის მონაცემები 1961 - 1991 წლებში ERA5 - ის ნალექის რეანალიზის მონაცემებთან. კახეთის რეგიონზე შეირჩა 19 სადგური. რა თქმა უნდა, ანალიზს არ დაექვემდებარა ის პუნქტები, სადაც არ იყო საკმარისი მონაცემი.

კვლევის ობიექტი და მეთოდოლოგია. მონაცემთა შედარების შედეგად გამოიკვეთა ყველაზე დაბალი კორელაციის მაჩვენებელი (0,309) სადგურ შირაქზე, მაქსიმალური (0,657) სადგურ ომალოზე. მინიმალური საშუალო აბსოლუტური ცდომილება (1,662) დაფიქსირდა სადგურ უდაბნოზე, მაქსიმალური (3,041) - სადგურ შილდაზე. ყველაზე მცირე სტანდარტული გადახრა (4,047) არის სადგურ უდაბნოზე, უდიდესი (7,624) - სადგურ ლაგოდეხზე. 1961 - 1991 წლების სადგურის ისტორიული და ERA5-ის რეანალიზის მონაცემების შედარებით ჩანს, რომ მოდელისთვის გამოდგება ალტერნატიულ მონაცემთა ბაზად, როგორც კახეთის, ასევე საქართველოს მთელი ტერიტორიაზე. დათვლილ იქნა climact2 R - პროგრამული ენის პაკეტის დახმარებით SPI და SPEI ინდექსები. ამავე დროს, განხორციელდა მონაცემთა ხარისხის კონტროლი, გაანალიზდა მაქსიმალური და მინიმალური ტემპერატურის ტენდენციები, შეფასდა გვალვის ინდექსები 3, 6, 9 და ერთ წლიანი დროითი ბიჯებით. გამოთვლილ იქნა 3 თვიანი პერიოდისთვის SPI და SPEI. ანალიზმა აჩვენა, რომ 3 თვიანი ნალ სრულყოფილად ასახავს მეტეოროლოგიური, სასოფლო-სამეურნეო, სოციალურ-ეკონომიური გვალვის სიმკაცრეს.

განხილულ იქნა გვალვის განვითარების ტენდენციის შეფასების შესაძლებლობა. ქვემოთ მოყვანილია (ნახაზები 8 - 10) რამდენიმე ლოკაციისთვის climact2 პაკეტის გამოყენებით დათვლილი და ვიზუალიზირებული SPI 24 (2 წლიანი) ნალექის სტანდარტიზებული ინდექსი, რომელიც კარგად გვაჩვენებს გვალვის განვითარების ტენდენციას ბოლო 60 წლის განმავლობაში შერჩეულ რეგიონებში. SPI და SPEI ინდექსების ეფექტურობის ანალიზისთვის, ერთმანეთს შედარდა სამი სადგურის მონაცემები. სადგურ თელავში დაფიქსირდა SPI -ის მინიმალური მნიშვნელობა -3,62 და მაქსიმალური 2,43, ხოლო SPEI - ის მინიმალური მნიშვნელობა 2,52 და მაქსიმალური 2,43. ამ სადგურზე უფრო გამოკვეთილია გვალვის ტრენდები SPI - ის გამოყენებით.

ექსპერიმენტული შედეგები და განსჯა. პირველი მოდელის დამხმარე ვექტორული მანქანის (SVM) მიერ გენერირებული მოდელის შეფასებისთვის პარამეტრებია : RMSE - 0,58848, R2 _0.64, MSE_0.34631, MAE_0.45479, პროგნოზის სიჩქარე ~430000 obs/sec (დაკვირვება წამში), სწავლების დრო - 30,296 წმ, ფოთლის მინიმალური ზომა - 45 (ოპტიმიზებული პარამეტრი), ჰიპერპარამეტრული ძებნის რანჟირება: მინიმალური ფოთლის ზომა_1-3420. ყველა ეს პარამეტრი საჭიროა რათა შეფასდეს მოდელი.

გადაჭარბებული მორგებისაგან თავის აცილების მიზნით დამატებულ იქნა კიდევ ქართლის რეგიონის დამატებით 30 სადგური. ამ შემთხვევაშიც სწავლებაში შევიდა კოორდინატები, წელი, თვე, თვის ნალექის ჯამი, მაგრამ მიუხედავად დამატებული მონაცემებისა დაფიქსირდა მსგავსი შემთხვევა. ნახაზიდან 15 - ჩანს, რომ მონაცემები იმეორებს საუკეთესო პროგნოზის მრუდის ფორმას, რაც მეტყველებს გადაჭარბებულ მორგებაზე. ცნობილია, რომ 2022 წლისთვის მიწისპირა სადამკვირვებლო ქსელიდან აქტიური დარჩა 3 სადგური, ამიტომ დაგვირდება მათი სატელიტის ან კოპერნიკუსის მონაცემთა ბაზის ინფორმაციით ჩანაცვლება. რეგრესიის ალგორითმის ტრენინგისას ყველაზე კარგი შედეგი აჩვენა Bagged trees ანსამბლირებულმა ოპტიმიზირებულმა ალგორითმმა. სწავლის დრო 326,21 წმ - ია, პროგნოზირების სისწრაფე - ~ 7900 დაკვირვება/წამში, მახასიათებელი პარამეტრები RMSE - 0,5046, R2- 0,64, MSE - 0,25466, MAE - 0,38065.



ნახ. 1. გამოსახულია დაკვირვებების წერტილები და ყველაზე კარგი პროგნოზი.

ამ ნახაზის ანალიზის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ თუ როგორი მოდელია. თუ მონაცემი (წერტილები) არის ძალიან გაბნეული ეს მიუთითებს იმაზე რომ არის არასაკმარისი მორგება ანუ Underfitting, ხოლო წერტილები, რომლებიც ახლოსაა პროგნოზის მრუდთან (წრფესთან) მიუთითებს გადაჭარბებულ მორგებაზე ანუ Overfitting - ზე. როცა წერტილთა დიდი ნაწილი თავმოყრილია ერთ არეში შეიძლება დავასკვნათ, რომ მოდელი არის კარგი მორგების, ე.ი. დამაკმაყოფილებელი მინიმალური ფოთლის ზომა არის 19, ოპტიმიზაციის მიზნით მინიჭებულია 40 იტერაცია, ნაცვლად 30 იტერაციისა. ცისფრად აღნიშნულია სავარაუდო მინიმალური საშუალო კვადრატული გადახრა, ლურჯით დაკვირვებადი მინიმალური საშუალო კვადრატული გადახრა. სწავლების სისწრაფეა 0,27325.

სწავლების ეტაპის შემდეგ მოდელი დაექვემდებარა 2001-2022 წლების მონაცემებზე მორგებას (fitting - ს) შემდგომი პროცესინგისთვის. აღსანიშნავია ისიც, რომ მორგებისა და პროგნოზის პროცესის ჩასატარებლად შეირჩა ის სადგურები, რომლებიც ოპერირებდნენ 2001 - 2022 წლების მანძილზე, რამდენიმე წლის განმავლობაში მაინც. ამის შემდეგ ისინი შეივსო CHIRPS - ის სატელიტური მონაცემით.

პროგნოზის განსახორციელებლად საჭირო გახდა წრფივი რეგრესიის განტოლების გამოთვლა თითოეული სადგურისთვის, MatLab სივრცეში polyfit ფუნქციის გამოყენებით. კოეფიციენტების გამოთვლის შემდეგ, MatLab -ის სივრცეში polyval ფუნქციით გამოითვალა პოლინომები. საპროგნოზო სცენარის პირველ შემთხვევაში ნალექის რაოდენობა განისაზღვრა 0 სმ - დან 10 სმ - მდე, რადგან ჩვენთვის საინტერესოა მცირე ნალექის რაოდენობის შემთხვევაში გვალვის განვითარების პროცესი.

ცხრილი 1. ნალექის სტანდარტიზებული ინდექსი (SPI), 0 სმ - დან 10 - სმ - ის ჩათვლით ნალექის პროგნოზი კახეთის ზოგიერთი რეგიონისთვის.

საპროგნო ზო ნალექი (სმ)	დედოფლი სწყარო	საგარეჯო	გურჯაანი	ყვარელი	ლაგოდეხი	ომალო	თელავი
0	-0.270	-0.336	-0.008	- 0.002	-0.524	0.270	-0.568
1	-0.021	-0.057	-0.097	-0.012	-0.269	0.429	-0.325
2	0.227	0.220	-0.186	-0.026	-0.014	0.587	-0.083
3	0.475	0.498	-0.275	-0.041	0.240	0.746	0.159
4	0.724	0.776	-0.365	-0.054	0.495	0.905	0.402
5	0.973	1.054	-0.454	-0.068	0.750	1.064	0.645
6	1.222	1.333	-0.543	-0.082	1.005	1.222	0.888
7	1.470	1.611	-0.633	-0.096	1.260	1.381	1.131

8	1.719	1.889	-0.722	-0.110	1.514	1.540	1.374
9	1.968	2.167	-0.811	-0.124	1.769	1.698	1.617
10	2.217	2.445	-0.901	-0.138	2.024	1.857	1.860

ანალიზმა აჩვენა, რომ გურჯაანი და ყვარელი ნალექის მცირე რაოდენობის მიმართ უფრო მოწყვლადია, ასევე გამოიკვეთა ნაკლებად მოწყვლადი რეგიონებიც - დედოფლისწყარო, საგარეჯო, ლაგოდეხი. ამ შედეგების გაანალიზებისას, გასათვალისწინებელია სადგურის სიმაღლე ზღვის დონიდან და ტენიანობა, ასევე, ის ფაქტი, რომ სატელიტური მონაცემის გარკვეული ნაწილი არ მოიძებნა ართანასა და მელაანის სადგურის შემთხვევაში, რის გამოც მოდელმა ვერ მოიცვა კახეთის სრული რეგიონი.

დასკვნა

- 1) ატმოსფერული პროცესების, კერძოდ ნალექწარმოქმნის პროცესების ამსახველი განტოლებების და მათემატიკური მოდელების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ამოცანის კომპლექსური და მრავალპარამეტრიანი ხასიათიდან გამომდინარე, არსებული მოდელები არ იძლევა პროცესების სრულყოფილ აღწერას და ზუსტი ანალიზური ამოხსნების ჩაწერის შესაძლებლობას, არის მიახლოებითი და შრომატევადი.
- 2) კვლევის ალტერნატიული მეთოდის სახით, შერჩეულ იქნა სიმულაციური მეთოდი მანქანური სწავლების გამოყენებით. მანქანური სწავლების ზედამხედველური მეთოდის გამოყენება ოპტიმალურია ანალოგიური კომპლექსური ამოცანების შემთხვევაში. მანქანური სწავლების ზედამხედველობითი რეგრესიის ალგორითმებიდან ყველაზე კარგი შედეგი მიღებულ იქნა Bagged Trees - ს ოპტიმიზირებული მოდელით.
- 3) მანქანური სწავლების წარმოდგენილ მოდელისთვის ოპტიმალურია შემდეგი შემავალი პარამეტრების გამოყენება: სადგურის დასახელება, წელი, თვე, თვის ნალექის ჯამი, მოდელის სწავლების საპასუხო ცვლადის სახით - სტანდარტიზებული ნალექის ინდექსი - SPI, არ არის აუცილებელი დაკვირვების სადგურის კოორდინატები.
- 4) სატელიტური დაკვირვების ბაზების CHIRPS - ის და IMERG - ის მონაცემთა შედარების შედეგად დადგინდა, რომ CHIRPS - ის მონაცემები კარგ თანხვედრაშია საქართველოს ტერიტორიაზე მიწისპირა სადგურების 2000 – 2020 წლების დაკვირვებების მონაცემებთან.
- 5) სტანდარტიზებული ნალექის ინდექსის (SPI) გამოყენება უკეთესად ასახავს გვალვის მზარდ ტრენდს კახეთის რეგიონში, ვიდრე ნალექის ევაპოტრანსპირაციის სტანდარტიზებული ინდექსი (SPEI).
- 6) საქართველოს მიწისპირა და სატელიტური წყაროების მონაცემების ანალიზით დადგინდა, რომ მანქანური სწავლების რეგრესიის მეთოდის გამოყენებით საკმარისია SPI ინდექსი შეფასდეს 1960 - 2000 წლების მონაცემებით სწავლებისთვის და 2001 - 2022 წლების მონაცემებით ტრენინგისთვის.
- 7) მიწისპირა სადგურების ისტორიული და ERA5 - ის რეანალიზის მონაცემების (1961 - 1991 წწ.) შედარებით (კახეთის რეგიონში), დადასტურდა ERA5 - ის მონაცემების გამოყენების შესაძლებლობა ალტერნატიულ მონაცემთა ბაზად მოდელისთვის, როგორც კახეთის, ასევე საქართველოს მთელი ტერიტორიისთვის.
- 8) პროგნოზირების ალგორითმით გამოიკვეთა კახეთის რეგიონში გვალვისადმი მოწყვლადი რაიონები.
- 9) მანქანური სწავლების წარმოდგენილი მოდელის და ალგორითმის გამოყენება ნალექის განაწილების ანალიზის, გვალვის მონიტორინგის და პროგნოზირებისთვის შესაძლებელია როგორც საქართველოს, ასევე სხვა რეგიონებშიც დაკვირვების მონაცემთა სათანადო ბაზის (60 წლიანი) პირობებში.
- 10) მიღებული შედეგების გამოყენება რეკომენდირებულია ადრეული გაფრთხილების სისტემებში გვალვის მონიტორინგის და პროგნოზირებისთვის.

ლიტერატურა - References - Литература

- [1]. A. Palavandishvili. Structural data set in environmental issued. The Regional Student Scientific and Practical Conference Digital Transformation in Engineering Human - Computer Interaction, Georgian Technical University (GTU), Faculty of Informatics and Control Systems. 2021.
- [2]. M. Tatishvili, Z. Khvedelidze, I. Samkharadze, A. Palavandishvili. Atmosphere processes and climate parameters variation in River Mtkvari basin. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “ზუნებრივი კატასტროფები საქართველოში: მონიტორინგი, პრევენცია, შედეგების შერბილება”. შრომათა კრებული. 2019. ISBN 978-9941-13-899-7.
- [3]. mathwork - Matlab Statistics and Machine Learning Toolbox documentation (2016). stats.pdf (mathworks.com) გადამოწმებულია 07.06.2023.

- [4]. Mathwork - Statistics and Machine Learning Toolbox Release notes rn.pdf (mathworks.com) გადმოწმებულია 07.06.2023.
- [5]. M. Tatishvili, T. Tsintsadze, I. Samkharadze, A. Palavandishvili. Dependence of meteorological parameters on geomagnetic storms in Georgia. International Scientific Journal. Environmental Studies. 2019, v.8. issue 1, ISBN-9781671503274.

UDC:111.111

Drought monitoring capabilities through machine learning /Ana Palavandishvili/ Transactions IHM, GTU. -2025. - vol.136. -pp.84-88. - Georg., Summ. Georg., Eng.Rus.

One of the key current problems in physics is studying atmospheric physical processes using modern methods and new data. Drought is among the most serious natural threats for many regions worldwide, including Georgia. This study focused on Georgia, using data from 1960–2022 obtained from the National Environmental Agency, as well as Copernicus ERA5 precipitation reanalysis data from 1960–1990, which were compared with ground station data in Georgia for validation. The analysis of ground and satellite data showed that using machine learning regression methods, data from 1960–2000 are sufficient for training, while 2001–2022 data can be used for testing. The SPI-3 (three-month Standardized Precipitation Index) was chosen as the target variable. Applying machine learning models and algorithms for precipitation analysis, drought monitoring, and forecasting is appropriate for Georgia and other regions with a 60-year observational record. The results are recommended for use in early warning systems for drought monitoring..

УДК: 111.111

Возможности мониторинга засухи с помощью машинного обучения /Ана Палавандишвили / Сб. Трудов ИГМ ГТУ. - 2025. – том 136. - с. 84-88. - Груз.; Рез: Груз., Англ., Рус.

Одной из важнейших современных проблем физики является изучение физических процессов, происходящих в атмосфере, с использованием современных методов и новых данных. Среди стихийных бедствий засуха является одной из угроз для многих регионов мира, включая Грузию. Исследование проводилось на территории Грузии с использованием данных базы данных Национального агентства по охране окружающей среды за период 1960-2022 гг., а также данных реанализа осадков Copernicus ERA5 за период 1960-1990 гг., которые для проверки сравнивались с данными наземных станций на территории Грузии. Анализ данных наземных и спутниковых источников в Грузии показал, что при использовании метода регрессии машинного обучения для обучения достаточно оценить данные за 1960-2000 годы, а для тренировки — данные за 2001-2022 годы. В качестве объекта обучения был выбран трехмесячный стандартизированный индекс осадков SPI-3. Использование моделей и алгоритмов машинного обучения для анализа распределения осадков, мониторинга и прогнозирования засух целесообразно как в Грузии, так и в других регионах при наличии соответствующей базы данных наблюдений (60 лет). Полученные результаты рекомендуется использовать в системах раннего оповещения при мониторинге засух.

doi.org/10.36073/1512-0902-2025-136-89-101

უკ. 551.50.501.7

**აღმოსავლეთ საქართველოს მცინვარული აუზების მცინვარების და თოვლნარების
მორფოლოგიისა და ექსპოზიციის შესწავლის შედეგები თანამგზავრული დისტანციური
დაკვირვების საფუძველზე***

¹შენგელია ლ., ¹კორმახია გ., ²თვაური გ., ³გულიაშვილი გ., ³მაძამია მ.

¹საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

²თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის ელ. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი

³გარემოს ეროვნული სააგენტო

Larisa.shengelia@gmail.com

**კვლევა შესრულებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
მხარდაჭერილი პროექტის FR-21-1996 ფარგლებში.**

რეზიუმე. სტატიაში წარმოდგენილია აღმოსავლეთ საქართველოს მცინვარული აუზების მცინვარების-
სა და თოვლნარების მორფოლოგიისა და ექსპოზიციის კვლევის შედეგები კატალოგის და თანამგზავრული
დისტანციური დაკვირვების 2010, 2015 და 2020 წლების მონაცემების მიხედვით. გამოყენებულია
მცინვარების ექსპოზიციის დადგენის თანამედროვე მეთოდი, რომელიც აპრობირებულია და მიღებულია
მსოფლიოში. ეს მეთოდი პრაქტიკულად გამორიცხავს შეცდომებს მცინვარების ექსპოზიციის შესწავლის
დროს. მოყვანილია კლიმატის მიმდინარე ცვლილების შედეგად აღმოსავლეთ საქართველოს მცინვარული
აუზების სხვადასხვა მორფოლოგიური ტიპებისა და ექსპოზიციის მქონე მცინვარებისა და თოვლნარების
რაოდენობისა და ფართობების ცვლილების შესწავლის შედეგები.

საკვანძო სიტყვები: აღმოსავლეთ საქართველოს მცინვარები და თოვლნარები, კლიმატის ცვლილება, მცინვარული აუზები,
მცინვარების მორფოლოგია და ექსპოზიცია.

შესავალი. საქართველოში მცინვარების შესწავლა დაიწყო საქართველოს სამხედრო გზის
გაყვანასთან დაკავშირებით მე-19 საუკუნის 60-იან წლებში, ხოლო მე-20 საუკუნის 60-იან წლებში შეიქმნა
ყოფილი საბჭოთა კავშირის მცინვარების კატალოგი და შესაბამისი ტოპოგრაფიული რუკები, სადაც
გამოყენებული იქნა საუკუნოვანი კვლევის შედეგები. მას შემდეგ ჩატარებულ კვლევებში, მათ შორის
თანამგზავრული დისტანციური ზონდირების გამოყენებით, განხილულია მცინვარების წრფივი
პარამეტრებისა (მცინვარების სიგრძის, ზედა და ქვედა წერტილების მდებარეობის და სხვა) და ფართობების
დროში ცვლილების საკითხები, თუმცა ინფორმაცია მცინვარების მორფოლოგიური ტიპებისა და
ექსპოზიციის შესახებ მოყვანილია კატალოგიდან.

ამგვარად შეიქმნა აუცილებლობა შეგვესწავლა საქართველოს მცინვარების მორფოლოგია და
ექსპოზიცია. კლიმატის მიმდინარე ცვლილება იწვევს მცინვარების მახასიათებლების ცვლილებას, მათ
დეგრადაციას, რაც ხშირად მცინვარების დანაწევრებას, მცირე ზომის მცინვარების გამოყოფას უკავშირდება,
რომლებსაც ძირითადი მცინვარისგან განსხვავებული მორფოლოგია და ექსპოზიცია შეიძლება ჰქონდეთ.

ჩატარებული სამუშაოს ამოცანაა აღმოსავლეთ საქართველოს მცინვარების მორფოლოგიის და
ექსპოზიციის განაწილების კვლევა ოთხ ვადაზე. ამჟამად შესწავლილია აღმოსავლეთ საქართველოს
მცინვარები და მათი მახასიათებლები კატალოგის (ერთი ვადა) [1, 2, 3] და თდზ-ის 2010 (პირობითად, თდზ
1), 2015 (პირობითად, თდზ 2), და 2020 (პირობითად, თდზ 3) წლების (სამი ვადა) მონაცემების მიხედვით.

ძირითადი ნაწილი

კვლევის ობიექტი და მეთოდოლოგია. აღმოსავლეთ საქართველო ძირითადად გაშლილია
კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის (კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი – უწყვეტი ქედი, კავ-
კასიონის სისტემის ოროჰიდროგრაფიული ღერძი, რომელიც ყოფს ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის
მდინარეთა აუზებს) სამხრეთით, თუმცა მცირე ნაწილი მთავარი წყალგამყოფის ჩრდილოეთითაც გადადის.
ეს არის საქართველოს ის ნაწილი, მთების ზოლგახოხისა (დასავლეთით) და შავიკლდის (აღმოსავლეთ-
ით) შორის მონაკვეთზე წყალგამყოფის ჩრდილო ფერდობზე რომ გადადის. ამ ნაწილს უჭირავს მდინარე
პირიქითი ალაზნის (დაღესტანში ჰქვია ანდის ყოისუ) ზემო აუზი – თუშეთი, აგრეთვე მდინარეების:
თერგის, ასას (საქართველოში ჰქვია არხოტისწყალი) და არღუნის ზემო დინებათა აუზები.

კავკასიონის ჩრდილოეთ გვერდით ქედზე და შტო ქედებზე (ტოტებზე) ფართოდ არის წარმოდგენილი მცინვარები და მუდმივი თოვლი, რაც საქართველოს ფარგლებში გამოხატულებას ჰპოვებს ხოხისა და პირიქითის ქედებზე, აგრეთვე ყუროს, შავანის, კიდეგანისა და ხევსურეთის მერიდიანულ ქედებზე.

აღმოსავლეთ საქართველოში კატალოგიით აღრიცხულია 132 მცინვარი, რომლებიც განთავსებულია ექვს მცინვარულ აუზში. განსხვავებით დასავლეთ საქართველოს მცინვარებისაგან, რომლებიც ერთიანად და თანმიმდევრულად არის მოცემული ერთ გამოცემაში [4], აღმოსავლეთ საქართველოს მცინვარები წარმოდგენილია ყოფილი საბჭოთა კავშირის მცინვარების კატალოგის სამ სხვადასხვა გამოცემაში [1, 2, 3] და ამოკრებილია აუზების მიხედვით.

0.1 კმ² მეტი ფართობის მქონე მცირე, საშუალო და დიდი მცინვარები სწრაფად დეგრადირდებიან, იკლებს მათი რაოდენობა და დაკავებული ფართობები. ამავე დროს თოვლნარების (ფართობი – 0.1 კმ²-ზე ნაკლები) რაოდენობა და დაკავებული ფართობები თვალსაჩინოდ იზრდება, რაც უდაოდ, კლიმატის მიმდინარე ცვლილებას უკავშირდება. დადგენილია, რომ კლიმატის მიმდინარე ცვლილების გამო მიმდინარეობს მცინვარული აუზების დეგრადაცია, დიდი მცინვარების (2 კმ²-ზე მეტი ფართობის) უკანდახევა (ხშირად მცირე ზომის მცინვარების გამოყოფით), საშუალო (0.5-დან 2 კმ²-მდე ფართობის) და მცირე მცინვარების (0.1-დან 0.5 კმ²-მდე ფართობის) [5] დნობა და დანაწევრება. მცინვარების კატალოგში 0.1 კმ² ნაკლები ფართობის მცინვარები (თოვლნარები) არ განიხილება.

წარმოდგენილია აღმოსავლეთ საქართველოს მცინვარული აუზების მცინვარების და თოვლნარების მორფოლოგიისა და ექსპოზიციის შესწავლის შედეგები თანამგზავრული დისტანციური დაკვირვების საფუძველზე. უნდა აღინიშნოს, რომ კატალოგში დასავლეთ საქართველოს მცინვარები მიკუთვნებულია ოთხ მორფოლოგიურ ტიპს, ესენია: 1. კარული, 2. კარული-ხეობის, 3. ხეობის და 4. დაკიდული [6–9]. ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს მცინვარები მიკუთვნებულია შვიდ მორფოლოგიურ ტიპს. ზედა ოთხს ემატება კიდევ სამი დაკიდული მცინვარის სახეობები: 5. კარული-დაკიდული, 6. დაკიდული-კარული, 7. დაკიდული-ხეობის [2, 5]. ამის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს, რომ საქართველოს მცინვარების შესწავლა დაევა ორ სხვადასხვა ინსტიტუტს, დასავლეთ საქართველოს მცინვარების – ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტს (ხელმძღვანელი ლევან მარუაშვილი), ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს – ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტს და ჰიდრომეტეოროლოგიის სამმართველოს (ხელმძღვანელი ვასილ ცომაია).

საწყის მონაცემებად აღებულია კატალოგის მონაცემები, ამიტომ თანამგზავრული დისტანციური დაკვირვების საფუძველზე მიღებული აღმოსავლეთ საქართველოს მცინვარების მორფოლოგიური ტიპები ასევე შვიდი გრადაციითაა შესწავლილი.

გამოყენებულია მაღალი გარჩევადობის LANDSAT-ის თანამგზავრებით მოპოვებული სურათები (გარჩევადობა 15–30 მ) სამი ვადისთვის (2010, 2015 და 2020 წლებისათვის), ამასთან გრანტის ფარგლებში ჩვენთვის ხელმისაწვდომი აღმოჩნდა ზემოაღნიშნული გარჩევადობის (1.5 მ) SPOT 6 თანამგზავრის 2017–2022 წლების თანამგზავრული სურათები, რომელთა საშუალებით დაზუსტდა აღმოსავლეთ საქართველოს მცინვარების მდებარეობა და დადგინდა მათი თანამედროვე მდგომარეობა. თდზ-ის მონაცემები დამუშავებულია GIS (გეოინფორმაციული სისტემები) ტექნოლოგიების გამოყენებით.

კვლევის შედეგები და განსჯა. საქართველოს მცინვარები საკმაოდ მაღალი მცინვარებია (მცინვარი შხარა აღწევს 5174 მეტრს), ამიტომ ისინი მთის მცინვარებს მიეკუთვნებიან. საქართველოს მთის მცინვარების ძირითადი მორფოლოგიური ტიპებია: კარული, ხეობის და დაკიდული მცინვარები, აგრეთვე გარდამავალი ტიპები – კარულ-ხეობის, დაკიდულ-კარული, დაკიდულ-ხეობის, კარულ-დაკიდული [2, 5].

კარული მცინვარი შედარებით მცირე ზომის მცინვარია, რომელიც მდებარეობს მთის ფერდობზე თოვლის და ყინულის მოქმედებით წარმოქმნილ თასისმაგვარ ფორმაში – კარში. მცინვარს შეიძლება ეკავოს მთელი კარი, ან მისი გარკვეული ნაწილი და როგორც წესი, პატარა ენით მთავრდებოდეს. კარის გამოსასვლელში იგი შემოფარგლულია ბოლო მორენული სერიით. კარული მცინვარის კვებაში დიდ როლს გადაქარული თოვლი და თოვლის ზვავები ასრულებს. ამ დროს ხდება თოვლის კონცენტრაცია მცინვარზე. ამის გამო, რომ ხშირად კარული მცინვარები თოვლის ხაზის ქვემოთ მდებარეობს.

იმ შემთხვევაში, თუ კარული მცინვარი მის ქვემოთ მდებარე ხეობაში ჩადის და მცინვარის ენა საერთო სიგრძის ერთ ან ორ მესამედზე მეტი არ არის. ასეთ მცინვარს **კარულ-ხეობის** ეწოდება. კარულ-ხეობის მცინვარები გარდამავალია კარულიდან ხეობის მცინვარებამდე. მისი ძირითადი ნაწილი განლაგებულია კარში და ენა ეშვება ხეობის ზემო წელში.

ხეობის მცინვარი ხეობის სათავესა და ხეობის შუა მონაკვეთში მდებარეობს. ხეობის მცინვარი მთის მცინვარია, რომლის ენა ხეობაშია, ხოლო ფირნის აუზი – ხეობის სათავეში თასის მაგვარ ფორმაშია მოთავსებული.

ხეობის მცინვარებს მიეკუთვნება მარტივი ანუ ალპური ტიპის მცინვარები, რომლებიც ერთი ნაკადისგან შედგება, და რთული ანუ დატოტვილი მცინვარები, რომლებიც რამდენიმე დამოუკიდებელი ტოტისაგან შედგება. **ხეობის რთული** მცინვარი წარმოიქმნება ორი ან მეტი მცინვარული ნაკადისგან დამოუკიდებელი კვების არეებით. შერწყმისას ასეთი ნაკადები, როგორც წესი, ბოლომდე ინარჩუნებენ დამოუკიდებელ სტრუქტურას და შეერთების შემდეგ შუა მორენით არიან გაყოფილი. ხეობის რთული ტიპის მცინვარები გვხვდება მხოლოდ მდ. ენგურის აუზში. იმ შემთხვევაში, როდესაც დეტალურად განიხილავენ ცალკეულ დიდ მცინვარს, მაშინ ხდება გამოყოფა მარტივი თუ რთული ხეობის ტიპისაა მცინვარი.

დაკიდული მცინვარი მცირე ზომისაა, მიედინება მთის ფერდობებზე მცირე ნიშებიდან და დეპრესიებიდან. იგი მთის ციცაბო ფერდობზე სუსტად გამოხატულ ჩაღრმავებაში მდებარეობს და ძირითადი ხეობის ფერდობზე მაღლა მთავრდება. მისი მაღალი მდებარეობის გამო ყინულის დნობა მცირეა. უფრო ხშირად დაკიდული მცინვარის შემცირება მისი ენის ჩამონგრევით ხდება. ინტენსიური ნგრევის დროს ყინული ფერდობის ძირში გროვდება და განახლებული მცინვარი (აღორძინებული) წარმოიქმნება. დაკიდულ ან დაკიდულ-კარულ მცინვარებს შეიძლება მივაკუთვნოთ თხემის ახლოს კულუარებში განლაგებული მცინვარებიც ანუ **მწვერვალის ბრტყელი მცინვარიც**, როგორიცაა თერგის აუზში მდებარე №93 მცინვარი. კატალოგის მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოს მცინვარებს შორის იგი ერთადერთია, რომელსაც აქვს მინიჭებული მორფოლოგიური ტიპი – **მწვერვალის ბრტყელი მცინვარი**. **მწვერვალის ბრტყელი მცინვარები** არის ბრტყელ-ამოხეილი გუმბათები, რომლებიც მთავრდება ციცაბო ფლატეებით და ერთი ან ორი მცინვარული ენით (<https://studfile.net/preview/1764867/page:2/>). ტოპოგრაფიული რუკის მიხედვით №93 მცინვარი არის კარულ-დაკიდული, ამიტომ №93 მცინვარის მორფოლოგიური ტიპი (კატალოგით) შევასწორედ – **კარულ-დაკიდულით**.

კარულ-დაკიდული მცინვარები გარდამავალია კარულიდან დაკიდულ მცინვარამდე.

დაკიდულ-კარული მცინვარები გარდამავალია დაკიდულიდან კარულ მცინვარამდე.

დაკიდულ-ხეობის მცინვარები გარდამავალია დაკიდულიდან ხეობის მცინვარამდე.

რაც შეეხება მცინვარების ექსპოზიციას, კატალოგის მსგავსად გვაქვს შემდეგი აღნიშვნები: დასავლეთი – დ, აღმოსავლეთი – ა, სამხრეთი – ს; სამხრეთ-დასავლეთი – სდ; სამხრეთ-აღმოსავლეთი – სა, ჩრდილოეთი – ჩ; ჩრდილო-დასავლეთი – ჩდ; ჩრდილო-აღმოსავლეთი – ჩა.

აღმოსავლეთ საქართველოს ექვს მცინვარულ აუზში, კატალოგის მიხედვით არის 132 მცინვარი (ცხრილი 1). ესენია: ლიახვი 1–22 [1], არაგვი 23–27 [1], თერგი 44–111 [2], ასა 1–3 [3], არლუნი 10–15 [3], პირიქითი ალაზანი 6–33 [1].

ცხრილი 1. აღმოსავლეთ საქართველოში მცინვარების განაწილება მცინვარულ აუზებში კატალოგის მიხედვით

აღმოსავლეთ საქართველო							
№	1	2	3	4	5	6	7
მცინვარული აუზი	ლიახვი	არაგვი	თერგი	ასა	არლუნი	პირიქითი ალაზანი	სულ
მცინვარების რაოდენობა	22	5	68	3	6	28	132

აღმოსავლეთ საქართველოს მცინვარულ აუზებში ოთხი ვადისათვის მორფოლოგიური ტიპების განაწილება რაოდენობისა და ფართობის მიხედვით წარმოდგენილია მე-2 ცხრილში.

ცხრილი 2. აღმოსავლეთ საქართველოს მცინვარულ აუზებში მცინვარების მორფოლოგიური ტიპების განაწილება კატალოგის (ა) და თდზ-ის 2010 (ბ), 2015 (გ), 2020 (დ) წლის მონაცემებით, რაოდენობისა და ფართობის მიხედვით

ა

კატალოგით								
მორფოლოგიური ტიპი (რაოდენობა და ფართობი)		მცინვარული აუზი						
		1	2	3	4	5	6	7
		ლიახვი	არაგვი	თერგი	ასა	არღუნი	პირიქითი ალაზანი	სულ
კარული	რაოდ.	18	2	26	2	5	17	70
	ფართ.	3.4	0.3	7.8	0.8	1.1	5.0	18.4
კარულ-ხეობის	რაოდ.	0	0	0	1	0	2	3
	ფართ.	0	0	0	0.9	0	1.0	1.9
ხეობის	რაოდ.	1	1	2	0	0	4	8
	ფართ.	1.7	0.7	9.1	0	0	2.1	13.6
დაკიდული	რაოდ.	0	1	18	0	1	3	23
	ფართ.	0	0.1	6.9	0	0.2	0.3	7.5
კარულ-დაკიდული	რაოდ.	3	1	9	0	0	1	14
	ფართ.	0.4	0.1	3.3	0	0	0.1	3.9
დაკიდულ-კარული	რაოდ.	0	0	4	0	0	1	5
	ფართ.	0	0	1.0	0	0	0.3	1.3
დაკიდულ-ხეობის	რაოდ.	0	0	9	0	0	0	9
	ფართ.	0	0	35.8	0	0	0	35.8
სულ რაოდენობა		22	5	68	3	6	28	132
სულ ფართობი		5.5	1.2	63.9	1.7	1.3	8.8	82.4

ბ

თდზ 2010								
მორფოლოგიური ტიპი (რაოდენობა და ფართობი)		მცინვარული აუზი						
		1	2	3	4	5	6	7
		ლიახვი	არაგვი	თერგი	ასა	არღუნი	პირიქითი ალაზანი	სულ
კარული	რაოდ.	11	0	19	2	5	15	52
	ფართ.	1.5	0	4.0	0.6	0.7	2.9	9.7
კარულ-ხეობის	რაოდ.	0	0	0	1	0	1	2
	ფართ.	0	0	0	0.8	0	0.5	1.3
ხეობის	რაოდ.	1	1	2	0	0	4	8
	ფართ.	1.2	0.4	7.7	0	0	1.2	10.5
დაკიდული	რაოდ.	0	0	26	0	1	5	32
	ფართ.	0	0	6.3	0	0.1	0.7	7.1
კარულ-დაკიდული	რაოდ.	1	0	5	0	0	0	6
	ფართ.	0.1	0	1.0	0	0	0	1.1
დაკიდულ-კარული	რაოდ.	0	0	3	0	0	1	4
	ფართ.	0	0	0.6	0	0	0.2	0.8
დაკიდულ-ხეობის	რაოდ.	0	0	10	0	0	0	10
	ფართ.	0	0	31.8	0	0	0	31.8
სულ რაოდენობა		13	1	65	3	6	26	114
სულ ფართობი		2.8	0.4	51.4	1.4	0.8	5.5	62.3

ბ
თდზ 2015

მორფოლოგიური ტიპი (რაოდენობა და ფართობი)		მეცნიერული აუზი						
		1	2	3	4	5	6	7
		ლიახვი	არაგვი	თერგი	ასა	არლუნი	პირიქითი ალაზანი	სულ
კარული	რაოდ.	7	0	11	2	3	10	33
	ფართ.	0.9	0	1.6	0.4	0.3	1.7	4.9
კარულ- ხეობის	რაოდ.	0	0	0	1	0	1	2
	ფართ.	0	0	0	0.6	0	0.1	0.7
ხეობის	რაოდ.	1	1	2	0	0	3	7
	ფართ.	0.9	0.4	7.0	0	0	0.6	8.9
დაკიდული	რაოდ.	0	0	17	0	0	4	21
	ფართ.	0	0	4.5	0	0	0.5	5.0
კარულ- დაკიდული	რაოდ.	0	0	2	0	0	0	2
	ფართ.	0	0	0.5	0	0	0	0.5
დაკიდულ- კარული	რაოდ.	0	0	2	0	0	1	3
	ფართ.	0	0	0.2	0	0	0.1	0.3
დაკიდულ- ხეობის	რაოდ.	0	0	10	0	0	0	10
	ფართ.	0	0	28.6	0	0	0	28.6
სულ რაოდენობა		8	1	44	3	3	19	78
სულ ფართობი		1.8	0.4	42.4	1.0	0.3	3.0	48.9

დ
თდზ 2020

მორფოლოგიური ტიპი (რაოდენობა და ფართობი)		მეცნიერული აუზი						
		1	2	3	4	5	6	7
		ლიახვი	არაგვი	თერგი	ასა	არლუნი	პირიქითი ალაზანი	სულ
კარული	რაოდ.	3	0	8	1	0	4	16
	ფართ.	0.4	0	0.9	0.1	0	0.7	2.1
კარულ- ხეობის	რაოდ.	0	0	0	1	0	0	1
	ფართ.	0	0	0	0.4	0	0	0.4
ხეობის	რაოდ.	1	1	2	0	0	1	5
	ფართ.	0.8	0.3	6.5	0	0	0.1	7.7
დაკიდული	რაოდ.	0	0	15	0	0	1	16
	ფართ.	0	0	3.1	0	0	0.1	3.2
კარულ- დაკიდული	რაოდ.	0	0	1	0	0	0	1
	ფართ.	0	0	0.1	0	0	0	0.1
დაკიდულ- კარული	რაოდ.	0	0	2	0	0	0	2
	ფართ.	0	0	0.2	0	0	0	0.2
დაკიდულ- ხეობის	რაოდ.	0	0	11	0	0	0	11
	ფართ.	0	0	26.1	0	0	0	26.1
სულ რაოდენობა		4	1	39	2	0	6	52
სულ ფართობი		1,2	0,3	36.9	0,5	0	0.9	39.8

მე-2 ცხრილის მიხედვით შედგენილია აღმოსავლეთ საქართველოს მეცნიერების მორფოლოგიური ტიპების განაწილების შემაჯამებელი ცხრილი კატალოგის, თდზ 1-ის, თდზ 2-ის, თდზ 3-ის მონაცემებით, რაოდენობისა და ფართობის მიხედვით (ცხრილი 3).

ცხრილი 3. აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეების მორფოლოგიური ტიპების განაწილების შემაჯამებელი ცხრილი კატალოგის, თდზ 1-ის, თდზ 2-ის, თდზ 3-ის მონაცემებით, რაოდენობისა და ფართობების მიხედვით

მონაცემები	მორფოლოგიური ტიპები													
	კარული		კარულ-ხეობის		ხეობის		დაკიდული		კარულ-დაკიდული		დაკიდულ-კარული		დაკიდულ-ხეობის	
	რაოდენობა	ფართობი	რაოდენობა	ფართობი	რაოდენობა	ფართობი	რაოდენობა	ფართობი	რაოდენობა	ფართობი	რაოდენობა	ფართობი	რაოდენობა	ფართობი
კატალოგი	70	18.4	3	1.9	8	13.6	23	7.5	14	3.9	5	1.3	9	35.8
თდზ 1	52	9.7	2	1.3	8	10.5	32	7.1	6	1.1	4	0.8	10	31.8
თდზ 2	33	4.9	2	0.7	7	8.9	21	5.0	2	0.5	3	0.3	10	28.6
თდზ 3	16	2.1	1	0.4	5	7.7	16	3.2	1	0.1	2	0.2	11	26.1

აღმოსავლეთ საქართველოში ყველა მორფოლოგიური ტიპის მდინარე კატალოგის მონაცემებთან შედარებით 2020 წლისათვის ინტენსიურად იკლებს, როგორც მდინარეების რაოდენობით, ისე დაკავებული ჯამური ფართობის მიხედვით.

აღმოსავლეთ საქართველოში, კატალოგის მიხედვით, ყველაზე დიდი რაოდენობით გავრცელებულია კარული მდინარეები, სულ 70, ხოლო შემდეგ დაკიდული მდინარეები, სულ 23 (ცხრ. 2 ა). 2020 წლისათვის დარჩა 16 კარული მდინარე და იგივე რაოდენობის დაკიდული მდინარე.

თდზ-ის 2010, 2015 და 2020 წლების მონაცემებით მდინარეები დეგრადირდება, ხდება მდინარეების დანაწევრება, მცირე მდინარეების გამოყოფა.

კარული მდინარე შეიძლება დანაწევრდეს ორ ან სამ კარულ მდინარედ, ერთ კარულ და ერთ ან ორ თოვლნარად, ან საერთოდ გაქრეს. ამის მაგალითია პირიქითი ალაზნის №23 კარული ტიპის საშუალო მდინარე (ნახ. 1), რომელიც 2010 წლისათვის დანაწევრდა 2 კარულ მცირე მდინარედ და 1 თოვლნარად. 2015 წლისათვის იგივე განაწილება შენარჩუნდა, თუმცა მცირე მდინარეების ფართობები შემცირდა. 2020 წლისათვის ერთი მცირე მდინარე დარჩა, ხოლო მეორე მცირე მდინარე, რომლის ფართობი უფრო ნაკლებია თოვლნარად დეგრადირდა, თოვლნარი კი, გაქრა.

ხეობის ტიპის მდინარე ძირითადად ინარჩუნებს თავის მორფოლოგიას, თუმცა შეიძლება დანაწევრდეს ხეობის და კარულ ან დაკიდულ მდინარედ, აგრეთვე ერთ ან რამდენიმე თოვლნარად.

კარულ-ხეობის ტიპის მდინარე სამივე პერიოდში ინარჩუნებს თავის მორფოლოგიას, თუმცა წლების მიხედვით თანმიმდევრულად იკლებს მის მიერ დაკავებული ფართობი და რამდენიმე შემთხვევაში გადადის თოვლნარში ან ქრება.

დაკიდული მდინარე ასევე ინარჩუნებს თავის მორფოლოგიას, მხოლოდ დროთა განმავლობაში იკლებს მისი ფართობი (ზოგჯერ გადადის თოვლნარში ან ქრება).

კარულ-დაკიდული მდინარეები ძირითადად ინარჩუნებენ თავის მორფოლოგიას, ზოგ შემთხვევაში, ხდება მცირე მდინარის (მაგალითად, თერგის აუზის მდინარე №103) დანაწევრება კარულ-დაკიდულ და დაკიდულ ერთ ან რამდენიმე მდინარედ, შემდეგ ვადაზე კი, ერთ ან რამდენიმე თოვლნარად ან ქრება.

დაკიდულ-კარული მდინარეებიც ინარჩუნებენ თავის მორფოლოგიას, დროთა განმავლობაში დანაწევრდებიან ერთ ან რამდენიმე თოვლნარად ან ქრებიან.

დაკიდულ-ხეობის მდინარეები ბოლომდე ინარჩუნებენ თავის მორფოლოგიას, თუმცა შეიძლება გამოეყოთ თოვლნარი.

2020 წლისათვის არღუნის აუზში საერთოდ აღარ არის მდინარე და მხოლოდ 5 თოვლნარიღაა შემორჩენილი (ცხრილი 2). იგივე ხდება არაგვის და ასას აუზებში. პირველ მათგანში ერთი მცირე ზომის (0.3 კმ²) ხეობის მდინარე, ხოლო მეორეში ორი მცირე ზომის კარული (0.1 კმ²) და კარულ-ხეობის (0.4 კმ²) მდინარეღაა შემორჩენილი. ყველაზე დიდი რაოდენობით მდინარეები შემორჩა თერგის აუზში. 68 მდინარეა, რომელთაც ეკავათ ფართობი 63,9 კმ² 2020 წელს აღრიცხულია 39 მდინარე და მათ მიერ

დაკავებული ფართობია 36.9 კმ². რაც იმას ნიშნავს, რომ თერგის აუზში მცინვარების რაოდენობა შემცირდა 42.6 %-ით, ხოლო მათ მიერ დაკავებული ფართობი – 42.2 %-ით.

კატალოგიით, აღმოსავლეთ საქართველოში არსებული 132 მცინვარიდან 2020 წლისათვის სულ შემორჩა 52 მცინვარი ანუ მცინვარების რაოდენობა შემცირდა 80 მცინვარით (60.6 %). მცინვარების ჯამური ფართობი 82.4 კმ²-დან გახდა 39.8 კმ² ანუ შემცირდა 52.6 კმ²-ით (63.8 %).

შევადართ, დასავლეთ საქართველოში მცინვარების ჯამური ფართობი (კატალოგიით) 465.7 კმ² 2020 წლისათვის გახდა 274.9. კმ²-ით ანუ შემცირდა 190.8 კმ²-ით (41.0 %-ით). რაც შეეხება მცინვარების რაოდენობას იყო 409, ხოლო 2020 წ. – 375, ანუ შემცირდა 8.3 %-ით. ეს ციფრები ადასტურებს, რომ აღმოსავლეთ საქართველოში კლიმატის ცვლილების შედეგად მცინვარების დეგრადაცია გაცილებით სწრაფად მიმდინარეობს ვიდრე დასავლეთ საქართველოში. ეს განპირობებულია საქართველოს ამ ნაწილებს შორის კლიმატის დიდი განსხვავებით. აღმოსავლეთ საქართველოს კლიმატი იმ ქვერეგიონში სადაც მცინვარები არის განლაგებული ხასიათდება ნამდვილ ზაფხულს მოკლებული მაღალი მთიანეთის ზომიერად მშრალი ჰავით, ხოლო დასავლეთ საქართველოს ის ქვერეგიონი სადაც მცინვარები არის, ხასიათდება მაღალმთის ნოტიო ჰავით მუდმივი თოვლით და მცინვარებით.

ცნობილია, რომ მცინვარების დეგრადაცია იწვევს **თოვლნარების** რაოდენობის ზრდას. ყველა თოვლნარი კარული ან დაკიდული მორფოლოგიისაა. მე-4 ცხრილის განხილვა გვიჩვენებს, რომ კატალოგში არსებული 132 მცინვარიდან 2010 წლის თანამგზავრული მონაცემებით წარმოიქმნა 30 თოვლნარი და გაქრა 10. 2015 წლისათვის წარმოიქმნა 57 თოვლნარი და გაქრა 34 მცინვარი, ხოლო 2020 წლისათვის წარმოიქმნა 80 თოვლნარი და გაქრა 65 მცინვარი. ასე რომ, 2010 წლიდან თოვლნარების და გამქრალი მცინვარების რაოდენობა ინტენსიურად იზრდება. სულ წარმოიქმნა 167 თოვლნარი და გაქრა 109 მცინვარი.


მცინვარების კატალოგში 0.1 კმ²-ზე ნაკლები ფართობის მცინვარები (თოვლნარები) არ განიხილება. შესაბამისად არ გვაქვს კატალოგის მონაცემები თოვლნარების ცხრილში (ცხრილი 4).

ცხრილი 4. აღმოსავლეთ საქართველოს მცინვარულ აუზებში თოვლნარებისა და გამქრალი მცინვარების განაწილება თდზ 1-ის, თდზ 2-ის, თდზ 3-ის მონაცემებით

		თოვლნარები და გამქრალი მცინვარები						
მონაცემები		მცინვარული აუზი						
		1	2	3	4	5	6	7
		ლიახვი	არაგვი	თერგი	ასა	არლუნი	პირიქითი ალაზანი	სულ
თდზ 1	თოვლნარი	6	3	10	0	0	11	30
	გამქ. მცინვ.	6	1	3	0	0	0	10
თდზ 2	თოვლნარი	6	2	25	0	5	19	57
	გამქ. მცინვ.	11	2	17	0	0	4	34
თდზ 3	თოვლნარი	9	1	30	2	5	33	80
	გამქ. მცინვ.	14	3	29	0	3	16	65
სულ	თოვლნარი	21	6	63	2	10	62	167
	გამქ. მცინვ.	31	6	49	0	3	20	109

აღმოსავლეთ საქართველოს მცინვარების **ზოგადი ექსპოზიციის** საწყისი მონაცემები აღებულია კატალოგიდან, ხოლო 2010, 2015 და 2020 წლის მცინვარების ზოგადი ექსპოზიცია დადგინდა პროგრამა Google Earth-ის გამოყენებით, სადაც ნათლად ჩანს ფერდობების ხეობების მიმართულება და ექსპოზიცია. პროგრამაში შემოტანილ იქნა აღნიშნული წლების მცინვარების კონტურები და მათი საშუალებით შესაძლებელი გახდა ფერდობების ექსპოზიციის დადგენა. აღნიშნული მონაცემები გადამოწმდა Arc Map-ში (Arc Gis) სპეციალურად შექმნილი Arc Toolbox ინსტრუმენტების გამოყენებით. მეთოდი ითვალისწინებდა საქართველოს რელიეფის ციფრული სასიმალო მოდელით (Digital Elevation Model) ე.წ. DEM-ით იმგვარად დამუშავებას, რომ მიგვეღო საქართველოს ფერდობების ექსპოზიციის რუკა. დამუშავების დროს გამოყენებულ იქნა საქართველოს რელიეფის ციფრული სასიმალო მოდელი 20X20 გარჩევადობით [6–9].

აღნიშნული მეთოდი აპრობირებული და მიღებულია მსოფლიოში, ეს მეთოდი პრაქტიკულად გამოირიცხავს შეცდომებს მცინვარების ექსპოზიციის შესწავლის დროს.



ნახ. 1. პირიქითი ალაზნის №23 კარული ტიპის საშუალო მცენვარის კონტურები: ა) ტოპოგრაფიული რუკის მიხედვით, ბ) Landsat TM სენსორის 2011 წლის 21 სექტემბრის სურათის მიხედვით (თდზ 1), გ) Landsat OLI TIRS სენსორის 2014 წლის 28 აგვისტოს სურათის მიხედვით (თდზ 2), დ) Landsat OLI TIRS სენსორის 2020 წლის 13 სექტემბრის სურათის მიხედვით (თდზ 3).

მცენვარების ექსპოზიციის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს მცენვარების დნობის საკითხთან მიმართებაში. აღმოსავლეთ საქართველოს მცენვარების ექსპოზიციის შესწავლისათვის მცენვარული აუზების მიხედვით, შედგენილია მცენვარების ზოგადი ექსპოზიციის განაწილების ცხრილი რაოდენობისა და ფართობების მიხედვით. ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი ვადისათვის (ცხრილი 5).

ცხრილი 5. აღმოსავლეთ საქართველოს მცინვარულ აუზებში მცინვარების ზოგადი ექსპოზიციის განაწილება კატალოგის (ა), თდზ-ის 2010 (ბ), 2015 (გ), 2020 (დ) წლის მონაცემებით, რაოდენობისა და ფართობების მიხედვით

ა

კატალოგით								
ზოგადი ექსპოზიციის (რაოდენობა და ფართობი)		მცინვარული აუზი						
		1	2	3	4	5	6	7
ჩ	რაოდ.	ლიახვი	არაგვი	თერგი	ასა	არლუნი	პირიქითი ალაზანი	სულ
	ფართ.							
ს	რაოდ.	1	0	6	0	0	3	10
	ფართ.	0.2	0	4.6	0	0	1.5	6.3
დ	რაოდ.	1	0	1	0	0	1	3
	ფართ.	0.1	0	0.5	0	0	0.3	0.9
ა	რაოდ.	1	1	5	2	2	2	13
	ფართ.	0.1	0.7	1.3	1.4	0.4	0.3	4.2
ჩდ	რაოდ.	6	1	13	0	1	1	22
	ფართ.	2.6	0.1	4.2	0	0.2	0.1	7.2
ჩა	რაოდ.	6	2	16	1	2	8	35
	ფართ.	1.5	0.2	14.4	0.3	0.5	2.8	19.7
სდ	რაოდ.	2	1	5	0	0	7	15
	ფართ.	0.2	0.2	16.3	0	0	1.8	18.5
სა	რაოდ.	1	0	13	0	0	5	19
	ფართ.	0.1	0	18.2	0	0	1.4	19.7
სულ რაოდენობა		22	5	68	3	6	28	132
სულ ფართობი		5.5	1.2	63.9	1.7	1.3	8.8	82.4

ბ

თდზ 2010								
ზოგადი ექსპოზიციის (რაოდენობა და ფართობი)		მცინვარული აუზი						
		1	2	3	4	5	6	7
ჩ	რაოდ.	ლიახვი	არაგვი	თერგი	ასა	არლუნი	პირიქითი ალაზანი	სულ
	ფართ.							
ს	რაოდ.	2	0	6	0	0	4	12
	ფართ.	0.3	0	3.5	0	0	1.0	4.8
დ	რაოდ.	0	0	1	0	0	1	2
	ფართ.	0	0	0.5	0	0	0.1	0.6
ა	რაოდ.	0	1	4	2	2	1	10
	ფართ.	0	0.4	0.7	1.1	0.3	0.1	2.7
ჩდ	რაოდ.	2	0	9	0	1	0	12
	ფართ.	1.3	0	2.2	0	0.1	0	3.6
ჩა	რაოდ.	4	0	16	1	2	8	31
	ფართ.	0.6	0	12.5	0.3	0.4	1.6	15.4
სდ	რაოდ.	2	0	5	0	0	6	13
	ფართ.	0.2	0	13.3	0	0	1.1	14.6
სა	რაოდ.	0	0	11	0	0	5	16
	ფართ.	0	0	16.0	0	0	0.9	16.9
სულ რაოდენობა		13	1	65	3	6	26	114
სულ ფართობი		2.9	0.4	51.4	1.4	0.9	5.3	62.3

ბ თღზ 2015								
ზოგადი ექსპოზიცია (რაოდენობა და ფართობი)		მცინვარული აუზი						
		1	2	3	4	5	6	7
		ლიახვი	არაგვი	თერგი	ასა	არლუნი	პირიქითი ალაზანი	სულ
ჩ	რაოდ.	1	0	7	0	0	0	8
	ფართ.	0,3	0	1,6	0	0	0	1,9
ს	რაოდ.	2	0	5	0	0	4	11
	ფართ.	0,2	0	3,1	0	0	0,7	4,0
დ	რაოდ.	0	0	1	0	0	0	1
	ფართ.	0	0	0,1	0	0	0	0,1
ა	რაოდ.	0	1	3	2	2	1	9
	ფართ.	0	0,4	0,4	0,8	0,2	0,1	1,9
ჩდ	რაოდ.	2	0	5	0	0	0	7
	ფართ.	0,9	0	1,3	0	0	0	2,2
ჩა	რაოდ.	2	0	12	1	1	4	20
	ფართ.	0,2	0	10,6	0,2	0,1	0,9	12,0
სდ	რაოდ.	1	0	4	0	0	6	11
	ფართ.	0,1	0	11,9	0	0	0,7	12,7
სა	რაოდ.	0	0	7	0	0	6	13
	ფართ.	0	0	13,3	0	0	0,5	13,8
სულ რაოდენობა		8	1	44	3	3	21	80
სულ ფართობი		1,7	0,4	42,3	1,0	0,3	2,9	48,6

დ თღზ 2020								
ზოგადი ექსპოზიცია (რაოდენობა და ფართობი)		მცინვარული აუზი						
		1	2	3	4	5	6	7
		ლიახვი	არაგვი	თერგი	ასა	არლუნი	პირიქითი ალაზანი	სულ
ჩ	რაოდ.	0	0	5	0	0	0	5
	ფართ.	0	0	1,0	0	0	0	1,0
ს	რაოდ.	1	0	5	0	0	2	8
	ფართ.	0,1	0	2,6	0	0	0,1	2,8
დ	რაოდ.	0	0	0	0	0	0	0
	ფართ.	0	0	0	0	0	0	0
ა	რაოდ.	0	1	2	1	0	0	4
	ფართ.	0	0,3	0,2	0,4	0	0	0,9
ჩდ	რაოდ.	2	0	9	0	0	0	11
	ფართ.	1,0	0	12,2	0	0	0	13,2
ჩა	რაოდ.	1	0	10	1	0	2	14
	ფართ.	0,1	0	8,7	0,1	0	0,5	9,4
სდ	რაოდ.	0	0	5	0	0	2	7
	ფართ.	0	0	11,2	0	0	0,2	11,4
სა	რაოდ.	0	0	6	0	0	2	8
	ფართ.	0	0	11,9	0	0	0,2	12,1
სულ რაოდენობა		4	1	42	2	0	8	57
სულ ფართობი		1,2	0,3	47,8	0,5	0	1,0	50,8

მე-5 ცხრილის მიხედვით შედგენილია აღმოსავლეთ საქართველოს მცინვარების ზოგადი ექსპოზიციის განაწილების შემაჯამებელი ცხრილი კატალოგის, თღზ 1-ის, თღზ 2-ის, თღზ 3-ის მონაცემებით, რაოდენობისა და ფართობის მიხედვით (ცხრილი 6).

ცხრილი 6. აღმოსავლეთ საქართველოს მცენარეების ზოგადი ექსპოზიციის განაწილების შემაჯამებელი ცხრილი კატალოგის, თდზ 1-ის, თდზ 2-ის, თდზ 3-ის, მონაცემებით, რაოდენობისა და ფართობის მიხედვით

მონაცემები	ზოგადი ექსპოზიცია															
	ჩ		ს		დ		ა		ჩდ		ჩა		სდ		სა	
	რაოდენობ	ფართობი	რაოდენობ	ფართობი	რაოდენობ	ფართობი	რაოდენობ	ფართობი	რაოდენობ	ფართობი	რაოდენობ	ფართობი	რაოდენობ	ფართობი	რაოდენობ	ფართობი
კატალოგით	15	5.9	10	6.3	3	0.9	13	4.2	22	7.2	35	19.7	15	18.5	19	19.7
თდზ 1	18	3.7	12	4.8	2	0.6	10	2.7	12	3.6	31	15.4	13	14.6	16	16.9
თდზ 2	8	1.9	11	4.0	1	0.1	9	1.9	8	2.4	20	12.1	10	12.8	10	13.8
თდზ 3	5	1.0	7	2.8	0	0	5	1.0	8	2.2	14	9.4	7	11.4	6	12.0

აღმოსავლეთ საქართველოში მცენარეებზე კლიმატის მიმდინარე ცვლილების შედეგია, რომ მცენარეების როგორც რაოდენობა, ისე ფართობები ყველა ექსპოზიციის მცენარისათვის კატალოგის მონაცემებთან შედარებით 2010 წლიდან მოყოლებული თანმიმდევრულად იკლებს. აღმოსავლეთ საქართველოს მცენარეების ზოგადი ექსპოზიციის უპირატესი მიმართულება როგორც კატალოგით, ისე თდზ-ის მიხედვით არის ჩრდილო-აღმოსავლეთის, შემდეგ ჩრდილო დასავლეთის. ყველაზე ნაკლებია დასავლეთის ექსპოზიციის მცენარეები, რომლებიც 2020 წლისათვის, საერთოდ ქრება.

დასავლეთ საქართველოში გამცენარეების უმთავრეს კერას წარმოადგენს კავკასიონის სამხრეთი ფერდობი [9], ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში მცენარეები ორივე, ჩრდილოეთის და სამხრეთის ფერდობითაა წარმოდგენილი.

რაოდენობის მიხედვით წამყვანი ადგილი ჩრდილოური (ჩ, ჩდ, და ჩა) ექსპოზიციის მცენარეებს უკავია. შემდეგ მოდის სამხრეთული (ს, სდ, და სა) ექსპოზიციის მცენარეები.

ჩრდილოური ექსპოზიციის მცენარეები უმთავრესად განლაგებულია კავკასიონის შტო ქედებზე, ჩრდილოური ექსპოზიციის მცენარეების ასეთი დიდი რაოდენობა განპირობებულია კავკასიონის შტო ქედების მერიდიანული და სუბგანედური მიმართულებით. მათი მორფომეტრიული და მორფოგრაფიული პირობების გამო, ზოგჯერ მხოლოდ ამ ქედების ჩრდილოეთ ფერდობზეა შესაძლებელი მცირე ზომის მცენარეების არსებობა [5]. ჩრდილოური ექსპოზიციის მცენარეების ფართობები გაცილებით ნაკლებია სამხრეთული ექსპოზიციის მქონე მცენარეების ფართობებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოური ექსპოზიციის მცენარეების რაოდენობა მეტია სამხრეთული ექსპოზიციის მცენარეებზე, ჩრდილოური ექსპოზიციის მცენარეების აუზების მიხედვით ჯამური ფართობები ნაკლებია სამხრეთული ექსპოზიციის მქონე მცენარეების ჯამურ ფართობებზე.

აღსანიშნავია, რომ მსგავსად მცენარეებისა, სამივე ვადაზე კლიმატის ცვლილებით განპირობებული მცენარეების დეგრადაციის შედეგად წარმოქმნილი თოვლნარებიდან ყველაზე მეტია ჩრდილოური ექსპოზიციის, ხოლო ყველაზე ნაკლებია დასავლეთის ექსპოზიციის თოვლნარები (ცხრილი 7).

ცხრილი 7. აღმოსავლეთ საქართველოს მცენარეული აუზების თოვლნარების განაწილება ზოგადი ექსპოზიციის მიხედვით თდზ 1-ის, თდზ 2-ის, თდზ 3-ის მონაცემებით

მონაცემები	თოვლნარების ზოგადი ექსპოზიცია								
	ჩ	ს	დ	ა	ჩდ	ჩა	სდ	სა	სულ
თდზ 1	1	1	0	5	8	7	5	3	30
თდზ 2	12	3	2	1	10	16	7	6	57
თდზ 3	9	7	3	5	10	22	11	13	80
სულ	22	11	5	11	22	45	23	22	167

დასკვნა

ამგვარად შეიძლება დავასკვნათ, რომ:

- აღმოსავლეთ საქართველოში, კატალოგის მიხედვით, ყველაზე დიდი რაოდენობით გავრცელებულია კარული მცენარეები, სულ 70, ხოლო შემდეგ დაკიდული მცენარეები, სულ 23. 2020 წლისათვის დარჩა 16

კარული მყინვარი და იგივე რაოდენობის დაკიდული მყინვარი. აღმოსავლეთ საქართველოში ყველა მორფოლოგიური ტიპის მყინვარი კატალოგის მონაცემებთან შედარებით 2020 წლისათვის ინტენსიურად იკლებს, როგორც მყინვარების რაოდენობით, ისე დაკავებული ჯამური ფართობის მიხედვით. არღუნის აუზში საერთოდ აღარ არის მყინვარი და მხოლოდ 5 თოვლნარიღაა შემორჩენილი. ყველაზე დიდი რაოდენობით მყინვარებია თერგის აუზში. 68 მყინვარიდან, რომელთაც ეკავათ ფართობი 63,9 კმ² 2020 წელს აღრიცხულია 39 მყინვარი და მათ მიერ დაკავებული ფართობია 36,9 კმ². რაც იმას ნიშნავს, რომ თერგის აუზში მყინვარების რაოდენობა შემცირდა 42,6 %-ით, ხოლო მათ მიერ დაკავებული ფართობი – 42,2 %-ით.

- აღმოსავლეთ საქართველოში კლიმატის მიმდინარე ცვლილების გავლენით, კატალოგით აღმოსავლეთ საქართველოში არსებული 132 მყინვარიდან 2020 წლისათვის სულ შემორჩა 52 მყინვარი ანუ მყინვარების რაოდენობა შემცირდა 80 მყინვარით (60,6 %). მყინვარების ჯამური ფართობი 82,4 კმ²-დან გახდა 39,8 კმ² ანუ შემცირდა 52,6 კმ²-ით (63,8 %). ამავე დროს დასავლეთ საქართველოში მყინვარების ჯამური ფართობი (კატალოგით) 465,7 კმ², 2020 წლისათვის გახდა 274,9 კმ² ანუ შემცირდა 190,8 კმ²-ით (41,0 %-ით). რაც შეეხება მყინვარების რაოდენობას იყო 409, ხოლო 2020 წ. – 375, ანუ შემცირდა 8,3 %-ით. ეს ციფრები ადასტურებს, რომ აღმოსავლეთ საქართველოში კლიმატის ცვლილების შედეგად მყინვარების დეგრადაცია გაცილებით სწრაფად მიმდინარეობს ვიდრე დასავლეთ საქართველოში. ეს განპირობებულია საქართველოს ამ ნაწილებს შორის კლიმატის დიდი განსხვავებით, ვინაიდან აღმოსავლეთ საქართველოს კლიმატი იმ ქვერეგიონში სადაც მყინვარები არის განლაგებული, ხასიათდება ნამდვილ ზაფხულს მოკლებული მაღალი მთიანეთის ზომიერად მშრალი ჰავით, ხოლო დასავლეთ საქართველოს ის ქვერეგიონი სადაც მყინვარები არის, ხასიათდება მაღალმთის ნოტიო ჰავით მუდმივი თოვლით და მყინვარებით.

- მყინვარების დეგრადაცია იწვევს თოვლნარების რაოდენობის ზრდას. ყველა თოვლნარი კარული ან დაკიდული მორფოლოგიისაა. აღმოსავლეთ საქართველოში კატალოგით აღრიცხული 132 მყინვარიდან 2010 წლის თანამგზავრული მონაცემებით წარმოიქმნა 30 თოვლნარი და გაქრა 10. 2015 წლისათვის წარმოიქმნა 57 თოვლნარი და გაქრა 34 მყინვარი, ხოლო 2020 წლისათვის წარმოიქმნა 80 თოვლნარი და გაქრა 65 მყინვარი. ასე რომ, 2010 წლიდან თოვლნარების და გამქრალი მყინვარების რაოდენობა ინტენსიურად იზრდება. სულ წარმოიქმნა 167 თოვლნარი და გაქრა 109 მყინვარი.

- აღმოსავლეთ საქართველოში მყინვარებზე კლიმატის მიმდინარე ცვლილების შედეგია, რომ მყინვარების როგორც რაოდენობა, ისე ფართობები ყველა ექსპოზიციის მყინვარისათვის კატალოგის მონაცემებთან შედარებით 2010 წლიდან მოყოლებული თანმიმდევრულად იკლებს.

- აღმოსავლეთ საქართველოს მყინვარების ზოგადი ექსპოზიციის უპირატესი მიმართულება როგორც კატალოგით, ისე თდზ-ის მიხედვით არის ჩრდილო-აღმოსავლეთის, შემდეგ ჩრდილო დასავლეთის. ყველაზე ნაკლებია დასავლეთის ექსპოზიციის მყინვარები, რომლებიც 2020 წლისათვის, საერთოდ ქრება. აღსანიშნავია, რომ მსგავსად მყინვარებისა, სამივე ვადაზე კლიმატის ცვლილებით განპირობებული მყინვარების დეგრადაციის შედეგად წარმოქმნილი თოვლნარებიდან ყველაზე მეტია ჩრდილოური ექსპოზიციის, ხოლო ყველაზე ნაკლებია დასავლეთის ექსპოზიციის თოვლნარები.

- ჩრდილოური ექსპოზიციის მყინვარები უმთავრესად განლაგებულია კავკასიონის შტო ქედებზე და მათი ფართობები გაცილებით ნაკლებია სამხრეთული ექსპოზიციის მქონე მყინვარების ფართობებზე.

- მიუხედავდ იმისა, რომ ჩრდილოური ექსპოზიციის მყინვარების რაოდენობა მეტია სამხრეთული ექსპოზიციის მყინვარებზე, ჩრდილოური ექსპოზიციის მყინვარების ჯამური ფართობები გაცილებით ნაკლებია სამხრეთული ექსპოზიციის მქონე მყინვარების ჯამურ ფართობებზე. ჩრდილოური ექსპოზიციის თოვლნარების რაოდენობაც გაცილებით მეტია სამხრეთული ექსპოზიციის მქონე თოვლნარებზე.

ლიტერატურა - References - Литература

1. V. SH. Tsomaia. Katalog lednikov USSR, V. 9, vip. 3, ch. 1, L: Gidrometeoizdat, 1975, - 95 (in Russian).
2. V. SH. Tsomaia, O. A. Drobishev. Katalog lednikov SSSR, T. 8, ch. 11, L: Gidrometeoizdat, 1977, - 71 (in Russian).
3. V. D. Panov, E. S. Borovik. Katalog lednikov SSSR, T. 8, ch. 12, L: Gidrometeoizdat, 1977, - 51 (in Russian).
4. L. I. Maruashvili, G. M. kurdgelaidze, T. A. Lashkhi, SH. V. Inashvili, T. 9, vip. 1, ch. 2-6, L: Gidrometeoizdat, 1975, - 86 (in Russian).
5. R. Gobejishvili, V. Kotliakov.. Glaciology (Glaciers), 2006, - 292 (in Georgian).

6. Shengelia L., Kordzakhia G., Tvauri G., Guliashvili G., Beridze S. The Results of Satellite Remote Observation on the Morphology and Exposure of Glaciers in the Autonomous Republic of Abkhazia in the Last Decade. Science and Technologies, №3 (740), Tbilisi: Publishing House "Technical University", 2022, pp. 18–28 (in Georgian).
7. George Kordzakhia, Larisa Shengelia, Gennady Tvauri, Guguli Dumbadze. Morphology and Exposure Studies in the Autonomous Republic of Abkhazia (West Georgia) on the Background of Modern Climate Change. 3RD INTERNATIONAL CONGRESS ON ENGINEERING AND LIFE SCIENCE (ICELIS), Proceedings book, 20–22 September 2023, Trabzon/TÜRKİYE. Republic of Türkiye Karadeniz Technical University. 2023, pp. 51–58.
8. Shengelia L., Kordzakhia G., Tvauri G., Guliashvili G. The Research of the Morphology and Exposure of Glaciers and Snowfields of the River Inguri Glacial Based on the Satellite Remote Sensing. Science and Technologies, №3 (746), Tbilisi: Publishing House "Technical University", 2024, pp. 7–13 (in Georgian).
9. Shengelia L., Kordzakhia G., Tvauri G., Guliashvili G., Dzadzamia M. Results of the study of the morphology and exposure of glaciers and snowfields of the glacial basins of western Georgia based on satellite remote sensing. Transactions of Mikheil Nodia Institute of Geophysics, ISSN 1512-1135, vol. LXXVII, 2024, pp. 43–64 (in Georgian).

UDC: 551.50.501.7

Results of the study of the morphology and exposure of glaciers and snowfields in the glacial basins of eastern Georgia based on satellite remote sensing/ Shengelia L., Kordzakhia G., Tvauri G., Guliashvili G., Dzadzamia M.

Transactions IHM, GTU. -2025. -vol.136. -pp.89-101. - Georg., Summ. Georg., Eng.Rus.

The article presents the results of the study of the morphology and exposure of glaciers and snowfields in the glacial basins of eastern Georgia according to the catalogue and satellite remote sensing data for 2010, 2015 and 2020. A modern method for determining the exposure of glaciers has been used, which is tested and accepted worldwide. This method practically eliminates errors when studying the exposure of glaciers. The results of changes in the number and areas of various morphological types and exposed glaciers and snowfields of the glacial basins of eastern Georgia as a result of ongoing climate change are presented.

УДК: 551.50.501.7

Результаты изучения морфологии и экспозиции ледников и снежников ледниковых бассейнов Восточной Грузии на основе спутникового дистанционного зондирования/ Шенгелия Л., Кордзахия Г., Тваური Г., Гулиашвили Г., Дзadzamia М./Сб. Трудов ИГМ ГТУ. - 2025. – том 136. - с.89-101. - Груз.; Рез: Груз., Англ., Рус.

В статье представлены результаты изучения морфологии и экспозиции ледников и снежников ледниковых бассейнов восточной Грузии по данным каталога и спутникового дистанционного зондирования за 2010, 2015 и 2020 годы. Использован современный метод определения экспозиции ледников, который апробирован и принят в мировой практике, что практически исключает ошибки при изучении экспозиции ледников. Представлены результаты изменения количества и площадей различных морфологических типов и экспонированных ледников и снежников ледниковых бассейнов восточной Грузии в результате современного изменения климата.

Use of Structured Data to Evaluate Natural Hydrometeorological Events in Vulnerable Regions of Georgia

Marika Tatishvili, Inga Samkharadze, Ana Palavandishvili, Nana Nebieridze, Khatuna Elbakidze-Chargazia

Institute of Hydrometeorology of Georgian Technical University

m.tatishvili@gtu.ge

Summary. The location and orographic conditions of Georgia lead to the formation of a variety of climatic and landscape types. These factors are favorable for formation of natural hydrometeorological phenomena (flooding, landslide, hurricane, etc.) of different intensity and frequency. The study of all those phenomena needs the processing of long-term observation series of climatic parameters. The purpose of the presented research is to study the spatial-temporal regularities of basic climatic parameters in the mountain regions of Georgia. The following statistical parameters and climatic indices were calculated: standard deviation, mean absolute error, temperature extremes, extreme precipitation day number, repeatability of strong windy days. Between two 30-year periods, the average annual temperature has been increased almost everywhere, up to 1 degree; the average increase is 0,5°C. It has been established that for second period there is a significant increase in the average max air temperature from 0,3°C to 1,2°C. The precipitation regime changes are unstable in time and are spatially heterogeneous, although they are characterized by some regularity. In particular, the annual rainfall in western Georgia is mainly increased, while in some eastern regions – decreased. The average wind speed change trends seem to be decreased, however maximal velocities are increased. The results may be used in early warning systems.

Keywords: Climate Change, Early Warning, Natural Hazards, Statistical Analysis Structural Data

Introduction. Georgian relief may be characterized by three sharply expressed orographic elements: in north Caucasus, in south – Georgian south uplands and lowland or intermountain depression located between those two risings [1]. This one begins from The Black Sea shore by triangular Colchis Lowland and spreads up to eastern Georgia like narrow strip. Between those two uplands small scaled orographic elements are allocated. Such complicated relief has definite influence on air masses motion in atmosphere lower layers. Mainly west and eastern atmospheric processes prevailed over Georgian territory. Due to complex orographic conditions and influence of the black Sea in Georgia exist most of Earths climatic types, from marine wet subtropical climate in west Georgia and steppe continental climate in east Georgia up to eternal snow and glaciers in high mountain zone of Great Caucasus, and 40% of existed landscapes [2]. Thus those climatic zones uphold the formation of different dangerous hydrometeorological phenomena, namely: hailstone, heavy showers, flooding, thunderstorm, draughts, sea storms. The economical losses and casualties caused by those catastrophic events are too notable [2].

Data and Methods. Based on the 1961-2021 period data of Georgian hydrometeorological observation net the research for mountainous regions of Georgia (Bakhmaro, Bakuriani, Borjomi, Goderdzi, Gudauri, Khaishi, Khulo, Lentekhi, Mestia, Pasanauri, Shovi, Stepantsminda, Tianeti) was conducted to reveal the variable nature of the intensity and recurrence of the mean and extreme values of the meteorological parameters [3].

Extreme values of climate parameters are more sensitive to climate change than their mean values, however, medium values often make it impossible to assess socio-economic impacts on different sectors of climate change.

Results. According to the preliminary analysis for whole Georgian territory the precipitation changing regime is unstable in time and also spatially heterogeneous, although it may be still characterized by some regularity. In particular, the annual rainfall in western Georgia is mainly increased, while in some eastern regions - decreased, although the nature of the change in annual rainfall is mostly unreliable and there are no obvious trends according to the comparison of two 30 year periods.

Tendencies to decrease the number of strong winds (≥ 15 m / s) are predominant in the West, while in Eastern Georgia, their frequency will be observed. It is noteworthy that the number of such days is decreasing in western Georgia - Kutaisi and especially on the western slopes of the Likhi Range (Mta-Sabuetti), where trends were revealed in the summer-autumn seasons, and in the east, in the Mtkvari gorge, a significant increase is observed. Frequency of strong winds in Gori will be observed in all seasons, while in Tbilisi their annual number increases mainly at the expense of March. The trend changes maximum in Mta-. Sabuetti and Gori and are 1.7 days / 10 years. The frequency of extremely strong winds (≥ 25 m / s) changes with a similar regularity. In particular, a significant decrease in such days was observed in Kutaisi and Mta-Sabuetti, while the steady increase is observed in Gori, as well as in Poti and other locations too [2].

Discussion. The mean annual, half year and monthly min and max air temperature (Tmax) data are calculated and range of variability of the mean values of Tmax for the indicated stations is as follows: Mean Year - from 6.6 °C (Goderdzi) to 16.4 °C (Borjomi); Mean Cold - from 0.0 °C (Goderdzi) to 9.7 °C (Khulo); Mean Warm - from 13.3 °C

(Goderdzi) to 23.9 °C (Khaishi); Min - from -11.8 °C (Goderdzi) to -0.5 °C (Borjomi); Max - from 23.4 °C (Goderdzi) to 35.0 °C (Borjomi) [3].

Table 1. The mean min, monthly mean, max and mean seasonal values of Tmax (°C) in thirteen locations of Georgia in 1961-2021

Station	Mean Year	Mean Cold	Mean Warm	Min	Max
Bakhmaro	8.6	3.0	14.2	-8.2	24.2
Bakuriani	11.3	5.1	17.5	-5.7	27.7
Borjomi	16.4	9.4	23.5	-0.5	35.0
Goderdzi	6.6	0.0	13.3	-11.8	23.4
Gudauri	7.8	2.0	13.7	-8.8	25.4
Khaishi	16.3	8.7	23.9	-1.3	33.7
Khulo	15.8	9.7	22.0	-1.6	31.4
Lentekhi	15.8	7.9	23.7	-1.9	34.5
Mestia	13.4	5.9	20.9	-6.4	30.2
Pasanauri	14.5	7.4	21.6	-2.9	33.0
Shovi	12.6	5.7	19.5	-5.5	30.8
Stepantsminda	10.6	4.5	16.7	-5.7	27.4
Tianeti	14.4	7.6	21.2	-1.7	31.6

The mean monthly annual, half year and monthly min and max P values are presented in Table 2.

Table 2. Monthly min, monthly max and mean monthly seasonal P (mm) values in selected locations of Georgia during 1961-2021

Station	Mean Year	Mean Cold	Mean Warm	Min	Max
Bakhmaro	130	154	107	9.8	554
Bakuriani	70	59	82	0.5	283
Borjomi	55	48	62	1.5	181
Goderdzi	110	115	104	7.7	361
Gudauri	128	106	151	0	536
Khaishi	102	108	96	1.0	670
Khulo	117	149	84	0.5	628
Lentekhi	107	110	104	1.3	556
Mestia	82	76	88	1.0	284
Pasanauri	82	59	105	0	353
Shovi	98	85	111	3.4	444
Stepantsminda	62	34	89	0	252
Tianeti	64	42	85	0	277

The variability range of the P mean values for the indicated stations is as follows: Mean Year - from 55 mm (Borjomi) to 130 mm (Bakhmaro); Mean Cold - from 34 mm (Stepantsminda) to 154 mm (Bakhmaro); Mean Warm - from 62 mm (Borjomi) to 151 mm (Gudauri); Min - from 0 mm (Gudauri, Pasanauri, Stepantsminda and Tianeti) to 9.8 mm (Bakhmaro); Max - from 181 mm (Borjomi) to 670 mm (Khaishi). The P smallest values for Stepantsminda are observed (24 mm) during January and the P greatest values for Gudauri (185 mm) are observed in May. The variability of the atmospheric precipitation monthly mean sum is observed for all study stations (except Bakhmaro, and Bakuriani) in 25 cases (including for 12 cases - an increase and for 13 cases - a decrease of ΔP values) [4].

The range of variability of the V mean values for the indicated stations is as follows: Mean Year - from 0.3 m/sec (Lentekhi) to 4.8 m/sec (Goderdzi); Mean Cold - from 0.2 m/sec (Lentekhi) to 5.4 m/sec (Goderdzi); Mean Warm - from 0.4 m/sec (Lentekhi) to 4.2 m/sec (Goderdzi); Min - 0 m/sec (for all stations); Max - from 2.1 m/sec (Lentekhi) to 10.7 m/sec (Goderdzi).

The smallest V values for all points during January and December are observed (0.1 m/sec, Lentekhi). The greatest values of V for Goderdzi (6.1 m/sec) in January are also detected.

Table 3. The monthly mean min, monthly mean max and mean seasonal V (m/s) values in thirteen locations of Georgia in 1961-2021

Station	Mean Year	Mean Cold	Mean Warm	Max
Bakhmaro	1.7	2.2	1.3	5.7
Bakuriani	1.3	1.1	1.5	5.2
Borjomi	0.7	0.5	0.8	2.2
Goderdzi	4.8	5.4	4.2	10.7
Gudauri	1.2	1.1	1.2	3.4
Khaishi	0.9	0.7	1.2	3.7

Khulo	1.9	2.0	1.7	4.0
Lentekhi	0.3	0.2	0.4	2.1
Mestia	0.5	0.3	0.7	2.2
Pasanauri	1.1	1.1	1.2	2.9
Shovi	1.1	1.0	1.1	2.9
Stepantsminda	1.7	1.8	1.6	6.1
Tianeti	1.2	1.2	1.2	4.6

Conclusions. The following may be deduced based on the on the conducted research: The variations of the $\Delta T_{\max}$ values in the separate points are the following: Bakhmaro - increase of the values of $\Delta T_{\max}$ (July, August), decrease (-1.1 °C, December); Bakuriani - increase (February, March, May-October, mean annual, cold and warm seasons mean); Borjomi - increase (February-April, June-October, mean annual and warm season mean); Goderdzi - increase (August), decrease (-1.0 °C, November); Gudauri - increase (March, June-October, mean annual and warm season mean); Khaishi - increase (March, July-October, warm season mean); Khulo increase (July-September); Lentekhi - increase (July-September, warm season mean), decrease (-1.3 °C, November); Mestia - increase (April-September, warm season mean); Pasanauri - increase (March, June-October, warm season mean); Shovi - increase (April-October, mean annual and warm season mean); Stepantsminda - increase (June-September, warm season mean); Tianeti - increase (March, June-October, warm season mean).

Totally, the $\Delta T_{\max}$ values change from -1.3°C (Khulo, November) to 2.6 °C (Bakuriani, August), amplitude - 3.9 °C.

The changeability of the ΔP values in the separate points is the following: Bakhmaro and Bakuriani (no changes); Borjomi - decrease (June and December); Goderdzi - decrease (March, April mean annual and warm season mean); Gudauri - increase (August, October and cold season mean), decrease (September); Khaishi - increase (April and May); Khulo - increase (January, September, mean annual, cold and warm seasons mean); Lentekhi - increase (May and June), decrease (September); Mestia – increase (mean annual and cold season mean); Pasanauri - increase (August, October and cold season mean); Shovi - increase (October); Stepantsminda - decrease (July, September), increase (October); Tianeti - decrease (March, May-July, September, mean annual and warm seasons mean).

The changeability of the ΔV values in the separate points is the following: Bakhmaro – increase (January, March, May and June); all another station, except Shovi – decrease (all months, mean annual, cold and warm seasons mean); Shovi - decrease (all months, except April, June and October, mean annual, cold and warm seasons mean).

ლიტერატურა - References - Литература

1. Tatishvili M., Elizbarashvili E., Meskhia R., Elizbarashvili Sh. Natural hydrometeorological disasters, their causes and prevention measures. The Macrotheme Review. A multidisciplinary journal of global macro trends, 148-154, A Macrotheme Capital Management, LLC Academic Publication, Volume 2, Issue 1, Winter 2013 (January), France
2. M.Tatishvili, L.Megrelidze. A.Palavandishvili. Study of the mean and extreme values, intensity and recurrence variability of meteorological elements based on the 1956-2015 observation data. Journal of the Georgian Geophysical Society, Physics of Solid Earth, Atmosphere, Ocean and Space Plasma/2021/ v. 24(2)
DOI: <https://doi.org/10.48614/ggs2420213325>
3. Amiranashvili A., Kartvelishvili L., Kutladze N., Megrelidze L., Tatishvili M. VARIABILITY OF THE MEAN MAX ANNUAL AIR TEMPERATURE IN 39 LOCATIONS OF GEORGIA IN 1956-2015.International Scientific Conference "Geophysical Processes in the Earth and its Envelopes" Proceedings, Tbilisi, Georgia, , 2023 122-126
4. Amiranashvili, A. G., Kartvelishvili, L. G., Kutladze, N. B. Megrelidze, L. D. Tati[hvili , M. R. Changeability of the Meteorological Parameters Associated with Holiday Climate Index in Different Mountainous Regions of Georgia in 1956-2015. JOURNAL OF THE GEORGIAN GEOPHYSICAL SOCIETY,/2021/24(2).
DOI: <https://doi.org/10.48614/ggs2420213326>

უაგ:551.556

სტრუქტურირებული მონაცემების გამოყენება საქართველოს დაუცველ რეგიონებში ბუნებრივი ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესაფასებლად/ მარიკა ტატიშვილი, ინგა სამხარაძე,ანა ფალავანდიშვილი, ნანა ნებიერიძე, ხათუნა ელბაქიძე-ჩარგაზია/სტუ-ის ჰმ-ის შრომათა კრებული-2025.- ტ.136.-გვ. 102-105. -ქართ., რუზ. ქართ., ინგლ., რუს.

საქართველოს მდებარეობა და ოროგრაფიული პირობები განაპირობებს კლიმატური და ლანდშაფტური ტიპების მრავალფეროვნების ფორმირებას. ეს ფაქტორები ხელს უწყობს სხვადასხვა ინტენსივობისა და სიხშირის ბუნებრივი ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების (წყალდიდობა, მეწყერი, ქარიშხალი და ა.შ.) ფორმირებას. ყველა ამ ფენომენის შესწავლა მოითხოვს კლიმატური პარამეტრების გრძელვადიანი დაკვირვების სერიების დამუშავებას. წარმოდგენილი კვლევის მიზანია საქართველოს მთიან რეგიონებში ძირითადი კლიმატური პარამეტრების სივრცით-დროითი კანონზომიერებების

შესწავლა. გამოთვლილია შემდეგი სტატისტიკური პარამეტრები და კლიმატური ინდექსები: სტანდარტული გადახრა, საშუალო აბსოლუტური შეცდომა, ტემპერატურის ექსტრემალური მაჩვენებლები, ექსტრემალური ნალექიანობის დღეების რაოდენობა, ძლიერი ქარიანი დღეების განმეორებადობა. ორ 30-წლიან პერიოდს შორის საშუალო წლიური ტემპერატურა თითქმის ყველგან გაიზარდა 1 გრადუსამდე; საშუალო მატება $0,5^{\circ}\text{C}$ -ია. დადგინდა, რომ მეორე პერიოდში ჰაერის საშუალო მაქსიმალური ტემპერატურა მნიშვნელოვნად იზრდება $0,3^{\circ}\text{C}$ -დან $1,2^{\circ}\text{C}$ -მდე. ნალექების რეჟიმის ცვლილებები დროში არასტაბილურია და სივრცით ჰეტეროგენულია, თუმცა გარკვეული კანონზომიერებით ხასიათდება. კერძოდ, დასავლეთ საქართველოში წლიური ნალექების რაოდენობა ძირითადად გაზრდილია, ხოლო აღმოსავლეთის ზოგიერთ რეგიონში - შემცირებული. ქარის საშუალო სიჩქარის ცვლილების ტენდენციები, როგორც ჩანს, შემცირებულია, თუმცა მაქსიმალური სიჩქარეები გაზრდილია. შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას ადრეული შეტყობინების სისტემებში.

УДК: 551.556

Использование структурированных данных для оценки природных гидрометеорологических явлений в уязвимых регионах Грузии /Марика Татишвили, Инга Самхарадзе, Ана Палавандишвили, Нана Небиеридзе, Хатуна Элбакидзе-Чаргазия/Сб. Трудов ИГМ ГТУ. - 2025. – том 136. - с. 102-105. - Груз.; Рез: Груз., Англ., Рус.

Местоположение и орографические условия Грузии обуславливают формирование разнообразных климатических и ландшафтных типов. Эти факторы благоприятны для формирования стихийных гидрометеорологических явлений (наводнения, оползни, ураганы и т. д.) различной интенсивности и частоты. Изучение всех этих явлений требует обработки многолетних рядов наблюдений за климатическими параметрами. Целью представленного исследования является изучение пространственно-временных закономерностей основных климатических параметров в горных регионах Грузии. Рассчитаны следующие статистические параметры и климатические индексы: стандартное отклонение, средняя абсолютная ошибка, экстремумы температур, число экстремальных дней с осадками, повторяемость дней с сильным ветренным воздухом. Между двумя 30-летними периодами среднегодовая температура повысилась почти повсеместно, до 1 градуса; среднее повышение составляет $0,5^{\circ}\text{C}$. Установлено, что за второй период наблюдается существенное повышение средней максимальной температуры воздуха от $0,3^{\circ}\text{C}$ до $1,2^{\circ}\text{C}$. Изменения режима осадков нестабильны во времени и пространственно неоднородны, хотя и характеризуются некоторой закономерностью. В частности, годовое количество осадков в западной Грузии в основном увеличивается, а в некоторых восточных регионах – уменьшается. Тенденции изменения средней скорости ветра, по-видимому, уменьшаются, однако максимальные скорости увеличиваются. Результаты могут быть использованы в системах раннего оповещения.

doi.org/10.36073/1512-0902-2025-136-106-116

უკ.111.111

გვალვების უარყოფითი ეკოლოგიური და ეკონომიკური ზეგავლენის შეფასების სირთულეები საქართველოში

მარიამ ციცაგი, ზაზა გულაშვილი, ანა ფალავანდიშვილი, მარიკა ტატიშვილი,
ნანული ზოტიკიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

Mariam.tsitsagi@tsu.ge

რეზიუმე. გვალვა საქართველოს კლიმატური რისკების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა, რომლის ინტენსივობა და გავრცელება ბოლო ათწლეულების განმავლობაში კლიმატის ცვლილების ფონზე საგრძნობლად გაიზარდა. კვლევის მიზანია გვალვის ეკოლოგიურ-ეკონომიკური ზემოქმედების შეფასება და სარწყავი მიწების იდენტიფიცირება გვალვის (SPI, SPEI, EDI) და მცენარეულობის ინდექსების (NDVI, NDMI) გამოყენებით. მონაცემთა ანალიზი ეფუძნება 1991-2020 წლების კლიმატურ ინფორმაციას, რომელიც მიღებულია გარემოს ეროვნული სააგენტოს მეტეოროლოგიური სადგურებიდან და SENTINEL2 თანამგზავრულ მონაცემებზე დაფუძნებულ ვიზუალიზაციებს. კვლევაში გამოვლინდა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში გვალვის ინდექსების კორელაცია მცენარეულობის ინდექსებთან დაბალია, განსაკუთრებით ბუნებრივ ლანდშაფტებში, რაც განპირობებულია რეგიონის ტემპერატურის და ნალექის ცვალებადობით. განსხვავებით დასავლეთ საქართველოს ნოტიო კლიმატური პირობებისგან, აღმოსავლეთ საქართველოში ტენდენციაა, რომ SPI და SPEI ინდექსების კორელაცია ნალექის პერიოდების ზრდასთან ერთად მცირდება. ასევე გამოვლინდა, რომ NDVI და NDMI ინდექსები უფრო მგრძნობიარეა აგრარული, ერთწლიანი კულტურებით დაფარული ფართობების შემთხვევაში, რაც მიუთითებს ამ კულტურების გვალვაზე მაღალი რეაქციისკენ. მნიშვნელოვანი აღმოჩენა იყო ის, რომ ოფიციალურად არამორწყული ნაკვეთების მნიშვნელოვანი ნაწილი რეალურად მორწყულად შეიძლება ჩაითვალოს ინდექსების მაღალი კორელაციის საფუძველზე. კერძოდ, თელავის მუნიციპალიტეტის არამორწყული ნაკვეთების 48.3%-ს NDVI/NDMI ინდექსები მორწყულ ფართობებთან მაღალ თანხვედრაშია, რაც შესაძლოა მიუთითებდეს არაფორმალურ მორწყვის პრაქტიკაზე. პარალელურად, ინდექსების მკვეთრად დაქვეითებული 43.2% მაჩვენებლები აღინიშნება, რაც მათ მაღალი გვალვაგრძნობადობის მდგომარეობაში აყენებს. კვლევის შედეგად შესაძლებელი გახდა სარწყავი სისტემების ეფექტიანობის შეფასება და არაოფიციალური მორწყვის გამოვლენა, რაც მნიშვნელოვანი საფუძველია წყლის რესურსების უკეთ მართვისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისათვის.

საკვანძო სიტყვები: კლიმატის ცვლილება, გვალვის და მცენარეულობის ინდექსები, თანამგზავრული ვიზუალიზაცია, სარწყავი სისტემა

შესავალი. გვალვა მიეკუთვნება იმ ბუნებრივ პროცესებს, რომლებსაც მრავალი (ეკოლოგიური, სოციალური, ეკონომიკური) უარყოფითი შედეგი აქვთ. გვალვის პოლიტიკური და სოციალური ეფექტები, ადამიანური მსხვერპლის და მატერიალური ზარალის გარდა, შეიძლება გამოვლინდეს უშუალოდ გვალვის დროს ანდა მის შემდეგ, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომლებსაც ნაკლები ადაპტაციის პოტენციალი აქვთ [3]. გვალვები ხასიათდება ბუნებრივი წყლის, ატმოსფერული ნალექების, მდინარის ჩამონადენის ან მიწისქვეშა წყლების ხელმისაწვდომობის შემცირებით [2]. ატმოსფერული ნალექების დეფიციტის გარდა, გვალვები დაკავშირებულია აორთქლებასა და აორთქლებადობასთან, ნიადაგის ტენიანობის დეფიციტთან და მიწისქვეშა წყლების დონის შემცირებასთან. გვალვა ასევე კორელაციაშია რეგიონულ გარემო პირობებთან [6]. ამ მრავალფეროვნების გამო, განსხვავებენ მეტეოროლოგიურ, სასოფლო-სამეურნეო, ეკოლოგიურ და სხვა ტიპის გვალვებს. მეტეოროლოგიური გვალვები, სხვა პროცესებთან ერთად, გავლენას ახდენს ჰიდროლოგიურ და სასოფლო-სამეურნეო გვალვებზე. ნალექების ანომალური შემცირება იწვევს სასოფლო-სამეურნეო გვალვას, რომელზეც ძლიერ გავლენას ახდენს მიწის ზედაპირის ტემპერატურა, აორთქლება, ნიადაგის თვისებები და მცენარის ფიზიოლოგიური ან ეკოლოგიური მახასიათებლები [4]. სასოფლო-სამეურნეო გვალვა საკმაოდ რთული ფენომენია და მასზე გავლენას ახდენს მეტეოროლოგიური გვალვები ნიადაგის თვისებების, მიწისქვეშა წყლების არსებობისა და ირიგაციის გამო. სერიოზული შედეგების მიუხედავად, გვალვა ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად შესწავლილი სტიქიური პროცესია მისი რთული ბუნებრივი გარემოსა და სხვა რთული ფაქტორების სხვადასხვა ზემოქმედების გამო. კლიმატის ცვლილების კონტექსტში გვალვების ინტენსიფიკაცია ზრდის ინტერესს მისი კვლევისა და შეფასების

მიმართ. შექმნილია მრავალი ინდექსი. გვალვის ინდექსებს შეუძლიათ უზრუნველყონ ტერიტორიისთვის გვალვის ხარისხობრივი შეფასება კონკრეტული პერიოდისთვის, რისთვისაც იყენებს კლიმატის მონიტორინგს სხვადასხვა დროითი მასშტაბით მოკლევადიანი და გრძელვადიანი გვალვის ეპიზოდების ამოცნობისთვის [7]. გვალვის არსებული ინდექსების უმეტესობა შემუშავებულია კონკრეტული რეგიონებისთვის და მათი გამოყენება შეზღუდულია სხვადასხვა კლიმატურ პირობებში გვალვის ფენომენების თანდაყოლილი სირთულის გამო. სამეცნიერო ლიტერატურაში გვალვის შეფასების მრავალრიცხოვან ინდექსებს შორის, ყველაზე გავრცელებულია ატმოსფერული ნალექების სტანდარტული ინდექსი (SPI) და ატმოსფერული ნალექების და აორთქლებადობის სტანდარტული ინდექსი (SPEI) [4], ეფექტური გვალვის ინდექსი (EDI) [4] და სხვა. SPI არის გვალვის ინდექსი, რომელიც დაფუძნებულია ნალექების დაგროვების ალბათობაზე მოცემულ პერიოდში. იგი გამოიყენება როგორც ზოგადი ინდექსი მეტეოროლოგიური გვალვის სიმძიმის შესაფასებლად [8]. მიუხედავად იმისა, რომ SPI წარმოდგენილია მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის მიერ (2009), როგორც უნივერსალური ინდექსი, ერთი ინდიკატორი შეიძლება არ იყოს საკმარისი რთული გვალვის დასახასიათებლად. ერთი ინდექსი ვერ იძლევა გვალვის სრულ სურათს. სწორედ ამიტომ გამოიყენება მრავალი ინდექსი გვალვის მოვლენის დასახასიათებლად. SPEI ეფუძნება წყლის ბალანსის ანომალიებს, ნალექების დეფიციტს და აორთქლებადობის ინდექსს [10]. SPI იყენებს ატმოსფერული ნალექების მონაცემებს, ხოლო SPEI იყენებს ნალექების და მაქსიმალური და მინიმალური ტემპერატურის მონაცემებს. SPI და SPEI კარგი ინდიკატორებია გვალვისადმი მიდრეკილი ტერიტორიების რეგიონული მასშტაბით იდენტიფიცირებისთვის. მისი გამოთვლა შესაძლებელია 1-24 თვიანი პერიოდებისთვის. EDI SPI-ის მსგავსად ნალექების მონაცემებს იყენებს. EDI შეიძლება გამოითვალოს როგორც დღიურ, ასევე ყოველთვიურ დროითი მასშტაბით. კლიმატური მონაცემების მიხედვით გვალვის შეფასება ყველაზე გამოყენებადია, მაგრამ ამავე დროს, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მცენარეთა ინდექსებსაც. ბუნებრივ პირობებში, ნახევრადმშრალი მცენარეულობა არ უნდა დაზიანდეს ექსტრემალური გვალვის მოვლენებით, რადგან ის მნიშვნელოვნად მდგრადია და შეუძლია აღდგენა. სხვა სოციალურ-ეკონომიკური და ბიოფიზიკური ცვლადების ანალიზთან ერთად, დისტანციური ზონდირების მონაცემებმა შეიძლება ხელი შეუწყოს მიწის დეგრადაციის მექანიზმების და გვალვის ევოლუციისა და სიმძიმის შედეგების უკეთ გაგებას [9]. ზოგადად, გვალვის მონიტორინგი შესაძლებელია როგორც მიწისზედა დაკვირვებით, ასევე დისტანციური ზონდირებით. მიწისზედა დაკვირვება გვალვის მონიტორინგის პირდაპირი და ზუსტი მეთოდია, მაგრამ რეგიონული მონიტორინგისთვის საკმარისი სივრცითი ინფორმაციის მიღება რთულია. ის ასევე საკმაოდ შრომატევადი და ხარჯიანია [9], განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო გვალვის შეფასებისას. მეორეს მხრივ, სასოფლო-სამეურნეო გვალვების მხოლოდ მეტეოროლოგიური გვალვის ინდექსებით შეფასება არაეფექტურია. საყოველთაოდ მიღებულია, რომ მშრალი პირობები მხოლოდ ჰიდროლოგიური ციკლის კონკრეტულ ეტაპზე ხდება და ხშირად არ აჩვენებს წყლის დეფიციტს ნიადაგის ტენიანობაში, ნაკადულებში, წყალსაცავებსა და მიწისქვეშა წყლებში. შესაბამისად, დისტანციური ზონდირებაზე დაფუძნებული ინდექსები სასურველია სასოფლო-სამეურნეო გვალვის მონიტორინგისთვის [8]. ეს წარმოადგენს გვალვის მონიტორინგის სწრაფ და ეკონომიურ მეთოდს, მაგრამ საჭიროებს პრაქტიკული მიდგომის შემუშავებას საკვლევი რეგიონისთვის. მიკროტალღური დისტანციური ზონდირების ბოლოდროინდელი მიღწევები მიუთითებს, რომ არსებობს ნიადაგის ზედაპირული ტენიანობის და მცენარეულობის წყლის შემცველობის რადიომეტრიული განსაზღვრის შესაძლებლობები [8]. გვალვის კვლევებისთვის თანამგზავრული სურათების გამოყენებამ, რომლებიც არ საჭიროებენ სხვადასხვა პარამეტრების შეგროვებას გვალვის გამოსათვლელად და არ არიან დამოკიდებული მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემებზე, შეიძლება გაზარდოს სივრცითი სტატისტიკის შედეგების სიზუსტე. ასეთ კვლევებში განსაკუთრებით ინტენსიურად გამოიყენება ნორმალიზებული სხვაობის მცენარეული ინდექსი (NDVI) [9]. 1980-იანი წლებიდან მოყოლებული, ბევრმა მკვლევარმა გამოიყენა ნორმალიზებული სხვაობის მცენარეული ინდექსი (NDVI), როგორც მცენარეულობის ზრდისა და სტატუსის ინდიკატორი და მცენარეულობის სივრცითი სიმკვრივისა და ფენოლოგიის დასადგენად [9]. ამასობაში, გვალვის გავლენა ხმელეთის ეკოსისტემებზე სულ უფრო მწვავე ხდება. მცენარეულობის რეაქცია გვალვაზე კლიმატის კვლევაში მნიშვნელოვანი სამეცნიერო საკითხია. კვლევამ აჩვენა, რომ NDVI-ს კარგი კორელაცია აქვს ნალექებთან და ტემპერატურასთან. წყლის საშუალო წლიური ბალანსი მცენარეულობის ცვლილების მამოძრავებელი ფაქტორია, განსაკუთრებით არიდულ და ნახევრად არიდულ რეგიონებში [11]. გვალვის გენეზისი საქართველოში დამოკიდებულია ციკლონურ და ანტიციკლონურ მოძრაობებზე. პირველ შემთხვევაში ხშირია წვიმიანი დღეები, ხოლო მეორე შემთხვევაში მშრალი პერიოდები, სხვადასხვა

ხანგრძლივობის მაღალი ტემპერატურით და დაბალი ტენიანობით. თუ არქტიკიდან მიმართული ჰაერის მასები მშრალი და ცივია, ისინი ვრცელდება გრძელ ტერიტორიებზე და ევროპის აღმოსავლეთ-სამხრეთ ნაწილებში სტაბილური ანტიციკლონური სისტემა იქმნება. ასეთ სიტუაციაში საქართველოში მშრალი პერიოდია. თუ აღმოსავლეთიდან ჰაერის მასები შემოიჭრებიან, მაღალი ტემპერატურა და დაბალი ტენიანობა მშრალი ამინდია. ასეთი პერიოდები უფრო სასტიკი და საშიშია [6]. ოფიციალური ინფორმაციით, 200 000 ჰექტარზე მეტი ფართობი ამჟამად ძლიერ დაზარალებულია ინტენსიური გვალვებით. გვალვით გამოწვეული ქონებრივი ზიანიც ძალიან მნიშვნელოვანია [8].

საქართველოში მრავალი კლიმატური ზონაა, რომლებიც წარმოდგენილია ორ მნიშვნელოვან რეგიონში - დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს კლიმატურ რაიონებში, რომლებიც გამოყოფილია აჭარა-იმერეთისა და ლიხის ქედებით. დასავლეთ საქართველოს აქვს ზღვის ნოტიო სუბტროპიკული კლიმატი რბილი ზამთრითა და ცხელი ზაფხულით, რომელიც სიმაღლის მატებასთან ერთად იცვლება მაღალმთის ნოტიო კლიმატად უხვი თოვლითა და მყინვარებით. ქვეყნის ცენტრალური ნაწილიდან ზღვის ნოტიო სუბტროპიკული კლიმატი იცვლება ზომიერ ნოტიო კონტინენტურში. აღმოსავლეთ საქართველოს აქვს სუბტროპიკული კლიმატური ზონები ცხელი ზაფხულითა და ზომიერად ცივი ზამთრით. ამის საპირისპიროდ, სამხრეთ საქართველოს მთიან რეგიონებში არის გარდამავალი კლიმატური ქვეზონები ზომიერი სუბტროპიკულიდან მაღალმთიან მშრალ სუბტროპიკულამდე. საქართველოში კლიმატის ფორმირებაზე გავლენას ახდენს მზის რადიაცია, ატმოსფერული ცირკულაცია და მიწისქვეშა ბუნების ბუნება. ზოგადად, ქვეყანაში მზის ნათების ხანგრძლივობა მაღალია. მისი მაჩვენებელი საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე 2000 საათს აღემატება [1]. აქ რადიაციული ბალანსი დადებითია მთელი წლის განმავლობაში. კოლხეთის ვაკის კვლევით ზოლში წლიური ჯამური რადიაცია დაახლოებით 120-130 კკალ/კვ. სმ-ია [2]. მაქსიმალური მაჩვენებელი ფიქსირდება ივნისსა და ივლისში, ხოლო მინიმალური - დეკემბერსა და იანვარში. მაგ., სენაკში მთლიანი რადიაცია მაქსიმუმს ივნისში აღწევს, ხოლო მინიმუმს - დეკემბერში. სანაპირო ზონაში ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 14-15°C-ია [(3)]. ეს მაჩვენებელი ასევე მცირდება ზღვის დონიდან სიმაღლის მატებასთან ერთად. დასავლეთ საქართველოში იანვრის საშუალო ტემპერატურა დაახლოებით +4.6°C-ია. შავი ზღვის სანაპირო ზონაში ის 6.7°C-ია [2], ხოლო ივლისის ტემპერატურა სანაპირო ზოლში შავი ზღვის სიახლოვის გამო 23°C-ის ფარგლებშია. ტემპერატურა ასევე მცირდება ზღვიდან დაშორებისა და ზღვის დონიდან სიმაღლის მატების მიხედვით. კოლხეთის სანაპირო ზოლში შეინიშნება ჰაერის ფარდობითი ტენიანობის მაღალი მაჩვენებელი, სადაც მისი წლიური მაჩვენებელი 80-82%-ის ტოლია [2]. სანაპირო ზონაში ფარდობითი ტენიანობა მინიმალურია ზამთარში (64-75%), მაქსიმალურია აგვისტოსა და სექტემბერში (75-85%), ზღვიდან მოშორებით მინიმალურია აპრილში (64-72%), ხოლო მაქსიმალური ივლის-აგვისტოში (76-84%) [3]. ნალექები ყველაზე მნიშვნელოვანი კლიმატური ელემენტია, რომელიც განსაზღვრავს წყლის ბალანსს დასავლეთ საქართველოში. სანაპირო ზონაში ნალექების რაოდენობა 1800-1900 მმ-ია და დამოკიდებულია ზღვიდან დაშორებაზე. ის მცირდება 1100-1200 მმ-მდე [3]. თოვლის საფარი ნალექების აუცილებელი ელემენტია. დასავლეთ საქართველოში თოვლის საფარის ხანგრძლივობა ზღვის დონიდან 200-300 მეტრზე 30-35 დღეა. სიმაღლის მატებასთან ერთად, თოვლის საფარის ხანგრძლივობა იზრდება. თოვლის საფარის გამოჩენის დროც განსხვავებულია.

ისტორიული ჩანაწერების საფუძველზე, საქართველოს ტერიტორია გვალვის 60%-იანი განმეორებადობის ქვეშაა [7]. ყველაზე გვალვიანი რეგიონებია ქვემო ქართლის, შირაქისა და ელდარის დაბლობები და საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილების სხვა დაბლობები. ეს რეგიონები ხასიათდება ნიადაგებში პროდუქტიული ტენიანობის დეფიციტით. ამ ადგილებისთვის დამახასიათებელია პროდუქტიული ტენიანობის ორი ტიპი: კაპილარული დატენიანება და სრული გაზაფხულის დასველება. პირველ შემთხვევაში, 1 მეტრის ნიადაგის ფენაში პროდუქტიული ტენიანობის მარაგი 100-200 მმ-ია, ხოლო დანარჩენებში - 50-150 მმ, ხოლო დასავლეთ საქართველოში ტენიანობის მარაგი 400 მმ-ს არ აღემატება. ბუნებრივი ფაქტორების გარდა (ქარიანი ეროზია და ნალექების შემცირება), ანთროპოგენური დატვირთვაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გაუდაბნოების პროცესზე. კერძოდ: ნიადაგის, ტყის და წყლის რესურსების უმართავი გამოყენება, ნიადაგის დამლაშება.

ზოგიერთი ადრეული შეფასებით, გასული საუკუნის 80-იან წლებში ზოგიერთ რაიონში მისი სიხშირე 40%-ს აღემატებოდა. ბოლო ათწლეულების განმავლობაში კლიმატის ცვლილების თანმხლები ხშირი გვალვების შედეგად დაფიქსირდა ბუნებრივი ლანდშაფტების მრავალი სახეობის ტრანსფორმაცია. აღმოსავლეთ საქართველოს სტეპებისა და ნახევრადუდაბნოების ლანდშაფტის გაუდაბნოების ალბათობა მეოცე საუკუნის ბოლოსთვის 25-30%-ს მიაღწია. ოფიციალური მონაცემებით, ინტენსიური გვალვების

შედეგად ამჟამად 200 000 ჰექტარზე მეტი ფართობი ძლიერ დაზარალებულია [5]. გვალვით გამოწვეული ქონებრივი ზიანი ძალიან მნიშვნელოვანია.

